დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2025 წლის 20 - 26 იანვარი
N 4 1575
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## ტრამპიდან ჩამოსახსნელები
7









2

## ცოცხებისა და ფურთხის პარტია უნდა აიკრძალოს!

# მფორთხავის მფურთხავები




2



ჯეფრი სილვერმანი:

## არ დაგავიწყდეთ,

ევროპის პარლამენტში დღესაც არიან **ფაშისტურად განწყობილი ელემენტები** ან მათი შთამომავლები!

3


დამოუკიდებელი და ზეპარტიული WWW.ASAVALI.COM
ასავალ დასავალი
2025 წლის 13 - 19 იანვარი
N 3 1574
მტერი
MEGOBARI Act
ვამხილოთ ფარული დასი!



## უკრაინის **ფაშისტური** რესპუბლიკა
15

მამუკა ფიფია: DEEP STATE!

## ამერიკის ახალ ხელისუფლებას, რუსეთსა და საქართველოს **ფარული დასის** სახით, საერთო მტერი ჰყავთ!
10



# მფორთხავის მფურთხავები

***ყველაფერი თავიდანვე ნათელვყოთ და ვთქვათ, რომ მფორთხავში იგულისხმება ყოფილი პრეზიდენტი და მოქმედი პატიმარი მიხეილ სააკაშვილი, რომლის მიწაზე ფორთხვის სამარცხვინო კადრები 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში მთელმა მსოფლიომ იხილა. რაც შეეხება მფურთხავებს, ესენი არიან პატარ-პატარა, კოლექტიური სააკაშვილები, რომლებიც საქართველოში არსებული კვების ობიექტების პერსონალს მოუწოდებენ — ქოცებს საჭმელში ჩაუფურთხეთო!***

უნდა განიმარტოს ისიც, რომ **მფორთხავი სააკაშვილის მფურთხავი პოლიტშვილობილნი** „ქოცებში“ არამხოლოდ „ქართული ოცნების“ წევრებსა და პარტიულ მხარდამჭერებს გულისხმობენ, არამედ იმათაც, ვინც მათ ნაცურ და ლიბერფაშისტურ მისწრაფებებს არ ეთანხმება და უპირისპირდება.

ასეთი კი ქართველი საზოგადოების უდიდესი უმრავლესობაა!

საჭმელში **ჩაფურთხების** კამპანია სოციალურ ქსელში წამოიწყო ორგანიზაციამ **„დაიტოვე“,** რომელიც სამოქალაქო საზოგადოების შირმას ამოფარებული რადიკალური ნაცდანაყოფია და ანტისამთავრობო, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებში აქტიურად მონაწილეობს.

2024 წლის დეკემბრის დასაწყისში, როცა რუსთაველის გამზირზე ძალადობრივი აქციები მიმდინარეობდა და ექსტრემისტულ ჯგუფებს პოლიციისა და სპეცრაზმის წინააღმდეგ პეტარდებისა და „მოლოტოვის კოქტეილების“ ცეცხლი ჰქონდათ გახსნილი, სამართალდამცავებმა, ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და არეულობისკენ მოწოდების საქმეზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების ფარგლებში, ჩხრეკა ორგანიზაცია „დაიტოვეს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის — **ილია ღლონტის** საცხოვრებელ ბინაშიც ჩაატარეს და კომპიუტერული ტექნიკა ამოიღეს.

მოკლედ, ორგანიზაცია **„დაიტოვე“** კოლექტიური ნაცმოძრაობის ერთ-ერთი უჯრედია, რომელიც ე.წ. ნაცმაიდნის, ანუ სახელმწიფო გადატრიალების სცენარში თავის ფუნქციას ასრულებს და მის მიერ წამოწყებული **საჭმელში ჩაფურთხების კამპანიაც** სწორედ ამ სცენარის ნაწილი გახლავთ.

მოწოდება — **„ჩაუფურთხე ქოცს!“ — ჯგუფმა „დაიტოვემ“** სოციალურ ქსელში 2025 წლის 12 იანვარს გამოაქვეყნა, რასაც წინ უსწრებდა ნაცლიბერალთა მცირე ჯგუფის დიდად ხმაურიანი აქცია **რესტორან „ბაბილოსთან“,** სადაც მოსამართლეები კორპორატიულ წვეულებას მართავდნენ. თუმცა, სანამ ისინი რესტორანში საქეიფოდ შეიკრიბებოდნენ, კოლექტიური ნაცმოძრაობისა და ლიბერფაშისტური სექტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ცნობილმა აფერისტმა და კვერცხისროლიამ — **გიგა მაქარაშვილმა** „ფეისბუქში“ დაწერა:

***„მინიმუმ 3 ადამიანი ვიცი, ვინც დღეს მოსამართლეების სუფრას უნდა მოემსახუროს! სამივესგან ვიცი, რომ უკლებლივ ყველა კერძში ჩააფურთხებენ! არის ამბავი, რომ მზარეულებიც იგივე აზრზე არიან!“***

რა ლაპარაკი უნდა, რომ **ლიბერფაშისტმა მაქარაშვილმა** იცრუა და ასეთი ვულგარული ვირეშმაკობით სცადა, მოსამართლეებისათვის ქეიფი ჩაეშალა — **იქნებ დაფრთხნენ და საჭმელში ჩაფურთხების შიშით წვეულება გააუქმონო!** სინამდვილეში, **მაქარაშვილს** მართლა რომ ჰქონოდა ინფორმაცია — რესტორან „ბაბილოს“ მზარეულები და ოფიციანტები მოსამართლეთათვის კერძებში **ჩაფურთხებას** აპირებენო, ამას საჯარო სივრცეში კი არ გაახმიანებდა, პირიქით, გაიტრუნებოდა და სიამოვნებით დაელოდებოდა, როგორ მიირთმევდნენ მოსამართლეები **ფურთხიან** საჭმელებს.

კი, ნაცები და ლიბერფაშისტები, ანუ **მაქარაშვილი და მისნაირები** სწორედ ასეთი მორალისა და ზნეობის ხალხია! კი,

**რასაც წესიერი და პატიოსანი ადამიანი გონებაში ვერასოდეს გაივლებს და კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ ნახავს, ის მაქარაშვილისნაირი ნაცებისა და ლიბერფაშისტებისათვის პოლიტიკური ცხოვრების წესი და განსხვავებულ აზრთან ბრძოლის ინსტრუმენტია!**

კი, მხოლოდ უსამშობლო, უზნეო და ყოველგვარი ფასეულობისაგან ბოლომდე დაწრეტილ ნაცსა და ლიბერფაშისტს შეუძლია, რომ **საქართველოში, სადაც სტუმარ-მასპინძლობის ფენომენი ლამის წმინდა ზიარებასა და საიდუმლო სერობის ტრაპეზს ეთანადება,** მასპინძელს სტუმრისათვის საჭმელში **ჩაფურთხებისაკენ** მოუწოდოს!







სააკაშვილი-მაქარაშვილი-ღლონტი

რადიო თბილისი / FM 93.5 / Radio Tbilisi
January 12 at 12:38 PM ·

🔴 ჩაუფურთხე ქოცს ! - ახალ მოძრაობას ჯგუფი "დაიტოვე" აანონსებს.

მინიმუმ 3 ადამიანი ვიცი, ვინც დღეს მოსამართლეების სუფრას უნდა მოემსახუროს!

სამივესგან ვიცი, რომ უკლებლივ ყველა კერძში ჩააფურთხებენ!

არის ამბავი, რომ მზარეულებიც იგივე აზრზე არიან 😈 - წერდა მანამდე სამოქალაქო აქტივისტი გიგა მაქარაშვილი ფეისბუქზე

## ცოცხებისა და ფურთხის პარტია უნდა აიკრძალოს!

### კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ოპოზიცია არის **სუიციდის მდგომარეობაში,** საბოტაჟი მათი **საბოლოოდ განეიტრალებით** დასრულდება.
„რეზონანსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში **არავის გამოუვა, საქართველო აქციოს კოლონიად!** ჩვენ არავის ვემტერებით, **გვინდა მშვიდობის შენარჩუნება,** ეკონომიკური განვითარება და წინსვლა.
„პირველი არხი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



არ ვიცი, რა ბოროტებამ ჩაიბუდა ზოგიერთის გულში, რომ **ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ საკუთარ ქვეყანას?!** იმედი მაქვს, გამოფხიზლების მომენტიც მოვა.
„საქართველოს რესპუბლიკა“

**ლევან იოსელიანი**
*სახალხო დამცველი*



**300 ათასი ხმის გაყალბებას** რა ინფრასტრუქტურა სჭირდება და ეს რასთან არის დაკავშირებული, ჩემთვის ძალიან ცხადია და ამიტომ, ბოდიშით და, **ასეთ ჰაერიდან მოტანილ სისულელეებს არ ვიჯერებ.**
„პრაიმტაიმი“

**ლევან ხოჯაძე**
*„ქართული ოცნების“ დეპუტატი*



ყველას კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ, **როგორი რეჟიმი იყო ნაციონალური მოძრაობა,** რათა „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის **განსხვავება** კარგად დაინახონ!
„ინტერპრესნიუსი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების ანალიტიკოსი*



**პროტესტმა შედეგი იმიტომ ვერ მოიტანა,** რომ პოლიტიკური ლიდერშიფი არ ჰყავდა. **საჭირო იყო პოლიტიკური ძალა, რომელიც გაბრაზებული ახალგაზრდების მუხტს შესაბამის გზას უჩვენებდა.**
„კვირის პალიტრა“



**მფორთხავი სააკაშვილის მფურთხავ მიმდევართა მიერ წამოწყებული საჭმელში ჩაფურთხების კამპანია სათავეს ჯერ კიდევ 2007 წლიდან იღებს, როცა გია ბუღაძემ თბილისის სამხატვრო აკადემიაში თავისი სტუდენტები წრიულად განალაგა და ერთმანეთისათვის სახეში აფურთხებინა!**

აკი, არამხოლოდ საჭმლის, არამედ ქართველთა ღვთიური სითხის — **ღვინის წაბილწვაც სწორედ სანაცეთის წიაღში შობილი ბოროტებაა,** რომელიც საკუთარი მამის გვერდით ძაღლის დამმარხველი **კუტუ გვარამიას** პირით გაახმოვანეს და ვაზის სამშობლოს — ვაზის ჯვრით გაქრისტიანებულ საქართველოს ტელეეკრანიდან უთხრეს — **ჩაგი...სით ღვინოშიო!** (ცენზურა ჩვენია. **რედ.**).

ცხადია, **მფორთხავი სააკაშვილის მფურთხავ მიმდევართა** მიერ წამოწყებული საჭმელში **ჩაფურთხების** კამპანია გვარამიას მიერ ღვინოში **ჩაშარდვის** პირდაპირი გაგრძელებაა, თუმცა, სათავეს ჯერ კიდევ 2007 წლიდან იღებს, როცა **მამუკა ხაზარაძის** უბორნიის მწერალთა ამქრის წევრის — **ლაშა ბუღაძის მამამ გია ბუღაძემ** თბილისის სამხატვრო აკადემიაში თავისი სტუდენტები წრიულად განალაგა და ერთმანეთისათვის სახეში აფურთხებინა.

ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, **ნაციონალური მოძრაობა** და **ფურთხი** ერთმანეთთან ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული, რადგან **მფორთხავი** სააკაშვილი და მისი ბანდა ხელისუფლებაში ყოფნის 9 წლის განმავლობაში მხოლოდ ქართველი ხალხისათვის **სულში ჩაფურთხებით** გახლდათ დაკავებული.

სხვანაირად თუ ვიტყვით, ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც ციხეებში პატიმართა **ცოცხით** გაუპატიურების გამო ხალხმა **„ცოცხების პარტია“** შეარქვა, იმავდროულად **ფურთხის პარტიაც** არის!

**ცოცხებისა და ფურთხის პარტია** ქართველი ხალხისათვის **სულში ჩაფურთხებას** დღემდე აგრძელებს!

**მფორთხავი სააკაშვილის მფურთხავ მიმდევართა** მიერ წამოწყებული ფაშისტური კამპანია, რომელიც მათი პოლიტიკური და იდეური მოწინააღმდეგეებისათვის საჭმელში ჩაფურთხებას გულისხმობს, კიდევ ერთი დასტურია, რომ ქართველთმოძულე ნაცლიბერალურმა ხროვამ ვერც ვერაფერი ისწავლა, ვერც ვერაფერი დაივიწყა და კვლავ ისეთივე ბოროტი და ბინძურია, როგორიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს იყო!

ამიტომაც, სანამ **ცოცხებისა და ფურთხის პარტია** ქართული პოლიტიკის ზედაპირზე იტივტივებს, საქართველოს საშველი და მოსვენება არ ექნება!

ერთადერთი გამოსავალი, რაც ქვეყანას **მფორთხავი სააკაშვილის მფურთხავ მიმდევართა** ბოროტებისა და სიბინძურისაგან გაათავისუფლებს, **ცოცხებისა და ფურთხის პარტიის — ნაციონალური მოძრაობის** კანონგარეშე ძალად გამოცხადება და კონსტიტუციური აკრძალვაა!

**ცოცხებისა და ფურთხის პარტიას** პოლიტიკური საქმიანობის უფლება სამუდამოდ უნდა ჩამოერთვას!

ეს ქართული სახელმწიფოს გასაკეთებელია და ამის ბერკეტი და ლეგიტიმაცია მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებას გააჩნია!

ქართველ ხალხს კი გააჩნია აბსოლუტური საფუძველიც და უფლებაც, **ცოცხებისა და ფურთხის პარტიას** პოლიტიკური სამარე არამხოლოდ გაუთხაროს, არამედ შიგ **ჩააფურთხოს** კიდეც!

***ჯაბა ხუბუა***



***საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს აფასებს ამერიკელი ჟურნალისტი, ჟურნალ „ვეტერანს თუდეის“ საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელი ჯეფრი სილვერმანი:***

**მოთხოვნები არ წამოუყენებია, ახლა კი თავს იკლავენ ევროპელებისა თუ ამერიკელების დაფინანსებული ენჯეოების**



## *ჯეფრი სილვერმანი:*

# არ დაგავიწყდეთ – ევროპის პარლამენტში დღესაც არიან ფაშისტურად განწყობილი ელემენტები ან მათი შთამომავლები!

— რაც დღეს საქართველოში ხდება, არის კორუმპირებულ ევროპელ პოლიტიკოსთა მანიპულაციები საკუთარი ინტერესებისათვის. არჩევნების გაყალბებაზე შეშფოთების საფარქვეშ ისინი ქვეყნის სუვერენიტეტს უტევენ და ერთი სული აქვთ, როგორმე აავსონ „ქართული ოცნების“ ამომრჩევლისა და მთავრობის მოთმინების ფიალა, მაგრამ ეს არ არის 90-იანი წლების საქართველო და მთავრობაში მოსულ ახალგაზრდა მმართველებს, ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით, კარგად აქვთ გააზრებული, სად გადის ქვეყნის ყოფნაარყოფნის ზღვარი. მე ერთი რამ მაკვირვებს — **ისინი, ვინც სააკაშვილის რეჟიმის დროს არნახული რეპრესიების ქვეშ იყვნენ, დღეს ამ ხელისუფლებას ეწინააღმდეგებიან და აქციების წინა ხაზზე დგანან.**

**— ვის გულისხმობთ?**

— **ზურაბ ჟვანიას** ოჯახის წევრებს, რომლებიც მთავრობის საწინააღმდეგო აქციაზე იყვნენ და რაღაც განცხადებებს აკეთებდნენ. პრემიერ-მინისტრი რომ გაზით არ გაგუდულა, ძალიან კარგად იციან და ამის ბევრი მტკიცებულებაც არსებობს, ამიტომაც მიკვირს. **ზურაბ ჟვანიას ოჯახი მაშინ არ გამოსულა ქუჩაში და საკუთარი მეუღლისა და ძმის მკვლელობის გამოძიებაზე გასაპროტესტოდ.** (?) **გასაბაპტონებლად. ვის გვერდითაც ესენი დგანან, ან პრემიერ-მინისტრის მკვლელობაში მონაწილეობდნენ, ან – ამ მკვლელობის დაფარვაში.**

**— გაქვთ ახალი ინფორმაცია გაურკვეველ ვითარებაში ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით?**

— დროა, მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღოს და ჟვანიას მკვლელობას ფარდა ახადოს. თუმცა, ჯერ კიდევ შესასწავლია FBI-ის აგენტის **ბრაიან პარმანის** როლი ამ საქმეში, რადგან არსებობს მტკიცებულებები და გარემოებები, რომლებიც აჩვენებს, რომ მან განზრახ შეცვალა სასამართლო ექსპერტიზის მასალები. ჟვანიას საქმესთან კიდევ უფრო ახლოს იდგა გადამდგარი პოლკოვნიკი **მაიკლ ლი ნიკოლსონი,** რომელმაც, ჩემი ინფორმაციით, ინციდენტის დეტალები გაამხილა და განაცხადა, რომ **ჟვანიას** გარდაცვალების ადგილზე სცენის შეცვლა სწორედ **პარმანის** მითითებით მოხდა.

**— სად არის დღეს ბრაიან პარმანი?**

— ქართულ პრესაში მისი სახელი პირველად გაჟღერდა **ზურაბ ჟვანიას** იდუმალი გარდაცვალების დროს, როცა მიზეზად დაასახელეს ჟვანიას გაგუდვა ირანული გაზის გამათბობლით. საგამოძიებო ორგანოებში ძალიან კარგად იციან ამ საქმეში FBI-ის ჩარევის შესახებ და ის უფრო დეტალურადაა შესასწავლი, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. **ბრაიან პარმანი** FBI-დან რამდენიმე წლის წინათ გაათავისუფლეს, თუმცა, თუ მოთხოვნა იქნება, მისი საქმეების გამოაშკარავება შეიძლება. არ გამიკვირდება, **პარმანის** გათავისუფლების მიზეზებში დასახელებული იყოს როგორც ამერიკაში, ისე საქართველოში მისი არაკეთილსინდისიერი მუშაობის მაგალითები. იმედი მაქვს, **დონალდ ტრამპის** დაპირებების კვალდაკვალ, FBI-ში კადრებს არამარტო გაწმენდენ, არამედ მათ საქმეებსაც შეისწავლიან.

**— ჟვანიას საქმესთან მაიკლ ლი ნიკოლსონის გვარი პირველად გააჟღერეთ...**

— **მაიკლ ლი ნიკოლსონი** პოლიციის ინსტრუქტორი იყო, გარდაიცვალა 2019 წელს. კონფიდენციალური წყაროს ცნობით, ჟვანიას საქმეზე ის შემაშფოთებელ დეტალებს იხსენებდა. **ნიკოლსონი** მივიდა იმ ბინაში, სადაც ჟვანია და ის ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილნი იპოვეს. შემდეგ იგი ინფორმაციის გადასაცემად ამერიკის საელჩოში წავიდა, თუმცა, უკან დაბრუნებულს ბინაში FBI-ის აგენტი **ბრაიან პარმანი** დახვდა. სცენა უკვე შეცვლილი იყო, ცხედრები გადაადგილებული, ჩაცმული და ისე განთავსებული, თითქოს ნარდს თამაშობდნენ. **ნიკოლსონმა** პოლიციას კითხვები დაუსვა, მაგრამ **პარმანმა** გააფრთხილა, ჩუმად ყოფილიყო. **ნიკოლსონი** შეშფოთებული გახლდათ ამ ამბებით, შემდეგ კი იმ სასამართლო პროცესებით, რაც ჟვანიას საქმეს უკავშირდება. **პარმანმა** ის კვლავ გააფრთხილა, ამ თემაზე აღარ ესაუბრა. შემდეგ **ნიკოლსონი** რაღაც ინციდენტშიც გახვიეს, რაც მის ქართველ მეგობარ გოგონას უკავშირდებოდა. თვლიდა, რომ მასზე ზეწოლას სხვადასხვა გზით ახორციელებდნენ.

ასე რომ, **ჟვანიას ოჯახი,** სანამ ამ აქციებზე გავა, კარგად დაფიქრდეს, ვისთან მიდის და რას ითხოვს. ნუ დადგება მათ გვერდით, ვინც მათი ძვირფასი ადამიანის მკვლელობა მიჩქმალა, დემოკრატიისა და კაცთმოყვარეობის სახელით ხალხს თვალებში ნაცარი შეაყარა და დღეს ამერიკაში იმყოფება, თითქოს ტრამპის გაპრეზიდენტება ძალიან უხარია.

**— სალომე ზურაბიშვილმა და აქაურმა ოპოზიციამ თავიანთ მფარველ სენატორ ჯო უილსონთან ფოტოებიც გადაიღეს, დონალდ ტრამპის შვილთანაც...**

— ეს არაფერს ცვლის და მხოლოდ სააკაშვილისეულ ე.წ. კარტინკებს წარმოადგენს გულუბრყვილო ხალხზე ზემოქმედებისათვის. უილსონს **კეზერაშვილი** უხდის ფულს, ხოლო მისი **„მეგობარი აქტი“** საქართველოს მთავრობის დასასჯელი შირმაა. **უილსონს** კავშირი აქვს

***გაგრძელება მე–4 გვერდზე***



**ზურაბ ჟვანიას ძმა – გოგლა ჟვანია და ცოლი – ნინო ქადაგიძე აქციაზე**

## კვირგვინოსნები

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის არჩეული პრეზიდენტი*



ვიცი, რომ **ვლადიმერ პუტინს** შეხვედრა სურს და **ვაპირებ შეხვედრას ძალიან სწრაფად!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ჯო ბაიდენი**
*აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი*



დღეს ამერიკაში ყალიბდება **უსაზღვრო სიმდიდრის, ძალაუფლებისა და გავლენის ოლიგარქია,** რომელიც საფრთხეს უქმნის ჩვენს დემოკრატიას.

„პრაიმტაიმი“

**მარკ რუტე**
*ნატოს გენერალური მდივანი*



**მშვიდობა ვერ გაგრძელდება,** თუ ომი **პუტინთან** შეთანხმებით დასრულდება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მირიან მირიანაშვილი**
*ექსპერტი*



დიდი კვანძი **ტრამპისა** და **პუტინის** შეხვედრაზე უნდა გაიხსნას!

„კვირის პალიტრა“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



არ გამოვრიცხავ, **90-იანების რეალობა დაგვიდგეს.** ხელისუფლება მაინც დაინგრევა, უბრალოდ, **უფრო ხანგრძლივი და მტკივნეული** იქნება ეს პროცესი.

„ახალი თაობა“



„არჩევნების გაყალბებაზე შეშფოთების საფარქვეშ ისინი ქვეყნის სუვერენიტეტს უტევენ!“

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები.

**— ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ რა მოლოდინი უნდა ჰქონდეს საქართველოს?**

— ამერიკაში ძალიან კარგად უწყიან — როგორც სხვა ქვეყნებში ყიდულობენ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ქვეყნის მართვაში ერევიან, საქართველოში ეს მექანიზმი არ მუშაობს. აქაური არასამთავრობოები მათ ფულს კი ხარჯავენ, მაგრამ პროცესების მართვას ვერ ახერხებენ და ახალი არჩევნები რომც ჩატარდეს, „ქართული ოცნება“ კიდევ უფრო დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს! დიახ,

**საქართველო ბეწვის ხიდზე გაივლის და ფონსაც გავა, რადგან მსოფლიო პოლიტიკის სათავეებში კაცები მოდიან!!!**

# ჯეფრი სილვერმანი:

# ახალი არჩევნები რომც ჩატარდეს, „ქართული ოცნება“ კიდევ უფრო დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს!

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

მაკკეინის ინსტიტუტთან და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის წევრებთან, ისეთივე ფიგურაა, როგორც **სალომე ზურაბიშვილი,** რომელიც წლების განმავლობაში ერთჯერად გამოყენებაზე იყო გათვლილი. ეს ფრანგი პენსიონერიც ჯერჯერობით სჭირდებათ, სტიპენდიაც დაუნიშნეს, ვითომ პოლიტიკურ თამაშში ამყოფებენ, მაგრამ ახლა აღარ იციან, რა უქნან ამ ჟანგმოკიდებულ თვითმფრინავს, ჯერჯერობით ცაში გიჟივით რომ ბრუნავს. **ზურაბიშვილს არაფერი გამოუვა, მაგის აღზევებაში კეზერაშვილმა 3 მილიონიც რომ გადაიხადოს.**

**— რა არის საქართველოს მთავრობასთან ზოგიერთი ევროპელი და ამერიკელი ჩინოვნიკების დაპირისპირების რეალური მიზეზი?**

— ევროპელი და ამერიკელი კორუმპირებული ჩინოვნიკების ზეწოლა საქართველოს მთავრობაზე დაკავშირებულია **ანაკლიის პორტის კონტროლთან, რეგიონში ჩინეთისა და რუსეთის მომავალ გავლენებთან, ირანთან დაგეგმილ ომთან და ამერიკისა და ისრაელის ჰეგემონიის შენარჩუნებასთან — განსაკუთრებით აზერბაიჯანიდან ნავთობის ნაკადების მართვის კუთხით.** საქართველოს მთავრობამ უნდა დაიცვას თანმიმდევრულობა, არ მოდუნდეს, უკან არ დაიხიოს, შეისწავლოს მოვლენების ჭეშმარიტი არსი და არ დაუშვას საქართველოს ტერიტორიის გამოყენება მესამე ქვეყნების ომებისათვის! რაც მთავარია, არავითარ შემთხვევაში არ ჩაერთოს უკრაინის კონფლიქტში და შეინარჩუნოს ბალანსირებული მიდგომა მეზობელ ქვეყნებთან.

არ დაგავიწყდეთ — ევროპის პარლამენტში დღესაც არიან ფაშისტურად განწყობილი ელემენტები ან მათი შთამომავლები! ევროპარლამენტის წევრი იყო **ბენიტო მუსოლინის** შვილიშვილი **ალესანდრა მუსოლინი,** რომელიც ამავე დროს მსოფლიო ვარსკვლავის სოფი ლორენის დისშვილია. გერმანიის დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრის **ანალენა ბერბოკის** პაპა ვერმახტის ოფიცერი გახლდათ.

ნიდერლანდებში ცოტა ხნის წინ გახსნილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ყოველი 20 ადამიანიდან ერთი მაინც თანამშრომლობდა ნაცისტებთან. მათ ძალიან კარგად იციან მეორე მსოფლიო ომში საქართველოს დამსახურების შესახებ, ამიტომაც აფრთხობთ

*ესაუბრა*
*ქეთევან ხამიაშვილი*



„ზურაბიშვილს არაფერი გამოუვა, მაგის აღზევებაში კეზერაშვილმა 3 მილიონიც რომ გადაიხადოს!“



# რატი და მზია





ამაღლობლები

***საქართველოში კაცი არ გვეგულება, ცნობილი პრეისტორიული წყვილის — ზეზვასა და მზიას შესახებ რომ არ იცოდეს, მაგრამ თანამედროვე ნაცლიბერალური წყვილის — რატისა და მზიას შესახებ ფართო საზოგადოებისათვის ბევრი არაფერია ცნობილი.***

თუმცა, სანამ **რატისა და მზიას** თაობაზე ვისაუბრებდეთ, ცოტა რამ **ზეზვასა და მზიას** შესახებაც გავიხსენოთ და ვთქვათ, რომ 1999-2001 წლებში საქართველოში, კერძოდ, ქალაქ დმანისში, ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მეცნიერებმა მიაკვლიეს პრეისტორიული ადამიანების ნაშთს, რომელიც, სავარაუდოდ, 1,8-1,7 მილიონ წელს ითვლის და ევროპის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ადამიანთა ჩონჩხებს შორის ყველაზე ძველია.

მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ დმანისში აღმოჩენილი უძველესი ჩონჩხები ქალსა და მამაკაცს ეკუთვნოდა, მეცნიერებმა მათ **ზეზვა და მზია** დაარქვეს და **პირველი ევროპელები** უწოდეს.

ასე და ამრიგად, **ზეზვა და მზია, როგორც პირველი ევროპელი წყვილი,** საქართველოში ყველასათვის კარგად არის ცნობილი, ხოლო **რატისა და მზიას შიგევროპელი პოლიტიკური წყვილიდან** ფართო საზოგადოებისათვის შედარებით უფრო ნაცნობია **რატი ამაღლობელი,** რომელიც **მამუკა ხაზარაძის უბორნიის მწერალთა კოჭორტის** წევრია, პრემია **„საბას“** ლაურეატიც გახლავთ და, როგორც საქვეყნოდ აღიარა, ყველა ლექსი ტუალეტში აქვს დაწერილი.

რაც შეეხება **რატის** მოგვარესა და მის იდეურ-პოლიტიკურ წყვილს — **მზია ამაღლობელს,** მისი სახელი და გვარი ფართო საზოგადოებამ პირველად გასულ კვირას გაიგო, როცა პოლიციელისათვის სილის გაწვნის გამო დააკავეს და წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

ეს მოხდა 2025 წლის 11 იანვარს ბათუმში, პოლიციის მთავარ სამმართველოსთან, სადაც კოლექტიურ ნაცლიბერალთა აქცია იმართებოდა. **ლიბერალური და მონაცო ინტერნეტ-გამოცემების — „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დირექტორი მზია ამაღლობე-**



## კვირგვინოსნები



**რიკარდ იოზვიაკი**
*„რადიო თავისუფლების“ ევროპის ბიუროს რედაქტორი*

ევროკავშირის მხრიდან, სავარაუდოდ, **არ განხორციელდება კოორდინირებული ზეწოლა,** რათა საქართველოში ხელახლა ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები.

„პირველი არხი“



**სოზარ სუბარი**
*პარტია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე*

**ნაცმოძრაობამ ხელისუფლებაში ყოფნის დროს არ გადადგა არცერთი ნაბიჯი,** რომ საერთაშორისო დოკუმენტებში დაფიქსირებულიყო ტერმინები **ოკუპაცია და ოკუპანტი,** ეს ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ მოხდა. არსებობს უამრავი მტკიცებულება, რომ **სააკაშვილის ხელისუფლებამ არათუ თავიდან არ აიცილა ომი, არამედ ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა ომში ჩართულიყო.**

„პირველი არხი“



**ვიქტორ ორბანი**
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*

ვფიქრობ, **ყველაზე დიდი კორუფციული სკანდალი** პოლიტიკაში არის ის, რომ ბრიუსელი **ჯორჯ სოროსის** ჯიბეშია. **დონალდ ტრამპის** გამარჯვება მთელი სოროსის ქსელისთვის დიდი მარცხია — ახლა ჩვენი ჯერია: **2025 გადამწყვეტი წელია ბრიუსელიდან და ევროპიდან სოროსის ქსელის გავლენის მოსაშორებლად.**

„TV იმედი“



**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*

**ნაცების გასამართლება** 2012 წლიდან იყო ჩვენი მოსახლეობის დაკვეთა, თუმცა, **მაშინ კოჭაბიტაცია გვაიძულეს, დღეს კი მზად ვართ,** ეს ნაბიჯი გადავდგათ.

„პირველი არხი“

# ლიბერალი მედიამენეჯერი მზია ამაღლობელი ისეთივე პოლიტპატიმარია, როგორი გალაკტიონი და ბოდლერიც მამუკა ხაზარაძის უბორნიის პოეტი რატი ამაღლობელი ბრძანდება!

**ლი იმ დღეს ჯერ ადმინისტრაციული წესით დააკავეს, მაგრამ ერთ საათში გაათავისუფლეს, შემდეგ კი უკვე სისხლის სამართლის დანაშაულის, კერძოდ, სამართალდამცველზე თავდასხმის ბრალდებით აიყვანეს, რაც ბათუმის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროს ირაკლი დგებუაძისათვის სილის გაწვნაში გამოიხატა.**

**მზია ამაღლობლის** ადვოკატი სასამართლო პროცესზე ამტკიცებდა — ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი სამართალდამცველს თავს არ დასხმია და სილა გამიზნულად არ გაუწნავს, უბრალოდ, აქციაზე გაწევ-გამოწევის დროს მისი ხელი პოლიციის უფროსს სახეში შემთხვევით მოხვდაო, თუმცა, **ტელევიზიით გავრცელებულ კადრებში ნათლად გამოჩნდება, რომ ამაღლობელი მისკენ ზურგით მდგარ პოლიციელ დგებუაძეს ქურთუკზე მოქაჩავს, თავისკენ მოატრიალებს და გაშლილ ხელს ლოყაში სტკიცავს.**

ძნელი სათქმელია, **ლიბერალმა მედიამენეჯერმა მზია ამაღლობელმა** რატომ ჩათვალა, რომ პოლიციელზე ხელის დარტყმის ექსკლუზიური უფლება ჰქონდა და ამის გამო კანონი პასუხს ვერ ან არ მოსთხოვდა?

რთული ასახსნელია, **ლიბერალმა მედიამენეჯერმა მზია ამაღლობელმა** რატომ იფიქრა, რომ კანონზე მაღლა იდგა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე თავდასხმისათვის **4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას** ითვალისწინებს, მას ვერ ან არ შეეხებოდა?

უნდა ვივარაუდოთ, რომ **მზია ამაღლობელი,** როგორც საშუალო სტატისტიკური ლიბერალი, კვლავ იმ კვაზილიბერალური და ნეოფაშისტური მეინსტრიმის იდეოლოგიურ ტყვეობაშია ჩარჩენილი, რომლის თანახმადაც ადამიანებად მხოლოდ ლიბერალები ითვლებიან და ადამიანის უფლებებიც მხოლოდ მათზე ვრცელდება, ხოლო, ვინც ლიბერალი არ არის, ის არც ადამიანია და კანონით გარანტირებული უფლებები არ გააჩნია.

კი, **ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპასა და საქართველოშიც სულ ცოტა ხნის წინათ მართლა იყო ისეთი დრო და ვითარება, როცა ლიბერალები ერთგვარ ზეადამიანურ კასტას წარმოადგენდნენ, ადამიანის მსგავს არსებებს, ანუ არალიბერალებს ზემოდან დაჰყურებდნენ, აბსოლუტური ხელშეუხებლობით სარგებლობდნენ და მათზე კანონის მოქმედება არ ვრცელდებოდა.** ამის კლასიკური მაგალითია თუნდაც 2018 წელს თბილისში, გენერალური პროკურატურის შენობასთან მიმდინარე აქციაზე მომხდარი შემთხვევა, როცა იმხანად „რუსთავი-2“-ის გენერალურმა დირექტორმა **ნიკა გვარამიამ** მოქალაქე **მთვარისა ნავერიანს** ჯერ უშვერი სიტყვებით აგინა და მერე ხელი დაარტყა, მაგრამ ამის გამო პასუხი არ უგია.

მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა **მთვარისა ნავერიანმა** პროკურატურაში საჩივარი შეიტანა და მასზე **მოძალადე გვარამიას** პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა, იგი საგამოძიებო უწყებაში გამოკითხვაზეც კი არ დაუბარებიათ. არადა, პირიქით რომ მომხდარიყო — არალიბერალ **მთვარისა ნავერიან**ს ლიბერალ **ნიკა გვარამიაზე** ეძალადა — კანონი მყისიერად ამოქმედდებოდა და მოძალადეს პასუხს აგებინებდა.

როგორც ჩანს, **ლიბერალ მედიამენეჯერ მზია ამაღლობელს** სწორედ იმის იმედი თუ ილუზია ჰქონდა, რომ პოლიციის უფროსისათვის სილის გაწვნა ზუსტად ისე ხახვივით შერჩებოდა, როგორც, თავის დროზე, **ლიბერალ მედიამენეჯერ ნიკა გვარამიას** შერჩა მოქალაქე **მთვარისა ნავერიანისათვის** ხელის დარტყმა!

თუმცა, **ლიბერალმა მედიამენეჯერმა მზია ამაღლობელმა** ვერ გათვალა, რომ ახლა მსოფლიოშიც და საქართველოშიც სულ სხვა ვითარებაა და წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ლიბერალებზე კანონი არ ვრცელდებოდა! ისე კი,



ზეზვა და მზია

**საქართველოში, სადაც პირველი ევროპელების — ზეზვასა და მზიას ნაშთია აღმოჩენილი, რატისა და მზიას მსგავსი შიგევროპელები ვერასოდეს გაიმარჯვებენ!**



## 2018 წელს ლიბერალი მედიამენეჯერი ნიკა გვარამია მოქალაქე მთვარისა ნავერიანისათვის ხელის დარტყმის გამო კანონით რომ დაესაჯათ, 2025 წელს ლიბერალი მედიამენეჯერი მზია ამაღლობელი პოლიციელ ირაკლი დგებუაძისათვის ხელის დარტყმას ვერ გაბედავდა!

ასე თუ ისე, **ლიბერალი მედიამენეჯერი მზია ამაღლობელი** ახლა წინასწარ პატიმრობაში იმყოფება და 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, **ნაცლიბერალური სექტა** კი მას პოლიტიკურ პატიმრად რაცხავს, თუმცა, **მზია ამაღლობელი** ისეთივე პოლიტპატიმარია, როგორი გალაკტიონი და ბოდლერიც **მამუკა ხაზარაძის უბორნიის პოეტი რატი ამაღლობელი** ბრძანდება.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე, სადაც **მზია ამაღლობლისათვის** აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი განიხილებოდა, მან მიიტანა და ტელეკამერების დასანახად ააფრიალა **ფილიპინელი ჟურნალისტის მარია რესას** წიგნი **„როგორ დავამარცხოთ დიქტატორი“,** რითიც იმის თქმა უნდოდა, თითქოს საქართველოში დიქტატურაა დამყარებული. არადა, **საქართველოში დიქტატორული ან თუნდაც ავტორიტარული რეჟიმი რომ იყოს, არც ის ორი ნაცლიბერალური ინტერნეტგამოცემა იარსებებდა, რომლის დირექტორიც მზია ამაღლობელი გახლავთ და ვერც სხვა ათობით ე.წ. კრიტიკული და ოპოზიციური მედიასაშუალება გაჭაჭანდებოდა, რომელმაც 2025 წლის 15 იანვარს ე.წ. გაფიცვა გამოაცხადა.**

დიახ, კრიტიკული და ოპოზიციური მედიასაშუალებები, მითუმეტეს, იმდენი, რამდენიც დღეს საქართველოში ფუნქციონირებს, ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმების პირობებში, უბრალოდ, ვერ არსებობენ!

ასე რომ, **მზია ამაღლობლის, რატი ამაღლობლისა და მათნაირი შიგევროპელების** მთელი ნარატივი თავიდან ბოლომდე სიცრუეზეა აგებული და, შესაბამისად, გარდაუვალი მარცხისათვის არის განწირული!

საქართველოში, სადაც პირველი ევროპელების — **ზეზვასა და მზიას** ნაშთია აღმოჩენილი, **რატისა და მზიას** მსგავსი შიგევროპელები ვერასოდეს გაიმარჯვებენ!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**მაკა ბოჭორიშვილი**
*საგარეო საქმეთა მინისტრი*



ბოლო 30 წლის განმავლობაში რამდენიმე ომი გამოვიარეთ, მშვიდობა **ძალიან მნიშვნელოვანია** და ყველამ უნდა გაიგოს, **რატომ გვამოძრავებს მშვიდობიანი განვითარების სურვილი.** „პირველი არხი“

**რასა იუკნევიჩიენე**
*ევროპარლამენტარი ლიტვიდან*



დროა, დავიწყოთ ფიქრი იმის შესახებ, თუ როგორ დავეხმაროთ ქართველებს **მოპარული ხმების** დაბრუნებაში. „ინტერპრესნიუსი“

**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



**აშშ-ს, გერმანიას, უნგრეთსა და სლოვაკეთს ჯერ არ სურთ ნატოში ჩვენი ხილვა.** „TV იმედი“

**რობერტ ფიცო**
*სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი*



**ზელენსკი** ევროპაში დადის, **სხვებს აშანტაჟებს, ფულს ითხოვს,** ეს უნდა შეწყდეს, მოსაზრებელია. „რეზონანსი“

**მარინა ლობჟანიძე**
*მუსიკის ექსპერტი, საზოგადოება „ქართული [illegible]“ საინიციატივო ჯგუფის წევრი*



დღეს საქართველო იხდის ხარკს სწორედ თავისი **ნეიტრალიტეტისთვის და პროქართული ორიენტაციისთვის.** „იმედინიუსი“



# არნო ხიდირბეგიშვილის მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი კობახიძეს



# თურქეთმა, პრაქტიკულად, აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. რატომ დუმს თბილისი?

**ბატონო ირაკლი!**

ჩემი საზღვარგარეთელი კოლეგები თვლიან, რომ კრიზისის პიკი საქართველოში უკვე გავლილია, რასაც ნაწილობრივად ვეთანხმები — ქვეყანაში მოხდა ლუსტრაცია, ქართველი საზოგადოება გაიყო ორ საპირისპირო მხარედ და დღეს უკვე გვარსახელით შეგვიძლია, დავასახელოთ ხელისუფლების მტრები, რაც ბევრად უკეთესია, ვიდრე **„დიფ სთეითი“** — ჩინოვნიკთა, ბიზნესმენთა და სპეცსამსახურების თანამშრომელთა **ფარული დასი,** რომელიც ქმნის სახელმწიფოს სახელმწიფოში საკუთარი ან გარე ძალების ინტერესთა გასატარებლად. არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ საქართველოში **„დიფ სთეითი“,** მისი კლასიკური გაგებით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს ჩამოყალიბდა — **რად ღირს მარტო ორი ექსპრეზიდენტი, ორი ექსპრემიერ-მინისტრი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ორი ექსვიცე-სპიკერი, ორიც თავდაცვის ექსმინისტრი, ათეულობით ნადეპუტატარი, ვაიექსპერტი, აფერისტი ჟურნალისტი, ბიზნესმენი და თაღლითი ბანკირი, აგრეთვე ძალოვან სტრუქტურებში დღემდე ჩაბუდებული მრავალი ნაცი-რევანშისტი.**

დარწმუნებული ხართ, რომ დღესაც ყველა მოქმედი თანამდებობის პირი და დეპუტატი პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობებს და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ზურგს უკან შეთქმულებებს არ ხლართავს?! მე არ ვარ დარწმუნებული და ამის საფუძველიც გამაჩნია.

**ბატონო პრემიერ-მინისტრო!**

თქვენ არ გსურთ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა **რუსეთის ფედერაციასთან,** რაკიღა მან აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა აღიარა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი საქართველოს სიდიდით მეორე სავაჭრო პარტნიორია და მის უშველებელ, ქართული პროდუქციისათვის ტრადიციულ ბაზარზე, ჯიბეს ისქელებენ ოპოზიციის დამფინანსებელი უმსხვილესი ქართული კომპანიებიც კი. ნიშანდობლივია ისიც, რომ, საკაშვილის „წყალობით“, **რუსული კომპანიების მფლობელობაშია ქართული ეკონომიკის არაერთი სტრატეგიული ობიექტი; მილიონობით რუსი ტურისტი ავსებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, ხოლო ფულადი გზავნილები რუსეთის ფედერაციიდან — ჩვენი მოქალაქეების ჯიბეს.**

თქვენ არ გსურთ, დათანხმდეთ არსებულ შეთავაზებას და შექმნათ ერთგვარი წინაპირობა ოფიციალურ მოსკოვთან მოსამზადებელი შეხვედრებისათვის, ვიდრე **რუსეთის ფედერაცია** არ გაიწვევს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარებას, არადა, ამისთვის დღეს ბრწყინვალე შესაძლებლობა გაგაჩნიათ, ხვალ კი შეიძლება გვიანიც იყოს. თქვენ კარგად გესმით, რომ რუსეთში გადაწყვეტილებების ერთადერთ ცენტრთან მოლაპარაკებების მიზანი სწორედაც რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა! თანაც საქართველოს ყველა სტრატეგიული პარტნიორი — **აზერბაიჯანი, ჩინეთი თუ ირანი** — რუსეთის სტრატეგიული პარტნიორიც არის, ხოლო რუსეთის ყველა მტერი — **ევროკავშირი, ნატო, უკრაინა, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და ბაიდენის ამერიკა** — იმავდროულად საქართველოს აშკარა მოწინააღმდეგედ ჩამოყალიბდა.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ, ძირითადად, **პრემიერ ღარიბაშვილის** დროს ათასობით ქართველსა თუ არაქართველს ჩამოართვა საქართველოს მოქალაქეობა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი იძულებული გახდნენ, დიქტატურული რეჟიმის მძვინვარების ჟამს წასულიყვნენ რუსეთში, მიეღოთ იქაური მოქალაქეობა და შესაძლებლობა ჰქონოდათ, პატიოსანი შრომით ერჩინათ საქართველოში დარჩენილი ოჯახი, ახლობლები თუ მოხუცი მშობლები იმ ვაიქართველთაგან განსხვავებით, ვინც დასავლეთში ქურდობით გაგვიტეხეს სახელი!

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ისევე, როგორც ბოლო 12 წლის განმავლობაში ჩატარებული ყველა არჩევნების დროს, **„ქართულმა ოცნებამ“ არ გახსნა არცერთი საარჩევნო უბანი რუსეთის ფედერაციაში, რაკიღა მის მიერ აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელ რესპუბლიკებად იყო გამოცხადებული.** ამავე მიზეზით დღემდე არ აღმდგარა საქართველოსა და რუსეთს შორის სააკაშვილის მიერ გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობები, ხოლო რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ და სამუშაოდ ჩასულ ათასობით საქართველოს მკვიდრს — ქართველსა თუ არაქართველს — ჩამორთმეული აქვს ხმის უფლება. არადა, ეს ამომრჩევლები უეჭველად დაუჭერდნენ მხარს „ქართულ ოცნებას“, რომელიც არჩევნებში ოპოზიციურ პარტიებს უკვე არა 380 ათასით, არამედ 500 და მეტი ათასი ხმით გაუსწრებდა!

ისე კი, **იცით თუ არა, ბატონო ირაკლი, რომ**

## თურქეთში, რომელიც ოფიციალურად ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, აპირებენ, გახსნან საარჩევნო უბნები მიმდინარე წლის 15 თებერვალს აფხაზეთში დაგეგმილი „საპრეზიდენტო არჩევნებისათვის“?

ერთ-ერთი ასეთი უბნის გახსნა დაგეგმილია **სოხუმთან დაძმობილებულ ქალაქ ადაფაზარში,** რომელიც **საქარიის პროვინციის** ცენტრს წარმოადგენს და თურქეთის ჩრდილო-დასავლეთში მდებარეობს. ოფიციალურმა ანკარამ უკვე მისცა თანხმობა აფხაზეთის „ცესკო“-ს ამ გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე, მინდა, გკითხოთ — **რატომ გვიანდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა და თურქეთის ელჩის გამოძახება?** იქნებ უკვე თურქეთმაც აღიარა „აფხაზეთის რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობა და თბილისში ტყემალზე ზიან?

**ბატონო პრემიერ-მინისტრო!**

ცხადია, თქვენთვის ცნობილია, რომ თურქეთი იწყებს **სამსუნ-ტრაპიზონ-სარფის სარკინიგზო ხაზის** მშენებლობას, რომელიც, **პრეზიდენტ ერდოღანის** თქმით, უზრუნველყოფს გადაზიდვებს ანკარას, შავი ზღვის რეგიონსა და საქართველოს შორის. ისიც საგულისხმოა, რომ **აჭარიდან აფხაზეთამდე,** სულ რაღაც 100 კილომეტრია და, როგორც გავიგე, აღნიშნულ რკინიგზას დაემატება **ქართულ-აფხაზური მონაკვეთი ადლერამდე,** რომლის აღდგენაც თურქეთის ძალებით მოხდება. მიზეზი მარტივია — აფხაზეთის „პარლამენტს“ დღემდე არ მოუხდენია რუსეთთან საინვესტიციო შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც ითვალისწინებს შეღავათებს რუსული კომპანიებისათვის უძრავი ქონების სფეროში.

**ბატონო ირაკლი,** „თურქეთის წყალობით, აფხაზეთთან საქართველოსთან ინტეგრაციის“ მიმზიდველი თემა უკვე შემოაგდეს ანკარიდან საქართველოს პარლამენტში, რათა მიიღონ ნებართვა, გაიხსნას რკინიგზა **ფსოუდან ენგურამდე,** რის ნებასაც საქართველო დღემდე არ რთავდა სომხეთს. **აფხაზებს ფრიად ხიბლავთ შესაძლებლობა, გაემგზავრონ ევროპაში თურქეთის გავლით, ხოლო თურქეთში მცხოვრებ 400 ათას აფხაზს, რომელმაც ისლამი მიიღო, ეხსნება გზა ისტორიულ სამშობლოში დასაბრუნებლად.** ამიტომ საკითხავია — **ვიდრე საქართველო გაგულისებულია რუსეთზე, ხომ არ აღმოჩნდება აფხაზეთი თურქეთის ხელში?**

იცით თუ არა, **ბატონო ირაკლი,** რომელ „პრეზიდენტობის კანდიდატს“ მისცემს ხმას იმ 400 ათასი მუსულმანი აფხაზის უმრავლესობა, რომელიც თურქეთის მოქალაქეა და ბევრ მათგანს „აფხაზური პასპორტიც“ ჩაბარდა? დიახ, ისინი მხარს დაუჭერენ საზოგადოებრივი ორგანიზაცია **„აფხაზეთის სახალხო მოძრაობის“** თავმჯდომარეს **ადგურ არძინბას,** რომელიც ადრე დე ფაქტო ვიცე-პრემიერი, აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრი იყო. თუ თქვენ არ ფლობთ ინფორმაციას, გაცნობებთ, რომ **იგი გახლდათ იმ პუტჩისტთა ჯგუფის თავკაცი, რომელმაც ასლან ბჟანიას ხელისუფლება დაამხო.** გაუწონასწორებელ და ძალაუფლების მოსურნე ამ ხარბ ადამიანს, რომელსაც აქვს მჭიდრო კავშირები როგორც კრიმინალურ სამყაროსთან, ასევე მედასავლეთე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სძულს ქართველები და ყოველივე ქართული, ხოლო „საპრეზიდენტო არჩევნებში“ გამარჯვების შემთხვევაში, რაც წინასწარ გადაწყვეტილი ამბავია, **ადგურ არძინბას** შესაძლებლობა მიეცემა,ააგოს აფხაზებისთვის დაპირებული **„დიდი აფხაზური კედელი“ მდინარე ენგურზე,** რათა აფხაზეთი საქართველოსგან საბოლოოდ და საიმედოდ გამიჯნოს!

სეპარატისტ **ადგურ არძინბას** „არჩევნებში გამარჯვება“ განპირობებულია იმით, რომ მისმა სიმამრმა **ალექსანდრ ჯინჯოლიამ** საკუთარი ჯიბი-

## კვირგვინოსნები

**ნანა კაკაბაძე**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*



**ხაზარაძეს,** ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ფაქტობრივად, **გლდანის ციხეში ფილიალი ჰქონდა გახსნილი და პატიმრებს ფულს სძალავდა,** რასაც შემდგომ ნაცების საარჩევნო ყულაბაში რიცხავდა. **ახლა პარტია „ლელოს“ დამფუძნებელია და ამიტომ ყველაფერი უნდა ეპატიოს?!** დადგა დრო, **კრიმინალური ფაშისტური რეჟიმი უნდა გავასამართლოთ და პოლიტიკური საქმიანობა ავუკრძალოთ.**

„საერთო გაზეთი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



როცა ცდილობ, პოლიციელს მხარზე სტიკერი დააკრა, ხოლო **პოლიციის მაღალჩინოსანს სახეში სილას ულაწუნებ, ვინც არ უნდა იყო, აუცილებლად ადეკვატურ პასუხს უნდა დაელოდო** — კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე პოლიციის პასუხი არის ადეკვატური.

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი ვოლსკი**
*პარლამენტარი*



**არის გარკვეული ამოცანა,** რომ როგორმე **ეს ქვეყანა შეირყეს.**

„რეზონანსი“

**ნიკა გილაური**
*საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი*



**დასასანქცირებელთა სიაში ჩემი ძმის მოხვედრა** მიზანმიმართულ, პროცესის მადისკრედიტებელ ოპერაციას ჰგავს, რომელსაც **კარგად ეტყობა კაგებეშნიკური ხელწერა.**

„რეზონანსი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



ოლიგარქის რეჟიმი **11 წლის მოსჯას მიპირებს,** ახლა მაინც აღარ დახუჭოთ თვალი უსამართლობაზე.

„რეზონანსი“




დან 300 ათასი დოლარით დააფინანსა ნოემბრის პუტჩი აფხაზეთში. იყვნენ სხვა სპონსორებიც, მაგრამ **ჯინჯოლია** მათ შორის უმსხვილესია, რადგან მის სიძესთან — **ადგურ არძინბასთან** ვიცე-პრეზიდენტად გამწესდება **ალექსანდრ ჯინჯოლიას** ნათესავი **ალხას „მასიკ“ ჯინჯოლია. მიმაჩნია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი უნდა ფლობდეს ამ ინფორმაციას და ისიც უნდა უწყოდეს, რომ ადგურ არძინბა, მისი მეუღლე ასტანდა ჯინჯოლია, სიმამრი ალექსანდრ ჯინჯოლია და მათი ოჯახის ყველა წევრი აფხაზეთისა და რუსეთის მოქალაქეობის გარდა, შვეიცარიის მოქალაქეებადაც გვევლინებიან.**

სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაციამ მხოლოდ რამდენიმე დღით დაიცვა **„ვალდებულებათა ბალანსი“** და აფხაზეთს აღუდგინეს როგორც სოციალური დახმარება, ასევე ელექტროენერგიის მიწოდება, რომლის ნაწილსაც, **ადგურ არძინბასა და მისნაირების გასახარად,** აზერბაიჯანისგან იძენდა, თავად ეს პირები კი აგრძელებდნენ მაინინგს და მილიონებს შოულობდნენ ბიტკოინების გენერირებით, როცა სრულიად აფხაზეთი წყვდიადში იყო ჩაფლული, ხოლო ელექტროენერგია და წყალი გრაფიკით დღეში ორი საათით მიეწოდებოდა!

სხვათაშორის, **ბატონო ირაკლი,** 90-იანი წლების მსგავსად, დროებით **ხომ არ დაგვეწესებინა თბილისში მკაცრი გრაფიკი ელექტროენერგიის მიწოდებაზე და ხომ არ აღგვედგინა ბარათები პურსა და კარაქზე, რათა გონებაარეულ ახალგაზრდობას, რომელსაც ოპოზიცია ვერაგულად იყენებს და პროვინციული ლიბერალ-ფაშიზმისაკენ უბიძგებს, ეგრძნო, თუ რა მოელის საქართველოს რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტის შემთხვევაში? გარწმუნებთ, რუსულ პურზე გაზრდილი ახალგაზრდა რუსოფობები ერთ დღესაც ვერ გაძლებენ წყვდიადსა და სიცივეში, ნავთისა და პურის რიგებში, რის შემდეგაც სამუდამოდ დაივიწყებენ ევროპას!**

ეს კი ვიდეოკადრებია სოჭში არსებული **ადგურ არძინბას** ბინიდან საცხოვრებელ კომპლექს „ალექსანდრიის შუქურაში“. როგორ ფიქრობთ, არის იქ შუქი და წყალი? ცნობისათვის, არძინბას სიმამრს — **ალექსანდრ ჯინჯოლიას** უპირებდნენ რუსეთის მოქალაქეობის ჩამორთმევას „ანტიკონსტიტუციურ ქმედებათა პროვოცირებისა და წაქეზებისათვის“, მაგრამ, როგორც ამბობენ, თურქეთის პრეზიდენტ **რეჯეფ ტაიპ ერდოღანის** შუამდგომლობით, რუსეთის გენპროკურატურაში ამის შესახებ „დაივიწყეს“.

**ბატონო ირაკლი!**

ღია წერილი არ გახლავთ ტრაქტატი, ამიტომ შეუძლებელია და არც არის სასურველი, ყველაფერი დღის სინათლეზე გამოვიტანოთ. დასასრულ მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ **300 წლის განმავლობაში — მე-16-მე-19 საუკუნეებში აჭარა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო და მხოლოდ 1878 წელს, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, გადაეცა რუსეთს, ხოლო 1921 წელს — საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ავტონომიის უფლებით.** ალბათ, არ ღირს **პრეზიდენტ ერდოღანის** 7 წლის წინანდელი სიტყვების უტრირება **„თურქეთის ფიზიკური საზღვრების შესახებ, რომლებიც განსხვავდება ჩვენს გულებში არსებული საზღვრებისაგან“: „განა შეიძლება, განაცალკევო რიზე ბათუმისაგან? ბათუმი, სალონიკის, ალეპოსა და მოსულის მსგავსად, ყოველთვის ოსმანთა გულებშია!“.** აკი, თურქეთის პრეზიდენტი წარმოშობით აჭარიდან გახლავთ, ხოლო მისი პაპის პაპა ბათუმის ორთა ჯამეს მეჩეთის იმამი იყო... ასე რომ, **თუ საქართველოში არეულობა დაიწყება, თურქეთს შეუძლია, გამოვიდეს 1921 წლის მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებიდან ამჟამად არარსებულ „რსფსრ“-სთან და თურქეთის ჯარებმა თავისუფლად დაიკავონ ერდოღანისათვის ეგზომ მშობლიური აჭარა.**

***„2008 წლის 8 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, თურქეთი მზად იყო, განეთავსებინა თავისი ჯარები აჭარაში, თუ საქართველოს მთავრობა ვერ შეძლებდა რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფას“,*** — განაცხადა 2009 წლის 3 მარტს „საქინფორმი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა **ვანო მერაბიშვილმა,** მაგრამ მას შესაძლოა, არ სცოდნოდა, რომ თურქეთმა იმ დღეებში მხოლოდ იმის გამო არ შეიყვანა ჯარები აჭარაში, რადგან მოსკოვმა გააფრთხილა, ასე არ მოქცეულიყო. და დღეს, **თუკი ანკარაში შეამჩნევენ, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება შეტორტმანდა, თურქი სამხედროები უმალ დაამყარებენ წესრიგს საქართველოში, ხოლო რუსთაველზე მოხეტიალე ტუტუცი ადგილობრივი ნეოფაშისტები, რომლებიც ქართული „მაიდნისათვის“ იღვწიან, ევროპის მაგივრად აღმოჩნდებიან თურქულ ვილაიეთში და დაჩქარებული წესით დაიწყებენ თურქული ენის შესწავლას.** დანარჩენები ემიგრაციაში წავლენ, მსგავსად სალომე ზურაბიშვილის წინაპარი ქართველი მენშევიკებისა 1921 წელს.

***არნო ხიდირბეგიშვილი,***

*ქართული საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“-ს გენერალური დირექტორი და მთავარი რედაქტორი, უშიშროების, სტრატეგიული ანალიზისა და საინფორმაციო პოლიტიკის ცენტრის დირექტორი*

*2025 წლის 19 იანვარი*

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ხუნდაძე**

*„ხალხის ძალის“ წევრი*



აგენტურული ოპოზიცია **დაკვეთილი პერფორმანსებით და უკადრებელის კადრებით,** ქვეყნის სხვაზე დამოკიდებულებისთვის იბრძვის. **სწორედ ეს არის მონობის კლასიკური მაგალითი,** როცა მთლიანად სხვაზე დამოკიდებული ხდები.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**სალომე სამადაშვილი**

*„ძლიერი საქართველოს“ წევრი*



დიახ, უნდა აირჩიო: **უპირისპირდები ოკუპანტს ან ირჩევ შეფურთხებას სახეში და საჭმელში! შალვა პაპუაშვილმა** და „ქართულმა ოცნებამ“ თვითონ გადაწყვიტეს, რომ დადგნენ იმ მხარეს, **სადაც არის ფურთხი საკუთარი საზოგადოებისგან.**

აღვწერე ყველა, ვისი სერვისითაც ვსარგებლობ, **ვინც ახლა არაა გაფიცული,** მათ მომსახურებაზე დღეიდან მაქსიმალურად ვიტყვი უარს.

„ინტერპრესნიუსი“



# ტრა(მ)პიდან ჩამოსახსნელები









***ამერიკის შეერთებული შტატების 47-ე პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ინაუგურაციაზე საქართველოდან გამგზავრებული ნაცპოლიტიკანები, წესით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში თვითმფრინავის ტრაპიდანვე იყვნენ ჩამოსახსნელი, რადგან გლობალური ომის პარტიისა და ე.წ. დიფ სთეითის, იგივე ფარული დასის აგენტურას არაფერი ესაქმება იმ კაცის საპრეზიდენტო კურთხევაზე, რომელიც იმავე ფარულ დასს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს.***

ცხადია, **გლობალური ფარული დასის** ნომრიანი თუ უნომრო აგენტები, როგორებიც **სალომე ზურაბიშვილი, მამუკა ხაზარაძე და ჭუჭუ ვაშაძე** არიან, დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო ინაუგურაციაზე არც თავად დონალდ ტრამპს მიუწვევია და არც იმ ხალხს, ვისთან ერთადაც აშშ-ის ახალი პრეზიდენტი ქვეყნის მართვას აპირებს.

ესენი — **ეს ტრაპიდან და ტრამპიდან ჩამოსახსნელი კოლექტიური ნაცები** — ინაუგურაციაზე აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის იმ წევრებმა დაპატიჟეს, რომლებსაც ე.წ. **დიფ სთეითთან, ანუ ფარულ დასთან** ბევრად მეტი საერთო აქვთ, ვიდრე თავად დონალდ ტრამპთან და იმ ღირებულებებთან, რომლებსაც ის და მისი ახლო გარემოცვა დეკლარირებენ.

მაგალითად, **ტრაპიდან ჩამოსახსნელი სალომე ზურაბიშვილი** ტრამპის ინაუგურაციაზე მიიწვია რესპუბლიკელმა კონგრესმენმა **ჯო უილსონმა,** რომელიც ნაცმოძრაობას ლობისტად ჰყავს დაქირავებული და საქართველოს ხელისუფლებას კვირაში 7 დღისა და დღეში 24 საათის განმავლობაში აგინებს, რაშიც გასამრჯელოს ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერების გამძარცველი **კეზერაშვილისაგან** იღებს.

არადა, 2016 წელს, როცა **დონალდ ტრამპი** პირველად გახდა აშშ-ის პრეზიდენტი, **სალომე ზურაბიშვილი** ფეისბუქში წერდა (სტილი დაცულია. რედ.):

***„ტრუმპის გამარჯვება მსოფლიოსთვის შესაძლოა უფრო მძიმე შედეგის მომტანი აღმოჩნდეს: რუსეთის და კერძოდ პუტინის მიმართ გამოცხადებული სიმპატიები და აგრესიის შემთხვევაში ჩამოუყალიბებელი პოზიცია, ნატო და ევროპის მიმართ საკმაოდ ბუნდოვანი ხედვები... იმიგრანტების მიმართ მკაცრი ზომების დაწესება და ქსენოფობიური განცხადებები... მისი პოპულისტური და სრულიად გაუთვლადი რეაქციები კრიზისულ სიტუაციებში“.***

მიუხედავად ამისა, **ტრაპიდან და ტრამპიდან ჩამოსახსნელი ზურაბიშვილი,** რომელიც აშშ-ის დღევანდელ პრეზიდენტს „პოპულისტსა“ და „ქსენოფობს“ ეძახდა, ახლა მის ინაუგურაციაზე დასწრების გამო არავითარ უხერხულობას არ გრძნობს ისევე, როგორც **ჭუჭუ ვაშაძე** და ნაცმოძრაობის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც 2020 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში ბაიდენის გამარჯვებით ხარობდნენ, ტრამპის დამარცხებას ზეიმობდნენ და მას **„ბოროტ კლოუნს“, „რუსეთუმესა“ და „გაკოტრებულ ოლიგარქს“** უწოდებდნენ.

ცხადია, **ტრამპიდან ჩამოსახსნელ ზურაბიშვილს, ხაზარაძეს, ვაშაძესა და გლობალური ფარული დასის სხვა აგენტებს** ტრამპის ინაუგურაციაზე უკანა კარით მოხვედრა თუ ფანჯრიდან შეძრომა ვერავითარ დივიდენდებს ვერ მოუტანს, რადგან ისინი იმ პოლიტიკისა და იდეოლოგიის სრული ანტიპოდები არიან, რომელსაც აშშ-ის ახალი პრეზიდენტი თავის გუნდთან ერთად განასახიერებს.

დიახ, **ყოვლად შეუძლებელი და გამორიცხულია, პრეზიდენტ ტრამპის კონსერვატორულმა, ანტილიბერალურმა და ანტილგბტ ადმინისტრაციამ საქართველოში იმ პოლიტიკურ წარმონაქმნებთან დაიჭიროს საქმე, რომლებიც ლგბტ დროშას აფრიალებენ და გეი-მანიფესტებზე კოლექტიურად აწერენ ხელს!**

ამერიკის შეერთებულ შტატებში სათავეში **დონალდ ტრამპის** ადმინისტრაციის მოსვლა, რაც ოფიციალურად დღეიდან — **2025 წლის 20 იანვრიდან** — გაფორმდება, მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში გარდუვალად მოასწავებს ახალ პოლიტიკურ რეალობას, სადაც **ტრაპიდან და ტრამპიდან ჩამოსახსნელთა** ადგილი არავითარ შემთხვევაში არ იქნება!

***ჯაბა ხუბუა***



# მაია ნიკოლეიშვილი: ეს რევოლუციონერი შიგევროპელები ამერიკული ლენინიზმით არიან შეპყრობილი!

***თითქმის ორი თვეა, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო აქციების თაობაზე საზოგადოება ნაირგვარ პოლიტიკურ შეფასებას ისმენს და კითხულობს, თუმცა, ცნობილი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი და პოლიტიკის ანალიტიკოსი, სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი პოლიტპატიმარი მაია ნიკოლეიშვილი ჩვენთან ინტერვიუში ისეთ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელთა შესახებაც საჯარო სივრცეში ძალიან იშვიათად მსჯელობენ ან საერთოდ არ ლაპარაკობენ:***

— დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს ცივილიზაციური ბრძოლა ნორმალურობასა და არანორმალურობას შორის, რაც, ცხადია, საქართველოზეც აისახება. **ის, რასაც მომიტინგეებად წოდებული სახედაკარგული შეშლილები რუსთაველის გამზირზე და თბილისის ქუჩებში აკეთებენ, აბსოლუტური არანორმალურობა და სიგიჟეა, რომლის მსგავსი მაშინაც არ მინახავს, როცა ასათიანის საავადმყოფოში ფსიქიატრიის პრაქტიკულ კურსს გავდიოდი.**

**— კონკრეტულად რა გაქვთ მხედველობაში, როცა მომიტინგეთა არანორმალურობასა და სიგიჟეზე საუბრობთ?**

— საპროტესტო აქციებზე ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც საპასპორტო ასაკის მიხედვით, სრულწლოვნები და ზრდასრულები არიან, მაგრამ 5-6 წლის მავნებელი ბავშვის ფსიქიკა და საქციელი აქვთ. ავიღოთ თუნდაც მოწოდება საჭმელში ჩაფურთხების შესახებ... ეს არის მავნებელი ბავშვის ქცევა, რომელსაც მშობლებისაგან ყურადღება აკლია, მაგრამ, როცა მსგავსი აზრი მოწიფული ადამიანის თავში ჩნდება, ეს მის არანორმალურობაზე მიუთითებს.

უნდა ითქვას, რომ მავნებელი ბავშვის ქცევები, რასაც საქართველოში ზრდასრული მომიტინგე შიგევროპელებისაგან ვხედავთ, ერთგვარად უნიკალური მოვლენაა, რადგან სხვა ქვეყნებში მომხდარი ფერადი რევოლუციების დროს მსგავს რამეს ადგილი არ ჰქონია. იგივე უკრაინაში მომხდარი ე.წ. ევრომაიდნის დროს ქალები ქალურად იქცეოდნენ და მამაკაცები — მამაკაცურად, თბილისში მიმდინარე აქციებზე კი მასკულინურ ქალებსა და ფემინურ მამაკაცებს ვხედავთ. უკაცრავად, მაგრამ მათ შემხედვარეს ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ

**ერთ დღესაც რუსთაველის გამზირზე კოლექტიური ჩახდის პერფორმანსი რომ მოაწყონ, ქალებს მამაკაცის სასქესო ორგანო გამოუჩნდებათ და მამაკაცებს – ქალის!**

**— კიდევ რა ფსიქიკური თავისებურებები ახასიათებთ თბილისში მიმდინარე აქციების მონაწილეებს და რით შეიძლება იყოს გამოწვეული ის გადახრები, რომელთა შესახებაც თქვენ საუბრობთ?**

— თბილისის ურბანიზაციამ და 21-ე საუკუნის ტექნოლოგიურმა პროგრესმა მოიტანა ის, რომ ეზოს ფენომენი, ფაქტობრივად, მომსპარია — ბავშვები ეზოებში აღარ იზრდებიან, გაჯეტებზე არიან მიჯაჭვული და ნახევრად ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობენ. შესაბამისად, მივიღეთ ინფანტილიზმითა და მავნე ბავშვის კომპლექსებით დახუნძლული თაობა, რომელსაც რეალობის სერიოზულად და კრიტიკულად აღქმის უნარი არ გააჩნია. რამდენიმე დღის წინათ

**ვნახეთ, რომ აქციის მონაწილე ახალგაზრდებს ხელში ზეთის ბოთლები ეჭირათ და გაჰყვიროდნენ – „აიზეთოს კობახიძე“, „აიზეთოს მდინარაძე“... ეს აბსოლუტური**




## «ასეთი შეშლილი მავნებლებისაგან ახალი

### კვირგვინოსნები



**სვიმონ ჯანგულაშვილი**
*საზოგადოება „ქართულის“ თანადამფუძნებელი, დირიჟორი*

**ღვინოში ჩაფსმა და საჭმელ-სასმელში ჩაფურთხება** ცხადი ნიშანია ნაცური „სახალხო“ პროტესტის **მარგინალიზებისა და სასოწარკვეთის სტადიაში შესვლისა.**

„აიპრესი“



**ანა ნაცვლიშვილი**
*„ძლიერი საქართველოს“ წევრი*

„ქართული ოცნება“ **ნიღაბს იხსნის** და **ნიღბის უკან** ძალიან მკაფიოდ ჩანს **რუსეთი და რუსული „ბესპრიდელი“.**

„პალიტრანიუსი“



**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ფედერალისტების“ ერთ-ერთი ლიდერი*

**ხალხი რეცხავს ნაცებს,** ათი პროცენტი აიღეს და თბილისში **მეხუთე ადგილზე გავიდნენ.**

„პირველი არხი“



**შოთა გლურჯიძე**
*მხატვარი*

ყველაზე მრავალრიცხოვანი, **გრანდიოზული მარში** იცით, რომელი იქნება, **ივანიშვილის მიერ დაფინანსებულების, უმადურების მარში,** რომელთაგან ზოგი სიკვდილს გადაარჩინა, ზოგს ბიზნესი გადაურჩინა, ზოგს სახლი უყიდა. ესენი თავიანთი ოჯახებით თუ გამოვლენ, **ყველაზე მასშტაბური მარში გაიმართება.**

„საერთო გაზეთი“



**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*

ვიცი, რომ **ტრამპის** ფლორიდის აგარაკზე **საქართველოს ამბები განიხილება.** მიუხედავად იმისა, რომ პატარა ერი ვართ, ჩვენდა სასიკეთოდ ისე აღმოჩნდა, რომ **შეძლებული ემიგრაციის ნაწილი გვყოლია, რომელთაც სიტყვა ეთქმით ძალიან მაღალ კაბინეტებში** და, რაც მთავარია, მათ უსმენენ.

„კვირის პალიტრა“

## უტვინობა და დეგრადაცია მათთვის სახალისო და გასართობია, რადგან რუსთაველის გამზირზე ყოველ საღამოს ისე იკრიბებიან, როგორც ბირჟაზე.

გაიზარდნენ ისე, რომ ეზო არ უნახავთ, ახლა კი მთელი რუსთაველის გამზირი გაუხდიათ ეზოდ, სადაც თამაშობენ. დიახ, ეს მათთვის თამაში და იმ ვირტუალური სამყაროს გაგრძელებაა, სადაც გაიზარდნენ. ვინმემ რომ უთხრას — „შინ ევროპაში“ კი არა, „შინ მარსზე“ იყვირეთო, დადგებიან და მოითხოვენ — მარსზე გვინდაო!

მოკლედ, ეს ჩვენი რევოლუციონერი შიგევროპელები ამერიკული ლენინიზმით არიან შეპყრობილი!

**— „ამერიკული ლენინიზმი“ რა ფენომენია?**

— პირველი ფერადი რევოლუცია 1917 წელს სწორედ ლენინმა და ტროცკიმ მოაწყვეს! ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ბირთვულ შეიარაღებასთან დაკავშირებული კონკურენცია გაჩაღდა, ამერიკაში ფიზიკოსები შეკრიბეს იმაზე სამსჯელოდ, თუ რა რესურსები გააჩნდათ ბირთვული შეიარაღების განვითარებისათვის, თუმცა, თათბირზე ერთ-ერთმა ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა განაცხადა — ყველაზე ძლიერი იარაღი, რაც საბჭოთა კავშირს გააჩნია, ეს არის რევოლუციების ორგანიზება და ჩვენ ეს უნდა ვისწავლოთო! ამის შემდეგ ამერიკაში მართლაც შექმნეს ლენინიზმის ლაბორატორიები, სადაც ფერადი რევოლუციების ტექნოლოგიებს ასწავლიან. იგივე ორგანიზაცია **„კანვასი“**, რომელმაც საქართველოში შიგევროპელი პროტესტანტები დაატრენინგა, სხვა არაფერია, თუ არა **ლენინიზმის ლაბორატორია.**

**— როგორც ამბობთ, აქციებზე მდგარი ახალგაზრდების დიდი ნაწილი ვირტუალურ სამყაროშია ჩარჩენილი და რეალობის აღქმა არ შეუძლია... აქედან გამომდინარე, რა მოელის მათ ფსიქიკასა და მენტალობას, როცა რეალობის წინაშე დადგებიან და მიხვდებიან, რომ მიზანს ვერ მიაღწიეს?**



## „პირველი ფერადი რევოლუცია 1917 წელს სწორედ ლენინმა და ტროცკიმ მოაწყვეს!“

## – როცა ვირტუალურ რეალობაში მცხოვრები რევოლუციონერები მიხვდებიან, რომ არაფერი გამოუვიდათ, მათი შინაგანი სამყარო დაიმსხვრევა და პანიკური შეტევები დაეწყებათ.

სოციალურ ქსელებში არაერთი ვიდეო გავრცელდა, თუ როგორი ცხარე ცრემლებით ტიროდნენ ახალგაზრდა გოგონები — **ვაიმე, დავიღუპეთ, ევროპაში ვეღარ შევალთო!** საერთოდ, ამ შიგევროპელების პროტესტი უკიდურეს ზიზღსა და სიძულვილზეა აგებული. „იმედის“ ერთ-ერთი გადაცემის წამყვანის შვილმა ვიდეო გამოაქვეყნა — **მინდა, ყველა ქოცი მოკვდეს ისეთი ტანჯვით, როგორც ჯერ არავინ დატანჯულაო!** ხელმოცარვისა და ილუზიების დამსხვრევის შემდეგ ესენი ყველასა და ყველაფრისადმი, მათ შორის, საკუთარი თავის მიმართაც კიდევ უფრო სასტიკები და აგრესიულები გახდებიან.

ერთი სიტყვით, შეიძლება, მივიღოთ აბსოლუტურად ასოციალური, **ფსიქოლოგიურად დაინვალიდებული ადამიანების დიდი ჯგუფი,** რომელიც ან საბოლოოდ ჩაძვრება თავის გაჯეტებში და ვირტუალური სამყაროდან თავს აღარ ამოყოფს, ან კიდევ უფრო მავნებელი გახდება და ეცდება, გააფუჭოს ყველაფერი, რაზეც კი ხელი მიუწვდება.

**— თუ ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც თქვენ ვარაუდობთ, ცხადია, ამ ადამიანებს შველა დასჭირდებათ და, მათ შორის, სახელმწიფოს პასუხისმგებლობაც იქნება, მათ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე იზრუნოს. ეს როგორ უნდა მოხდეს?**

— რაკი ეს რევოლუციონერი შიგევროპელები ამერიკული ლენინიზმით არიან დაავადებული, მათი განკურნების მეთოდებიც ლენინის ეპოქაში უნდა ვეძებოთ. ვფიქრობ, ეფექტური იქნება ე.წ. მაკარენკოს მეთოდის გამოყენება, რაც იძულებით შრომასა და იძულებით განათლებას გულისხმობს. ადრეულ საბჭოთა კავშირში ძალიან ბევრი მაწანწალა ბავშვი იყო, ისინი სრულიად ასოციალურები გახლდნენ, სარდაფებში ცხოვრობდნენ და კრიმინალურ საქმიანობას ეწეოდნენ. ცნობილმა პედაგოგმა და მწერალმა **ანტონ მაკარენკომ** ეს ბავშვები ძალიან ხისტი მეთოდებით შეაგროვა და თავი მოუყარა ნახევრად დახურული ტიპის სკოლა-ინტერნატში, სადაც იძულებით ასწავლიდა შრომას და აძლევდა ელემენტარულ განათლებას, რითიც ისინი სოციუმისათვის მისაღებ ადამიანებად აქცია. ასე რომ, მავნებელი ბავშვის ფსიქიკის მქონე ზრდასრული შიგევროპელებისათვის მაკარენკოს მეთოდი ზედგამოჭრილი იქნება, თუმცა, ამას კადრების მომზადება, მათ შორის, ექსტრემალური ფსიქოლოგიის სპეციალისტთა მობილიზება დასჭირდება.

**— ყოფილი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ბოლო დროს ხშირად იმეორებს და ზოგიერთი ე.წ. ექსპერტიც აცხადებს, რომ ახალი, ჯანსაღი პოლიტიკური ძალა სწორედ იმ ახალგაზრდობაში უნდა დაიბადოს, რომელიც ახლა რუსთაველის გამზირზე დგას და ვითომ თვითორგანიზებულ პროტესტს გამოხატავს. როგორ ფიქრობთ, მართლა არის შესაძლებელი ამ კონტინგენტისაგან ახალი ოპოზიციური ძალის წარმოქმნა?**

— ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ, როგორც ქაქისაგან კანფეტი არ გაკეთდება, რუსთაველზე მდგარი ასეთი შეშლილი მავნებლებისაგან ახალი პოლიტიკური ძალა ვერ დაიბადება!

საერთოდ, რასაც ამ საპროტესტო აქციების სახით ვხედავთ, პოლიტიკური პროცესი კი არა, ეროვნული ტრაგედია და ცივილიზაციური კოლაფსია, რომელიც უკრაინამ უკვე განიცადა და მისი განადგურებით დასრულდა.

ისე კი, ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენა მართლაც აუცილებელია, მაგრამ ეს კონსტრუქციული ძალა უნდა იყოს და არა ისეთი, როგორზეც **მიხაელ როთი** და საქართველოს მოსაკლავად დაქირავებული პოლიტიკური ქილერი **სალომე ზურაბიშვილი** ოცნებობენ!



„ამ რევოლუციონერი შიგევროპელების მიმართ ეფექტური იქნება ე.წ. მაკარენკოს მეთოდის გამოყენება, რაც იძულებით შრომასა და იძულებით განათლებას გულისხმობს!“

# პოლიტიკური ძალა ვერ დაიბადება!»

*ესაუბრა*
**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები



**ირაკლი კუპრაძე**
*„ძლიერი საქართველოს“ წევრი*

**„შარლ მიშელი-2“** არ იქნება — **იქნება მხოლოდ და მხოლოდ ახალი არჩევნები თავისუფალ გარემოში,** იმ პირობებში, როცა იქნებიან პოლიტპატიმრები გათავისუფლებული. „ინტერპრესნიუსი“



**ლევან ბერიძე**
*სამხედრო ექსპერტი*

**ოპოზიციის შიდა სამზარეულოში ჯანსაღი პროცესები არ მიმდინარეობს.** მიტინგზე სიარული კარგია, მაგრამ მე ვერ ვნახე ოპოზიციის **გაერთიანებული გზავნილების** გაჟღერება. „ახალი თაობა“



**მიხაელ როთი**
*ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე*

ჩემი გზავნილი მკაფიოა, ამ სიტუაციის დაძლევის **ერთადერთი შანსი ახალი არჩევნებია.** „ახალი თაობა“



**არჩილ გორდულაძე**
*პარლამენტარი*

**როთი არის ერთი ჩვეულებრივი ნაცი** და ყოველთვის ცდილობს, რომ მისი განცხადებები იყოს **ნაცმოძრაობის წისქვილზე წყლის დასხმა.** „რეზონანსი“



**თინა ბოკუჩავა**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი*

მოღალატე რეჟიმის მხრიდან **კვლავ 13 წლის წინანდელ მოვლენებზე საუბარი არის უკიდურესი ცინიზმი.** დარწმუნებული ვარ, რომ ეს საზოგადოებისთვის არ წარმოადგენს ინტერესის სფეროს. „რეზონანსი“



**სალომე ზურაბიშვილი**
*ყოფილი პრეზიდენტი*

**არჩევნები გააყალბეს,** მაგრამ ისიც მართალია, რომ **არ მოვემზადეთ, როგორც საჭირო იყო.** „რეზონანსი“



# მამუკა ფიფია:
# ამერიკის ახალ ხელისუფლებას, რუსეთსა და საქართველოს ფარული დასის სახით, საერთო მტერი ჰყავთ!

„გულდასმით წავიკითხე „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერი, რომელიც კაცობრიობის წინააღმდეგ **„დიფ სთეითის“** გაშმაგებულ ბრძოლას ეხმაურება და აღფრთოვანებული დავრჩი გაზეთის რედაქტორის, ბატონი **ლაშა ნადარეიშვილის** ინიციატივით, ამ უცხოურ ტერმინს, რომელსაც ამერიკის ახალარჩეული პრეზიდენტი საკმაოდ ხშირად იყენებს ხან — „ჩრდილოვანი სახელმწიფოს“, ხანაც „ომის პარტიის“ მნიშვნელობით, მკაფიო ქართული შესატყვისი — **„ფარული დასი“** ეწოდოს. ასეთი განმარტება ზუსტად გამოხატავს ამ ბანდის ნამდვილ არსს! დიახ, **ფარული დასის** მხილება თანამედროვე კაცობრიობის მთავარი ამოცანაა!“ **— აცხადებს პარტია „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ საერთაშორისო მდივანი მამუკა ფიფია:**

— ამერიკის ვერტიკალი ახლაღა შეუდგა **ფარული დასის** წინააღმდეგ ზომების მიღებას, თუმცა, მართლმადიდებელი სამყაროს ბურჯი სახელმწიფოები — საქართველო და რუსეთი რახანია, **ფარულ დასს** არამხოლოდ ამხელენ, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ფიზიკურადაც უპირისპირდებიან. რუსეთმა **ფარული დასისგან,** ამ ანტიქრისტიანული ბანდისგან ბოლო პერიოდში საკუთარ თავზე მთავარი დარტყმა მიიღო. საქართველომაც მრავალი თავდასხმა მოიგერია, მაგრამ რუსეთი დიდია, ძლიერია, ჩვენ კი პატარა ქვეყანა და მცირერიცხოვანი ერი ვართ. არადა, იგივე შემადგენლობით გვებრძვის **ფარული დასი,** ამიტომაც მათი შეტევების შედეგები ჩვენზე უფრო სწრაფად და მკვეთრად აისახება, ვიდრე რუსეთზე. უნდა გვიხაროდეს, რომ ჩვენ ამ ბრძოლაში მარტონი არ ვართ, ჩვენს გვერდით დიდი რუსეთია, რომელსაც მტერთან ბრძოლის მძლავრი და მრავალი ბერკეტი გააჩნია და ეს ბერკეტები ჩვენც გვიცავს, რათა **ფარული დასის** გაშმაგებული შემოტევები, რომელიც მომავალშიც იქნება, შედარებით უმტკივნეულოდ გადავიტანოთ. ამიერიდან კი **ფარულ დასთან** მებრძოლთა რიგებს ამერიკის ახალი პრეზიდენტიც შეემატა.

**— დასახელებიდანაც ჩანს, რომ ფარულ დასს იდუმალი ელფერი აქვს. თქვენი აზრით, რას წარმოადგენს ეს დაჯგუფება და რა კონკრეტული მიზნები გააჩნია?**

— **ფარული დასი** ის არაფორმალური დაჯგუფებაა, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე უკლებლივ ყველა პროცესში ფარულად მონაწილეობს. ისინი აფინანსებენ ყველაფერს და ყველგან! ცნობილი რუსული გამოთქმისა არ იყოს, „ყველა ღუმელში შეშას უკეთებენ“ (в каждую топку кидают деревяшку) და სათავისოდ ახურებენ უკლებლივ ყველა სფეროში — პოლიტიკაში, ეკონომიკაში, განათლებაში, მეცნიერებაში, ხელოვნებასა და სპორტში... თქვენ წარმოიდგინეთ, ტერორისტულ წრეებშიც ჰყავთ თავიანთი დაფინანსებული ერთგული ჯგუფები. შესაბამისად, ისინი არაოფიციალურად ხელმძღვანელობენ და მიმართულებას უდგენენ მსოფლიოში მიმდინარე უმთავრეს პროცესებს და მოვლენებს უმარტივესი მექანიზმით: **ფარული დასი** ნებისმიერი პროცესის წიაღში ქმნის ამ პროცესის ფსევდომიმართულებას! **ფარული დასი** აფინანსებს არამხოლოდ დემოკრატიულ ღირებულებებს, არამედ ლიბერალურ ფაშიზმსაც, კონსერვატიულ და თუნდაც კომუნისტურ ტენდენციებს, რათა ბუნებრივი, სპონტანური განვითარების კალაპოტიდან ამოაგდონ ნებისმიერი ძალა და მათგან მართულ გეზს დაუქვემდებარონ. **ფარული დასელები** სხედან და განსჯიან — რომელ ქვეყანაში რა მიმართულებაც უფრო მეტად პოპულარულია საზოგადოებაში, იმ მიმართულების ფსევდოვარიაციას უკაფავენ გზას. შეუძლიათ, კომუნისტის ნიღაბი მოირგონ და წითელი დროშები აafრიალონ, ან სვასტიკიანი სამკლავურები გაიკეთონ და ფაშისტური იდეოლოგიის კორიფეებად მოგვევლინონ. ვთქვათ, სადღაც ხალხი განიხიბლა ლიბერალიზმთან მიმართებაში... სასწრაფოდ ცვლიან ლიბერალურს ფსევდოკონსერვატიულით!

თავის დროზე საქართველოში ზუსტად ასეთი პრინციპით გზა გაუკაფეს ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც თავისი არსით და მოქმედების შორსმიმავალი შედეგებით ყველაზე უფრო ანტინაციონალური და ანტიეროვნული გამოდგა.

**— ამერიკაში ამჟამად რა პროცესი მიმდინარეობს? რამდენად რეალური და დამაჯერებელია ფარული დასის მხილების ტენდენცია?**

— **ფარულ დასში** — ამ საიდუმლო კორპორაციაში, რომელიც ამჟამად თაობების ცვლას განიცდის, გააჩნიათ ასტრონომიული ფინანსები და უზარმაზარი გავლენა სახელმწიფოს ყველა ინსტიტუტზე. **ფარული დასის** ახალგაზრდა თაობას გაუჩნდა მისწრაფება, ამ კორპორაციაში თავისი საკუთარი წილი და დივიდენდები იქონიოს. ფაქტობრივად, **ფარულ დასში** თაობათა შეპირისპირებაა. მარტივად რომ ვთქვათ, ახლა საუბარი იმას ეხება, ახალი თაობა (ილონ მასკი და სხვები) მოიპოვებს თუ არა ამ კორპორაციაში საკონტროლო პაკეტს და იქცევა თუ არა უმრავლესობად.

ლიბერალური ფაშიზმის წინააღმდეგ ამერიკის ახალი ვერტიკალის მიერ წამოწყებული კამპანია სწორედ **ფარულ დასში** თაობათა შეპირისპირებას ასახავს. ჯერჯერობით არავინ იცის, ეს დაპირისპირება რით დასრულდება. ფაქტია, რომ ტრამპი და მისი გუნდი უპირისპირდება **ფარული დასის** ძველ ტენდენციებს, ღირებულებათა სისტემას, რითაც **ფარული დასის** უფროსი თაობა მოქმედებდა. ეს ნიშნავს, რომ **ფარულ დასში** იბადება ახალი კორპორაცია, რომელიც იმავდროულად ამერიკის ოფიციალურ ხელისუფლებაშიც იქნება და ახალი სისტემით შეუდგება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მართვას. ასეა თუ ისე, ამჟამად **ტრამპი** მსოფლიოში კონსერვატიული ღირებულებების ფლაგმანად ითვლება. ის ცდილობს ახალ სტანდარტებსა და


დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
ასავალ დასავალი
2025 წლის 13 - 19 იანვარი
N 3 1574
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი
მტერი
MEGOBARI Act
ვამხილოთ ფარული დასი!
ვამხილოთ DEEP STATE!
აქტი
ან ქართული სახელმწიფო გაანადგურებს ფარულ დასს, ან ფარული დასი გაანადგურებს ქართულ სახელმწიფოს!
ამერიკელი ხალხი კოლექტიური ჯოჯოსგან, ანუ
ჯოჯო: ჯო უილსონი და ჯო ბაიდენი
ჯო ბაიდენისა და
ბონდო ქურდაძე:
ბიძინა ივანიშვილი გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ გახდება მეორე

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ლეჟავა**
*ექსპერტი*



როგორც კი „ოცნებამ“ დააანონსა **საგამოძიებო კომისიის შექმნა,** ნაცებმა ყველანაირ საზიზღრობასა და არაადამიანობაზე წასვლა გადაწყვიტეს. **ტანითვე იგრძნეს, თუ რა დაემართებათ ნაცებს და მათთან დაახლოებულ პირებს და გალიაში მყოფი ვირთხებივით იქცევიან...** მათთვის ახლა **დაპირისპირება, მსხვერპლი, ქაოსი და სიკვდილიც** კი ჯეკპოტივითაა... მხოლოდ ეგ დარჩენიათ და არც ჩერდებიან!

„იმედინფო“

**სოსო მანჯავიძე**
*ისტორიკოსი*



არ შეიძლება, **სახელმწიფო გადატრიალების, ფიზიკური და მორალური ანგარიშსწორების, ეკონომიკის ჩამოქცევის,** ქვეყნის მიმართ სანქციების შემოღებისთვის ხელშეწყობის **მოწოდებები და პრაქტიკული საქმიანობა** დაუსჯელი რჩებოდეს.

„იმედინფო“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური საქართველოს“ წევრი*



ნებისმიერი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა რომელიმე ქვეყანა დამისახელოს, სადაც **ვინმე გაბედავს, პოლიციელს სახეში ხელს გაარტყამს** და ან არ დააკავებენ, ან შესაბამისი მუხლით არ გაასამართლებენ.

„იმედინფო“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



კადრში ხედავთ, რომ **ბახარიამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა დიტო სამხარაძეს** და მასთან მყოფ ადამიანებს, რაზეც მათგან შესაბამისი პასუხი მიიღო. **დაპირისპირების ინიციატორი ბახარია იყო და კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს.**

„იმედინფო“




წესებზე დაფუძნებული კორპორაციის შექმნას, ხოლო ძველს — **ფარულ დასს,** იგივე **„დიფ სთეითს“** და იგივე **გლობალურ ომის პარტიას** — დუელის ხელთათმანს უგდებს. ახალ კორპორაციაში ის მილიარდერებიც შევლენ, რომლებიც თავის დროზე **ფარული დასისთვის** მიუღებლები იყვნენ. ფაქტობრივად, **ფარული დასის** იმგვარად გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობს, რასაც რეიდერულ დაპყრობას (рейдерский захват) უწოდებენ.

**— ამასობაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ახალი განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ „3+3“ ფორმატში საქართველოს თავისი ღირსეული ადგილი ელოდება.**

— შარშანწინ, 2023 წლის ზაფხულში, „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში პირველმა გავაკეთე განცხადება, რომ „3+3“ ფორმატი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარანტია და ამ ფორმატის მიღმა თუ დარჩება, საქართველოს მუდმივად სხვაზე დამოკიდებულება მოუწევს, უარეს შემთხვევაში კი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კატასტროფაც მოსალოდნელია. ისლამურ გეოპოლიტიკურ გარემოცვაში მოქცეულ საქართველოს ამჟამად მხოლოდ რუსეთის ფაქტორი იცავს პოლიტიკური რუკიდან გაქრობისგან, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოს ნამდვილი დამოუკიდებლობა მხოლოდ „3+3“ ფორმატში იქნება რეალიზებული. ამასთან, იკვეთება საუკეთესო შესაძლებლობა, არამხოლოდ ისარგებლოს საქართველომ „3+3“ ფორმატის დივიდენდებით, არამედ მისი ფლაგმანიც გახდეს და ამ ფორმატის დედაქალაქად თბილისი იქცეს!

რუსეთს საქართველო ყოველთვის სჭირდებოდა სტრატეგიულ პარტნიორად. საქართველოს გარეშე „3+2“ ფორმატი არავის სჭირდება, მას, უბრალოდ, ფუნქცია არ ექნება. ამიტომაც ისმის რუსეთიდან შესაბამისი მოწოდებები „3+3“ სრულყოფილი ფორმატის შესაქმნელად, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობის, ეკონომიკის და დემოგრაფიის აღმავლობის გარანტად ერთდროულად რამდენიმე დიდი სახელმწიფო იქცევა. უფრო მეტიც,

## 32 წლის განმავლობაში ფარული დასის გამუდმებული აქტიურობით, საქართველოში იმიტომ დაიღვარა ამდენი სისხლი, იმიტომ ჩამოგვაჭრეს აფხაზეთი, რომ რეგიონში „3+3“ ფორმატის მსგავსი ალიანსი არ შემდგარიყო!

ამჯერად კი ტრამპის მიერ **ფარული დასის** წინააღმდეგ დაანონსებული შეტევა საუკეთესო წინაპირობას ქმნის ამ ფორმატის განსახორციელებლად, რომელიც 6 ქვეყნის **(რუსეთი, ირანი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო)** ბინადარ, ჯამში 330 მილიონ ადამიანს ერთი მძლავრი პოლიტიკური და ეკონომიკური ქოლგის ქვეშ გააერთიანებს! საერთო ლოჯისტიკური ინტერესები შესაძლებლობებს გააჩენს, ცალკე ჩინელებთან და ცალკე ემირატებთან დამოუკიდებელი კონტაქტების დასამყარებლად! ჩვენ ხომ უახლოეს მეზობლებთან უნდა მოვაწესრიგოთ ურთიერთობა, რაც თავისი არსით განსხვავებული იქნება ისრაელის და მისი შორეული პარტნიორის — აშშ-ის სიტუაციური ალიანსისგან! ასეთი ფორმატი 90-იანებში რომ განხორციელებულიყო, თანამედროვე მსოფლიოს სულ სხვა სახე ექნებოდა, საქართველო კი ამ ხნის განმავლობაში მიწიერი სამოთხე გახდებოდა!

**ფარულმა დასმა** ყველაფერი იღონა, რომ ეს პროექტი ჩაეგდო. ახლა თავად **ფარული დასია** კრიზისში და ქართველებმა ამით დაუყოვნებლივ უნდა ვისარგებლოთ!

რაც შეეხება ანაკლიის პორტს და სხვა ტრანსკავკასიურ პროექტებს, ისინი კიდევ უფრო აძლიერებენ „3+3“ ფორმატის მნიშვნელობას, ამ ფორმატზე არიან მიბმული და მის განშტოებას წარმოადგენენ. ამერიკის ახალ ხელისუფლებას, რუსეთს და საქართველოს **ფარული დასის** სახით, საერთო მტერი ჰყავთ! **ფარული დასის** გლობალური მარცხის შემთხვევაში საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება დესტაბილიზაციის პერმანენტული ეპოქა და რეგიონში ეკონომიკისა და სულიერი ღირებულებების ნამდვილი გაბრწყინების ხანგრძლივი ხანა დაისადგურებს!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***




***— ბოლო 30 წელია, ჩემი ქვეყანა და ხალხი ასეთი ღირსეული არ ყოფილა! —***
***ეს „ქართული დასის“ ლიდერის, ყოფილი პარლამენტარის ჯონდი ბაღათურიას პასუხია იმ მოვლენებზე, რომელიც ბოლო დროს საქართველოში ვითარდება. მისივე თქმით, კინო დასრულებულია და მალე სულ სხვა პოლიტიკურ რეალობაში ვიცხოვრებთ:***



# ჯონდი ბაღათურია:

## ყველაზე დიდი სისულელეა იმის თქმა, რომ საქართველო იზოლაციაში მოექცა!

— მოდით, პირდაპირ ვთქვათ — ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა ჩაფლავდა, რადგან მიზეზი, რის გამოც ხალხი ქუჩაში გამოიყვანეს, იმთავითვე ტყუილი იყო — **არც არჩევნები გაყალბებულა და არც ევროკავშირში გაწევრიანებაზე უთქვამს „ქართულ ოცნებას“ უარი.** თვითონ ევროკავშირმა თქვა უარი 2030 წლამდე ნებისმიერი სხვა ქვეყნის მიღებაზე. ვერ იშორებდნენ თავიდან აბეზარა **ზელენსკის** და ამ გადაწყვეტილებით, პირველ რიგში, მას განუცხადეს — 2030 წლამდე არ დაგველაპარაკოო. ეს იყო და ეს. რა იყო ამაში გაუგებარი ან რა გახდა ქვებისა და „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლის საფუძველი?!

ის, რაც ვიხილეთ, იყო ოპოზიციის და მათი პატრონების უმწეო ფართხალი. ახლაც 15-20-კაციანი ჯგუფები გამოჰყავთ და აყვირებენ. არადა, მას შემდეგ, რაც ჰიქაში ატეხილი ეს ქარიშხალი დასრულდება, კიდევ უფრო უკეთ გამოჩნდება, როგორ ატყუებდნენ ხალხს!

**— ასე არ ფიქრობენ ის დასავლელი და ევროპელი ლიდერები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილს ასანქცირებენ და ევროპული გზიდან გადახვევის გამო საქართველოს იზოლაციაში მოქცევას ცდილობენ.**

— **უილსონს** რომ ვუყურებ, იმ მულტფილმის გმირს მაგონებს, დოლარები რომ ცვივა თვალებიდან. ეს არის აშკარად კორუმპირებული პირი. ყოველ ერთ საათში როგორ შეიძლება, აკეთებდეს განცხადებებს საქართველოზე, სხვა საქმე არა აქვს თუ ჩვენზე მეტად უყვარს ეს ქვეყანა? ფულს უხდიან და ისიც იძულებულია, ილაპარაკოს.

ყველაზე დიდი სისულელეა იმის თქმა, რომ საქართველო იზოლაციაში მოექცა. პირიქით, ჩემი ქვეყანა და ხალხი ბოლო 30 წლის განმავლობაში ასე ღირსეულად არასოდეს ყოფილა წარმოჩინებული საერთაშორისო ასპარეზზე. ყველა, ვინც ჩვენთან მიმდინარე პროცესებს თვალს ადევნებს, აღფრთოვანებულია ქართველი ხალხის ღირსებით, ინტელექტითა და მთავრობის სწორი, მართებული საქციელით. მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებში საქართველო არის ღირსეული მოთამაშე. ბოლოს და ბოლოს, მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენთან შეუთანხმებლად გადაწყვეტილებები ვერ იქნება მიღებული.

აქვე იმასაც ვიკითხავ — წაკითხული გაქვთ შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს მოხსენება?

**— ფარას მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას გულისხმობთ?**

— დიახ, თვითონ ამერიკელებმა გამოაქვეყნეს, როგორ უხდიდა **ბიძინა ალასანია** ფულს სხვადასხვა ლობისტურ კომპანიებს. ეს ამ ქვეყნის ძარცვის ხარჯზე ნაშოვნი ფულია, რომელიც სწორედ **უილსონებისა და კუბილიუსების** ჯიბეში მოხვდა იმისთვის, რომ მსგავსი განცხადებები ეკეთებინათ.

ბაიდენის ადმინისტრაციის განცხადებებს როგორ უნდა დაეყრდნო, როცა ერთიანად ჩარეცხილები არიან. მათ მიჰყვა შოლციც, მაკრონიც, ავსტრიის მთავრობაც. ხედავთ, რაც ხდება ბელგიაში, დანიას თვითონ ტრამპმა გამოუსვა ცელი. **ინერციით ლაპარაკობენ და ვიდრე ჩვენ ამაზე რეაქცია გვექნება, ისინიც იარსებებენ. ნუ ვაცოცხლებთ ძალით, მივცეთ სიკვდილის საშუალება!** რამდენიმე დღის წინათ, საყოველთაო გაფიცვას რომ აანონსებდნენ, გავიარე და სპე-

***გაგრძელება მე-12 გვერდზე***

## «ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა ჩაფლავდა!»



**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



რასაც **ლიბერალი ფაშისტები** დღეს კადრულობენ, ოპტიკური ილუზიაა — **ხალხის მწამებელი გვარამია** დღეს თავისუფლებაზე გვესაუბრება; **მწამებელი ახალაიების მშობელი მამა როლანდი** — ადამიანის უფლებებზე; **ნაცმედიაზონდერი ნანული ჟორჟოლიანი** მედიის თავისუფლებაზე გვწერს; **უნიჭო დოი** გვასწავლის ხელოვნების თავისუფლებას; **მწამებელი რეჟიმის არქიტექტორი მიშა** პალატიდან სახელმწიფოს როლს გვიხსნის; მისი **მონა ბარამიძე** — **აფრასიძეების მკვლელი,** ჰუმანურობაზე საუბრობს; **თაღლითი ხაზარაძე** ადამიანურ ფასეულობებზე მორალს გვიკითხავს; **ღალატის ფორმულა გიორგი გახარია** „კაცობას“ აწვება.

„აიპრესი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



**არანაირი ე.წ. ორგანიზებული თავდასხმა არ მომხდარა გახარიაზე,** თავად ყოფილა სამარცხვინო ხულიგანი. სამართალდამცველებმა უნდა დაჰკითხონ და **პასუხი აგებინონ ჩხუბის წამომწყებ ამ ვიგინდარას.**

„იმედინიუსი“

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



პოლიტიკოსად თვლის თავს ეს გარეწარი **გახარია** და მეორე პოლიტიკოსი კარებში ეკითხება — **მიცანიო?** ეს კიდევ პასუხად **ჭიქიან ხელს ურტყამს! ეს მოღალატე, ნაძირალა და მოძალადე!** თან, აშკარად არაფხიზელ მდგომარეობაში იყო.

„იმედინიუსი“

**ბერდია სიჭინავა**
*პარტია „გახარია საქართველოსთვის“ აღმასრულებელი მდივანი*



**გიორგი გახარია** თავს არავის დასხმია, **სამხარაძეს** ყავა თუ დაალევინა, სხვა საკითხია, **ვითხოვთ სრული ვიდეომასალის გასაჯაროებას.**

„პალიტრანიუსი“

## პოლიტიკოსის სიტყვა

# ჯონდი ბაღათურია:

# ნაციონალურ მოძრაობას სფითი აქვს შეყრილი!




**დასაწყისი მე-11 გვერდზე**

ციალურად დავაკვირდი, ერთ ადგილას 10-15 ბავშვამდე იდგა, მეორეგან — 25-მდე, ზოგანაც ორი — დროშააფარებულნი. აბსოლუტურად უტყვი თვალებით იყურებოდნენ, წარმოდგენა არ ჰქონდათ, რისთვის იყენებენ, არადა, ხალხს ყელში ამოუვიდა ამათი მაიმუნობა. არ შეიძლება, თავზე აჯდეს მთელ ქართველ საზოგადოებას 20 ან თუნდაც 200 კაცი. მიუღებელია, „მოლოტოვის კოქტეილების“ ავტორები საუბრობდნენ ულტიმატუმის ენით და ხელისუფლებას მასობრივ ძალადობაში ადანაშაულებდნენ. ამ „მოლოტოვის კოქტეილებით“ მეორე მსოფლიო ომის დროს ტანკებს აფეთქებდა ბაბუაჩემი.

კიდევ ერთხელ ვამბობ — ბანდა, რომელიც ამ პროცესებს უდგას სათავეში, სააკაშვილის რეჟიმის მიერ ნაქურდალ, ნაძარცვ, გიული ალასანიასა და კეზერაშვილის ფულებს ხარჯავს. ცალკეა გრანტები, რომელიც აუცილებლად უნდა გაკონტროლდეს. გამჭვირვალობის შესახებ კანონი ტყუილად ხომ არ მივიღეთ?! გრანტს როცა იღებს ადამიანი იალბუზზე თოვლის დნობის შესასწავლად, იმ საქმეში უნდა დახარჯოს და არა შვისტოკებით ქუჩაში სირბილისათვის. კეთილი ინებოს სპეცსამსახურებმა და გააკონტროლონ ფულადი ნაკადები — დაადონ ყადაღა, დაბლოკონ ანგარიშები, ბოლოს და ბოლოს, ჩამოართვან ნაქურდალი ქონება!

ხომ ხედავთ, რა დონემდე დავიდნენ, როგორი განწირულები არიან, რომ საჰმელში ჩაფურთხებისკენ მოუწოდებენ ხალხს.

**— ესეც ბრძოლის ერთ-ერთ ხერხად წარმოუდგენიათ...**

— ჩაფურთხება შეიძლება სადღაც ევროპაში მოსულა, მაგრამ არ ეკადრება ქართველ საზოგადოებას, ჩვენ უფრო მაღალი კულტურის მქონე ხალხი ვართ. ევროპას აქვს ინკვიზიციის, შეუწყნარებლობის, ბართლომის ღამის მოწყობის, ჯვაროსნული ომების, სოციალიზმის, ფაშიზმის, მუსოლინის, ჰიტლერის გამოცდილება. ბოლო-ბოლო, შუაგულ ევროპაში აკეთებდნენ ადამიანებისგან საპონს, ხოლო ტყავისგან შეკერილ ჩანთებს თავიანთ ქალებს ატარებინებდნენ. მიფურთხება და ჩაფურთხება მათგან გასაკვირი არ არის, მაგრამ საქართველოში ასეთი რამ არასდროს მომხდარა.

### რაღა მაინცდამაინც საჭმელში ჩაფურთხებას ასწავლით ახალგაზრდა თაობას? კაცობა ასწავლეთ, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ პატივისცემა ასწავლეთ...

მოკლედ, ნაციონალურ მოძრაობას **სფითი** *(ინგლ.* ***ფურთხი.*** *რედ.)* და **ფურთხება** აქვს შეყრილი, მაგრამ მე **გახარიასი** გამკვირვებია, კაცი, ბოლობოლო, პრემიერ-მინისტრი იყო და **გვარამიაზე** ან **ელისაშვილზე** მეტი ჭკუა ხომ უნდა მოგეკითხებოდეს?!

არ დაგიმალავთ, ადამიანურად შემეცოდა ნაცემი, მიწაზე დაგდებული გახარია, მაგრამ რომ გამოდის და ამბობს, საჭმელში ჩაუფურთხეთო, მერე ნუღარ უკვირს, თუ ვიღაც მიუბრუნდება და მასაც მიაფურთხებს.

**— მაინც, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ წესრიგის დასამყარებლად იმაზე მეტი, რაც უკვე გააკეთა?**

— არ დაუშვან კანონის მიღმა მოქმედება. პირველ რიგში, დამნაშავეებს ნაქურდალი ფული უნდა ჩამოერთვას, ოღონდ ისე არა, სააკაშვილს 500-დოლარიანი პიჯაკი რომ დაუყადაღეს. პროკურატურას წლებია, თაროზე უდევს ჩემ მიერ მიწოდებული დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც **გიული ალასანია** დაახლოებით 100 მილიონის ღირებულების ქონებას ფლობს. დოკუმენტები ჯერ ადეიშვილის პროკურატურას გადავუგზავნე, მოგვიანებით კბილაშვილის პროკურატურასაც მივაწოდე. კეთილი ინებონ და იქ ჩამოთვლილ ქონებებს, გიულისა და სააკაშვილის ანგარიშებს ყადაღა დაადონ. მერე თვითონ იმართლონ თავი და ამტკიცონ, რომ ეს ქონება მათ კანონიერი გზით აქვთ მოპოვებული. კიდევ ერთხელ ვამბობ — **სწორედ მათი ნაძარცვი ფულით ფინანსდება დღეს საქართველოსთვის სინდისის შელახვა, უილსონებისა და მისი მსგავსი კორუმპირებული პირების გამოსვლები, ცრუ სტატიების გამოქვეყნება, ქვების სროლა და საჭმელში ჩაფურთხება.** ეს წყარო უნდა გადაიკეტოს!

უკვე მეცამეტე წელია, ველოდებით სამართლიანობის აღდგენას. საზოგადოებამ თავისი გასაკეთებელი გააკეთა, ახლა ხელისუფლების — პროკურატურის, სპეცსამსახურების ჯერია!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## რეჟისორის თვალით




***საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ საქართველოში დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალება ვერ შედგა, თუმცა, მოდუნებისა და სიფხიზლის დაკარგვის დრო მაინც არ არის:***

# ლიაკა ხოშტარიამ თავისი ჩვენებით საკუთარი დეიდაშვილი – მსახიობი ანდრო ჭიჭინაძე დააჭერინა და მრავალწლიანი პატიმრობისთვის გაწირა!

— ე.წ. გაფიცვა, რომელიც შიგევროპელებმა გასულ კვირას შემოგვთავაზეს, აბსოლუტურად სამარცხვინო ცირკი იყო, როდესაც „მაკდონალდსის“ შენობის წინ რამდენიმე ვითომ გაფიცული თანამშრომელი იდგა, ხოლო შიგნით გაცხოველებული ვაჭრობა მიდიოდა ისევე, როგორც „პე-ეს-პესა“ და სხვა აფთიაქებში.

საერთოდ, პათოლოგიური სიცრუის ეპოქაში რომ ვცხოვრობთ, ამის კიდევ ერთი დასტურია ბათუმის სასტუმრო „შერატონში“ მომხდარი ინციდენტი, რომელსაც ფარისევლები **გახარიაზე** თავდასხმად ნათლავენ, არადა, გავრცელებულ კადრებში თვალნათლივ ჩანს, როგორ ჩაარტყა გახარიამ სახეში პლასტმასის ჭიქა **დეპუტატ სამხარაძეს,** რაზეც მისგან პასუხი მიიღო. მიუხედავად ამისა, ამერიკის საელჩოთი დაწყებული და შვედეთის საელჩოთი დამთავრებული, ყველა გაჰკივის — გახარიაზე თავდასხმასა და ხელისუფლების ძა-






მსახიობი ანდრო ჭიჭინაძე სასამართლო პროცესზე

## კვირგვინოსნები

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



მინდა, მივმართო **საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებს** და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს — **ნუ შეგეშინდებათ სამსახურიდან წამოსვლის** — გვაქვს მექანიზმები, როგორ უნდა დაგიდგეთ გვერდით.

„ინტერპრესნიუსი“

**ნიკა გვარამია**
*„კოალიცია ცვლილებებისთვის“ ლიდერი*



**რეჟიმი უნდა დაინგრეს! არც** დასუსტდეს, **არც** შერბილდეს, **არც** რამე დათმოს!

„ინტერპრესნიუსი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩი – მეტი თავისუფლების“ ლიდერი*



ლიდერები მოუწოდებდნენ — **აბა, ხალხო, მიაწექით, აგერ ვართო და თვითონ დამალული არიან.** არცერთი პოლიტიკური ლიდერი ციხეში არ ზის, **ხალხი კი ციხეში ზის ამ მოწოდებების გამო.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ნიკა მელია**
*„კოალიცია ცვლილებებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი*



უნდა ჩამოვყალიბდეთ, **„ოცნებამ“ არჩევნები მოიგო** ეფექტური მესიჯით — **„აბა, ომი გინდა?!“** — **თუ არჩევნები გაყალბდა?**

„პირველი არხი“



# „საქართველოში ამერიკის ელჩ დანიგანს ვურჩევ –

## ვიდრე სადმე ძალადობას დაგმობთ, გაიხსენეთ, რომ თქვენ წარმოადგენთ დედამიწის ზურგზე ერთადერთ ქვეყანას, რომელმაც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ატომური იარაღი გამოიყენა!“

ლადობას ვგმობთ!

**— საქართველოში აშშ-ის საელჩომ საგანგებო განცხადებაც კი გაავრცელა, რომელშიც ვკითხულობთ: „*შეერთებული შტატები გმობს პარტია „ქართული ოცნების“ მიმდინარე ძალადობას საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ, მათ შორის, ოპოზიციის ლიდერების, ჟურნალისტების, სამოქალაქო საზოგადოების წევრებისა და აქციის მონაწილეების მიმართ*“.**

— ეს ნიშნავს, რომ ე.წ. ევროატლანტიკური სივრცე მთლიანად დალპა და მისი აგენტები მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში აბსოლუტურად გაიხრწნენ. ისე კი, საქართველოში ამერიკის ელჩს, **ქალბატონ დანიგანს** ვურჩევ — ვიდრე სადმე ძალადობას დაგმობთ, გაიხსენეთ, რომ თქვენ წარმოადგენთ დედამიწის ზურგზე ერთადერთ ქვეყანას, რომელმაც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ატომური იარაღი გამოიყენა და ჰიროსიმასა და ნაგასაკიში 250 000 ადამიანი გაანადგურა!

სხვათაშორის, **ათი დღის წინათ კალიფორნიაში გაჩენილი გამანადგურებელი ხანძარი იმის სიმბოლოა, რომ ამერიკაში იწვის და იფერფლება თანამედროვე სოდომი, სადაც ჰოლივუდის ვაიხელოვანები პატარა ბავშვებს რყვნიდნენ!**

მოკლედ, თუ **ტრამპის** ადმინისტრაცია მენტალურად და ზნეობრივად განადგურებული ევროატლანტიკური სივრცის გამოსწორებას ვერ შეძლებს და მსოფლიოში გამეფებულ პორნოლიბერალიზმს ბოლოს ვერ მოუღებს, თავად ამერიკას მოეღება ბოლო!



ამერიკული ატომური ბომბით დანგრეული ქალაქი ჰიროსიმა

**— გასულ კვირას თბილისში, დოლიძის ქუჩაზე, რიგითი მოქალაქეები და ე.წ. გაფიცვის მონაწილეები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ, რამაც საზოგადოების ნაწილში კიდევ უფრო გაამძაფრა შიში მოსალოდნელი სამოქალაქო დაპირისპირების შესახებ. როგორ ფიქრობთ, ეს საფრთხე რეალურია?**

— სამოქალაქო დაპირისპირების გამოწვევა უკანასკნელი პუნქტია მაკკეინის ინსტიტუტის გეგმაში, რომლის ავტორებიც სულიერად გახრწნილი **ლორა ტორნტონები** არიან. ისინი **ხაზარაძეების, გვარამიებისა** და სხვა უსამშობლო ნაცისტების ხელით ცდილობენ, ქართველები როგორმე ერთმანეთს შეატაკონ, რადგან ბოლომდე გაფარჩაკებულებს ქვეყნის ასარევად და სახელმწიფოს ასაყირავებლად სხვა იარაღი აღარ შერჩათ.

თითქმის ორი თვეა, დიდი ძალისხმევის ფასად ვითმენთ ამ გახრწნილებისა და გარყვნილების, მჩხიბავებისა და სატანისტების შაბაშს, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებენ ჩვენს ეკლესიას, ჩვენს ღირებულებებს, ჩვენს წარსულსა და მომავალს, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს, ისევ ჩვენი სამშობლოს გამო უნდა მოვითმინოთ. ღმერთმა არ ქნას, ქართველ საზოგადოებას მოთმინების რესურსი ამოეწუროს, თორემ ეს ფარჩაკები ერთმანეთს გაასწრებენ ამ ქვეყნიდან, როგორც 2008 წლის ომის დღეებში წითელ ხიდზე რიგი ჰქონდათ დაყენებული და მთელი ნაცმოძრაობა დედაბუდიანად გარბოდა.

**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ ნაცლიბერალებმა ახალი კამპანია წამოიწყეს, რომლის ფარგლებშიც კვების ობიექტების პერსონალს მოუწოდებენ — ქოცებს საჭმელში ჩაუფურთხეთო?**

—ქართველი ადამიანისთვის ღვინო, პური, სუფრა, სტუმარი და მასპინძლობა წმინდა საქმეა, რომლის წაბილწვაც **გვარამიამ** დაიწყო, როცა მთელ საქართველოს უთხრა — ჩაგიფსით ღვინოშიო! შიგევროპელ ახალგაზრდებს, რომლებიც ახალ არჩევნებს ითხოვენ, ვეკითხები — **ხელისუფლებაში იმ გვარამიას მოყვანა გინდათ, რომელმაც თქვენს მამებსა და ბაბუებს ღვინოში ჩაუფსა?** ან რუსეთს ებრძვით იმ **ლიაკა ხოშტარიასთან** ერთად, რომელიც ფეესბეს თანამშრომელია და რუსეთის მსახურებაში დიდ ფულს უხდიან?

სხვათაშორის, **ლიაკა ხოშტარიამ** თავისი ჩვენებით საკუთარი დეიდაშვილი დააჭერინა და მრავალწლიანი პატიმრობისთვის გაწირა!

**— ვისზე ლაპარაკობთ?**

— აქციების დროს ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებული მსახიობი **ანდრო ჭიჭინაძე** ლიაკა ხოშტარიას ალალი დეიდაშვილია — მისი დედის დისშვილი. როცა პოლიციამ ხოშტარიას ოფისში ჩხრეკა ჩაატარა და დასაწყობებული პიროტექნიკა აღმოაჩინა, ლიაკა პირდაპირ ეთერში გაჰკიოდა — დიახ, ეს ყველაფერი ჩვენია და იმისათვის გვჭირდება, რომ აქციაზე პოლიციელებს ვესროლოთო! ფაქტობრივად, აღიარებითი ჩვენება მისცა და სხვებთან ერთად საკუთარი დეიდაშვილი **ანდრო ჭიჭინაძეც** გაწირა, რადგან დასაწყობებული პიროტექნიკის პატრონობა და განაწილება მისთვის ჰქონდა ჩაბარებული!

თავად **ხოშტარია** მაშხალებს ჰაერში ისროდა, ახალგაზრდებს კი აქეზებდა — პოლიციელებს ესროლეთო და არაერთი მათგანი საციხედ გაიმეტა ამ რუბლებზე სულგაყიდულმა სამშობლოს გამყიდველმა!

**— საბოლოო ჯამში, საქართველოში დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ჩაფლავდა თუ საფრთხე ჯერ კიდევ არსებობს?**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ქართველებმა პოლიტიკური დიდგორი მოვიგეთ! დიახ, **ბაიდენის ადმინისტრაციამ** და გახრწნილმა ევროკავშირმა პოლიტიკური ჯიჰადი გამოგვიცხადეს, მაგრამ დამარცხდნენ, რადგან საქართველოში კოლექტიური გვარამიას საქათმის გარდა სხვა დასაყრდენი არ გააჩნიათ!

მიუხედავად ამისა, არ უნდა მოვდუნდეთ და ფხიზლად ვიყოთ, რადგან პორნოლიბერალიზმის ამოძირკვას ამერიკაშიც და ევროპაშიც გარკვეული დრო დასჭირდება. მთავარია, რომ ის პოლიტიკა და ტენდენციები, რასაც **ტრამპი** და მისი გუნდი დეკლარირებენ, სრულ თანხვედრაშია ქართული სახელმწიფოს კურსთან, რომელსაც ხელისუფლება ქართველი ხალხის დაკვეთით მიჰყვება.

ამასთან, გვახსოვდეს, რომ მსოფლიო მხოლოდ ევროატლანტიკური სივრცე არ არის და დედამიწის მოსახლეობის ორი მესამედი ევროატლანტიკური სივრცის მიღმა ცხოვრობს!

# „კალიფორნიაში გაჩენილი გამანადგურებელი ხანძარი იმის სიმბოლოა, რომ ამერიკაში თანამედროვე სოდომი იწვის!“




**— „ქართული ოცნება“ პარლამენტში სპეციალურ კომისიას ქმნის, რომელმაც ნაციონალური მოძრაობის მიერ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი დანაშაულები უნდა გამოიძიოს. როგორ ფიქრობთ, მოჰყვება თუ არა რეალური შედეგები საგამოძიებო კომისიის მუშაობას?**

— დარწმუნებული ვარ, რეალური შედეგი დადგება! ეს გაცილებით ადრეც მოხდებოდა, რომ არა გახრწნილი მსოფლიო ბიუროკრატიის ზეწოლა „ქართულ ოცნებაზე“, რომელიც 12 წლის წინათ არ იყო ისე ძლიერი, რომ თავსმოხვეული კოჰაბიტაციისათვის წინააღმდეგობა გაეწია.

დიდი გამოძიება არც არის საჭირო, მარტო სტრასბურგის სასამართლოს მიერ სხვადასხვა საქმეზე გამოტანილი განაჩენებია საკმარისი, რომ პასუხისგებაში მიეცნენ და პოლიტიკიდან მოიკვეთონ ის ბოროტმოქმედები, რომლებიც დღეს სულსაც ყიდიან და სამშობლოსაც!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი*



ეს გათხოვილი კაცი — **მიხაელ როთი** კოლექტიურ ნაცმოძრაობას ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს. ჩვენ ვნახავთ, რომ **მიხაელ როთი** **კოლექტიურ ნაცმოძრაობას 2025 წელს პოლიტიკურ სამარეში ჩაითრევს** და ეს ძალიან კარგი იქნება.

„პირველი არხი“

**ალეკო ელისაშვილი**
*პარტია „ძლიერი საქართველოს“ წევრი*



აბუ-დაბიში **ქოცები** მარტო საგულაოდ და COLDPLAY-ს კონცერტზე დასასწრებად კი არ წავიდნენ, არამედ ქვეყნიდან გავიდნენ, რომ **სუს-ის მეთვალყურეობის გარეშე ემსჯელათ შექმნილ ვითარებაზე.** საქართველოში **სუს-ი ქოცებს უფრო უსმენს და უთვალთვალებს,** ამიტომ მოიმიზეზეს და წავიდნენ უცხოეთში უსაფრთხოდ სალაპარაკოდ.

„ახალი თაობა“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**აბუ-დაბიში რაღაც ინციდენტი მოხდა,** რაც არ არის ეს საამაყო... უბრალოდ, ერთი უნდა ვიცოდეთ ყველამ — **ქართველები ვართ თავმოყვარეები და როდესაც ჩემს ოჯახს, ჩემს ახლობლებს ეხებიან,** ყოველთვის პასუხი გვექნება.

„რეზონანსი“

**ზურაბ ჯაფარიძე**
*„კოალიცია ცვლილებებისთვის“ წევრი*



**მიხაელ როთი** 27 წელი იყო გერმანიის პოლიტიკაში, მათ შორის, მაღალ თანამდებობებზე — **ჰყავს ფართო სანაცნობო და სამეგობრო პოლიტიკურ წრეებში,** გვთხოვა, მასთან შევინარჩუნოთ კომუნიკაცია.

„ინტერპრესნიუსი“

*საზოგადოებრივმა მოძრაობამ „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“ გენერალურ პროკურატურაში საჩივარი შეიტანა და ქართულ პოლიტიკაში მოქმედი ჯაშუშურ-აგენტურული ქსელის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას ითხოვს. ამ საკითხთან დაკავშირებით ორგანიზაციის ერთ-ერთ დამფუძნებელს* ***ვატო შაქარიშვილს*** *ვესაუბრებით:*



# „ისეთი ეფემერული და ძალით შეკოწიწებული გაერთიანებები, როგორიც ნატო და ევროკავშირია, უკვე გუშინდელი დღეა!“



## *ვატო შაქარიშვილი:* უცხო ქვეყნების ჯაშუშებსა და აგენტებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში საქმიანობა კანონით უნდა ავუკრძალოთ!

— პროკურატურაში სარჩელის შეტანა მას შემდეგ გადავწყვიტეთ, რაც ცნობილი გახდა, რომ „ქართული ოცნება“ პარლამენტში **სპეციალურ კომისიას** ქმნის, რომელიც 2003-2012 წლებში ნაცმოძრაობის მიერ ჩადენილ დანაშაულებს გამოიძიებს. მიგვაჩნია, რომ ჯაშუშური და აგენტურული ქსელის — კოლექტიური ნაცმოძრაობის დანაშაულებრივი საქმიანობა მისი ხელისუფლებიდან წასვლით არ დამთავრებულა და ოპოზიციაში გადასვლის შემდეგაც გრძელდება, რაც ასევე გამოძიების საგანი უნდა გახდეს და დაუსჯელი არ დარჩეს. ზოგადად,

**სააკაშვილის, გვარამიას, ხაზარაძის, გახარიასა და მათი თანამზრახველების დანაშაულებს დიდი გამოძიება არც სჭირდება, მთავარია, სახელმწიფომ დანაშაულზე რეაგირება გაბედოს და პროკურატურამ შესაბამისი სისხლის სამართლის საქმეები აღძრას!**

**— ჯაშუშურ და აგენტურულ ქსელში მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას გულისხმობთ თუ სხვა ძალებსაც მოიაზრებთ?**

— საქართველოში მოქმედი **ჯაშუშური და აგენტურული ქსელი** აერთიანებს ნაციონალურ მოძრაობას, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახულ კიდევ სამ ოპოზიციურ სუბიექტს, მთელ რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მათთან დაკავშირებულ მედიას. საბოლოო ჯამში, ესენი არიან ტოქსიკური ძალები, რომლებიც უცხო სახელმწიფოთა სპეცსამსახურების ინტერესებს ატარებენ და ყველანაირად უშლიან ხელს საქართველოს განვითარებას.

**ჯაშუშური და აგენტურული ქსელის** ნაწილს წარმოადგენენ ისეთი პერსონებიც, რომლებიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში წლების განმავლობაში იკავებდნენ მაღალ თანამდებობებს, მაგალითად, დღევანდელი ხელისუფლების ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი **მიხეილ ჯანელიძე** და ყოფილი თავდაცვის მინისტრი **თინა ხიდაშელი.**

**— ერთია პოლიტიკური შეფასება, როცა კონკრეტულ პერსონას უცხო ძალების ჯაშუშად თუ აგენტად განიხილავ, მაგრამ ამის სამართლებრივად დამტკიცება რამდენად შესაძლებელია?**

— პროკურატურაში უკვე შევიტანეთ აბსოლუტურად დასაბუთებული საჩივარი, მივაწოდეთ კონკრეტული მასალები და დანარჩენი უკვე გამოძიების პრეროგატივაა. როცა პოლიტიკურ განცხადებებს ვაკეთებთ და ამა თუ იმ პოლიტიკოსს ან არასამთავრობოელს **ჯაშუშურ საქმიანობაში** ვამხელთ, რა თქმა უნდა, ჰაერზე არ ვლაპარაკობთ და კონკრეტულ ფაქტებს ვეყრდნობით, მაგრამ ამის სამართლებრივი შეფასება მაინც აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისე გამოდის, თითქოს ქართულ პოლიტიკაში **ჯაშუშური საქმიანობის,** უცხო სახელმწიფოთა ინტერესების მსახურებისა და საკუთარი ქვეყნის ინტერესებთან ბრძოლის ლეგალიზება ხდება, რაც, საბოლოო ჯამში, აუცილებლად დასრულდება სახელმწიფოს ჩამოშლითა და განადგურებით.

აქედან გამომდინარე, **ქართული სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, უცხო ქვეყნების ჯაშუშებსა და აგენტებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში საქმიანობა კანონით აეკრძალოთ!**

**— გაქვთ თუ არა იმედი, რომ თქვენს საჩივარს პროკურატურის მხრიდან ადეკვატური რეაგირება მოჰყვება და რეალური გამოძიება წარიმართება?**

— თუ გვინდა, რომ სუვერენული სახელმწიფო გვქონდეს, ქართულ პოლიტიკაში მოქმედი **ჯაშუშური ქსელის** წინააღმდეგ გამოძიება აუცილებლად უნდა წარიმართოს და კონკრეტული სამართლებრივი შედეგით დასრულდეს. ეს გამოძიება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისეთივე შემადგენელი ნაწილია, როგორიც უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღება იყო. რასაკვირველია, კარგად გვესმის, რომ კოლექტიური ნაცმოძრაობის **ჯაშუშური საქმიანობის** გამოძიებას მისი უცხოელი პატრონების მხრიდან გააფთრებული წინააღმდეგობა შეხვდება, მაგრამ ვფიქრობ, საქართველო უკვე გამოსულია იმ ვასალური მდგომარეობიდან, როცა ქვეყანა ვაშინგტონიდან, ბრიუსელიდან თუ უცხო სახელმწიფოთა საელჩოებიდან გაკეთებული განცხადებების მიხედვით იმართებოდა.





ხშირად გვესმის ფრაზა — 30 წელია, ერთ წრეზე ვტრიალებთ...

**თუ ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სივრცე ჯაშუშებისაგან არ გავწმინდეთ, კიდევ 30 წელი იმავე წრეზე ვიტრიალებთ და ხვალ-ზეგ შეიძლება, ისევ ჯაშუშები დაგვისვან ხელისუფლებაში, ამას კი რაც მოსდევს, დღეს უკრაინის მაგალითზე ვხედავთ და 2008 წლის აგვისტოში საკუთარ ტყავზე ვიწვნიეთ.**

**— დღეიდან — 2025 წლის 20 იანვრიდან — დონალდ ტრამპი და მისი ადმინისტრაცია ამერიკის შეერთებული შტატების მართვას შეუდგებიან. უნდა ველოდოთ თუ არა გარდამტეხ ცვლილებებს მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში?**

— იმის ილუზია არ უნდა გვქონდეს, რომ **ტრამპის** თეთრ სახლში შესვლისთანავე ყველაფერი მყისიერად შეიცვლება, მაგრამ კარდინალური ცვლილებები რომ უკვე დაწყებულია, ამას ყველა ვხედავთ. **ტრამპი** ჯერ კიდევ არ იყო შესული ოვალურ კაბინეტში, რომ ძველი პოლიტიკური სისტემა ამოატრიალა და ე.წ. ლიბერალური წესრიგი თავდაყირა დააყენა.

დღეს მთელ მსოფლიოში წინა პლანზე დგება ქვეყნების ეროვნული ინტერესები და სუვერენიტეტი, ხოლო ისეთი ეფემერული და ძალით შეკოწიწებული გაერთიანებები, როგორიც **ნატო და ევროკავშირია,** უკვე გუშინდელი დღეა!

მოკლედ, დღეიდან მსოფლიოში დიდი პოლიტიკური ცვლილებები იწყება და დარწმუნებული ვარ, **ტრამპის** მმართველობა საქართველოზეც აუცილებლად დადებით გავლენას იქონიებს. მთავარია, ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთოთ და ქართული პოლიტიკა **ჯაშუშურ-აგენტურული ქსელისაგან** საბოლოოდ გავწმინდოთ!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## „ჯაშუშური და აგენტურული ქსელის ნაწილს წარმოადგენენ ისეთი პერსონებიც, როგორებიც არიან ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე და ყოფილი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი!“

გვახსოვდეს და არასოდეს ვივიწყებდეთ:

# გენერალისიმუსი

№3 (299) ★ 2025 წლის 20 იანვარი ★ გამოდის 2003 წლიდან

**სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლებიც, დივერსანტებიც, ჯაშუშებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც, რომლებსაც ჩვენს ზურგში აგზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები!**

იოსებ სტალინი

# უკრაინის ფაშისტური რესპუბლიკა

***ოდესღაც მშვიდობიანი, მართლმადიდებელი, სტუმართმოყვარე, ბარაქიანი, აყვავებული და ოქროს თავთავებით მოვარაყებული უდიდესი სახელმწიფო ვოლოდიმირ სულელმა და მისმა ხროვამ გადამწვარ, გაძარცულ და დამარცხებულ ფაშისტურ რესპუბლიკად აქციეს, რომელიც, დიდი ალბათობით, ადოლფ ჰიტლერის გერმანიის ბედს გაიზიარებს და ორ ნაწილად გაიყოფა — აღმოსავლეთ უკრაინასა და ყირიმს მთლიანად მიიერთებს რუსეთი, ხოლო დასავლეთი უკრაინისგან თუ რამე დარჩა და ფოცხვერივით ჩასაფრებულმა პოლონეთმა და სხვებმა არაფერი წაჰგლიჯეს, სავარაუდოდ, შეინარჩუნებს გაძაღლებულ სახელმწიფოებრიობას!***





## ★ სახიფათო პარალელები



მიუხედავად იმისა, რომ ომს აგებს და უზარმაზარ ტერიტორიებს ყოველდღიურად კარგავს, **უკრაინის ფაშისტური რესპუბლიკის** პრეზიდენტი, იაროსლავ ბრძენის ტახტზე წამოსკუპული **ვოლოდიმირ სულელი** ქვეყანაში ე.წ. ტოტალური მობილიზაციის გამოცხადებას გეგმავს! ეს ყველაფერი და, მათ შორის, უკრაინის ეკლესიაში მიმდინარე პროცესები კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ უკრაინა მართლაც **ფაშისტური რესპუბლიკაა!**

თვით ჰიტლერსაც კი არ დაუწევია გერმანიის ლუთერანული ეკლესიისთვის ის დღე, რაც **ვოლოდიმირ სულელმა და მისმა ხროვამ** უკრაინის ეკლესიას დააწიეს. **ჰიტლერი** გერმანული ეკლესიისა და პაპის ტახტისადმი ყოველთვის დიდ მოწიწებას იჩენდა და აცხადებდა, რომ სახელმწიფოს კეთილმოწყობის საქმეში მესამე რაიხს კათოლიკური ეკლესიის იერარქიისთვის უნდა მიებაძა. ამის პასუხად **ფაშისტებზე კიდევ უფრო მეტად ფაშისტმა ზელენსკიმ** უკრაინის ეკლესიას შეიარაღებული ბანდები მიუქსია და ღვთის სახლი ჯაზმენების, „ტრუბაჩების", ტიტლიკანა მოცეკვავეებისა და სოდომისტების ბუნაგად აქცია.

თვით გერმანელი ფაშისტებიც კი ერიდებოდნენ მოყვრის მტრად ქცევას... მაგრამ **ვოლოდიმირ სულელის უკრაინის ფაშისტური რესპუბლიკა** მოძმე ქართველებს ომის დაწყების დღიდან გადაგვეკიდა და თბილისიდან ელჩი გაიწვია. უფრო მეტიც, **მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დღემდე იფარებს, აფინანსებს და ეხმარება ათასობით უკრაინელ დევნილს, ხოლო უკრაინელ ბავშვებს საქართველოში უკრაინულ ენაზე უტარდებათ გაკვეთილები, კიევის ტახტზე წამოკოტრიალებული ეს მართლაცდა ჯიბის ჰიტლერი ყოველ ნაბიჯზე გვმტრობს და შანსს არ უშვებს, რათა საერთაშორისო არენაზე დიპლომატიური წიხლი არ მოგვაყოლოს.**

უკვე კარგა ხანია, რაც ღმერთის მიერ მიტოვებულ **უკრაინის ფაშისტურ რესპუბლიკაში** დაძრწიან **ვოლოდიმირ ზელენსკის** „ოპრიჩნიკები" და სადაც კი ახალგაზრდას დაინახავენ, მაშინვე იჭერენ და სამხედრო კომისარიატში მიათრევენ! **ამ დღეებში ტელევიზიები, სოციალური ქსელები და ე.წ. ციფრული პლატფორმები წალეკა კიევში გადაღებულმა კადრებმა, როცა ზელენსკის ჩაფრები ვიღაც ახალგაზრდას დასაჭერად მისდევენ და ეს უკანასკნელი მდევარს სახლში ფეხად შეასწრებს.**

ამ ვიდეოში ყველაზე უფრო თვალში საცემი ის გახლავთ, რომ **ვოლოდიმირ სულელის „ოპრიჩნიკებს"** იმ ახალგაზრდის დაჭერა შეეძლოთ, მაგრამ აშკარად ფეხი აითრიეს და გაქცეულს, რომელიც სახლის კარამდე, ფაქტობრივად, ფორთხვით მივიდა, მიმალვის საშუალება მისცეს. ამით უკრაინელმა ჩაფრებმა, ცხადია, ერთი უკრაინელის სიცოცხლე გადაარჩინეს... **ამ ფაქტმა, ნებსით თუ უნებლიეთ, ფაშისტური გერმანია და ბერლინის უკანასკნელი კომენდანტი ჰელმუტ ვეიდლინგი გამახსენა, რომელმაც ჰიტლერის უკანასკნელი ბრძანება არ შეასრულა და ბერლინი ცეცხლს არ მისცა!**

ზელენსკის განცხადებით,

***გაგრძელება „გენერალისიმუსის" ბოლო გვერდზე***



## დიდი სტალინის მიერ შექმნილი უკრაინა, რომელიც ვოლოდიმირ სულელმა ფაშისტურ სახელმწიფოდ აქცია, ფაშისტურ გერმანიასავით იშლება!

დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43-60; 2025 წლის №1-3



მიხეილ ქვესელავა

# ას ერგასის

## ბავშვების წარმოება...

შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა პროცესზე დახაუსა და ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკების „სამედიცინო ლაბორატორიებში“ ჩატარებული ცდების შესახებ წარდგენილმა საბრალდებო მასალებმა. ამ ლაბორატორიებში გამოჩენილი გერმანელი ექიმები სრულიად ჯანსაღ ადამიანებზე — კაცებზე, ქალებსა და ბავშვებზე ახდენდნენ ცდებს. აქ წარმოებდა მამაკაცების კასტრაცია, ქალების სტერილიზაცია, სხვადასხვა ავადმყოფობით ხელოვნური დაავადება, შხამიანი ნივთიერებების გამოცდა ბავშვებზე და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კასტრაციისა და სტერილიზაციის ჩატარებას რენტგენის სხივებით. ამისთვის მხოლოდ ერთ „ბლოკში“ 400 ქალი და ამდენივე კაცი ჰყავდათ ერთდროულად შერჩეული. „ცდის ობიექტების“ უდიდესი ნაწილი იხოცებოდა. მათ ადგილს კი ახალმოყვანილებით ავსებდნენ — უმთავრესად 16-18 წლის ქალიშვილებით. მერე ამგვარმა ცდებმა მასობრივი ხასიათი მიიღო.

როგორც მოგეხსენებათ, ადრე მხოლოდ აღმოსავლეთის დესპოტურ სახელმწიფოებში მიმართავდნენ დასაჭურისებას, და ისიც, უმთავრესად ჰარამხანების საჭიროებისათვის. ახლა კი ჰიტლერელებმა ეს საზიზღრობა თავიანთი გეოპოლიტიკის ნაწილად აქციეს. პროცესზე გაოცებით უსმენდნენ საბჭოთა ბრალმდებელ სმირნოვს, რომელიც მამაკაცების მასობრივი დასაჭურისების მასალებს უდგენდა ტრიბუნალს. ჰიმლერი დაჟინებით მოითხოვდა ამ საქმის კიდევ უფრო მასობრივად გაშლას. არკვევდა, თუ რამდენი კაცისა და ქალის კასტრაცია შეიძლებოდა ყოველდღიურად. რატომ? რისთვის? კითხულობდა გაოგნებული ხალხი. პასუხი კი ნათელი იყო: დაპყრობილ ტერიტორიებზე არაგერმანელი მოსახლეობის მკვეთრად შესამცირებლად, რაზედაც ჯერ კიდევ 1934 წელს ესაუბრებოდა ჰიტლერი რაუშნინგს:

— ცნება „მოსპობაში“ მე არ ვგულისხმობ იმ ხალხის აუცილებელ გაჟლეტას... მე, უბრალოდ, მივიღებ ზომებს მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის შესაწყვეტად... არსებობს მრავალი საშუალება, რითაც შესაძლებელია, შედარებით უმტკივნეულოდ, ყოველ შემთხვევაში, ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე, მივაღწიოთ არასასურველი ხალხების თანდათან გაქრობას.

პროცესზე ფრანგი ბრალმდებელი დიუბოსტი შეეკითხა მოწმედ გამოძახებულ კლოდ მარი ვაიან-კუტიურიეს, რომელმაც ოსვენციმში ნახა ქალების სტერილიზაცია:

— რა მიზნით აწარმოებდნენ ესესელები ქალების სტერილიზაციას?

— ამას არც მალავდნენ, — უპასუხა კლოდ მარიმ, — ამბობდნენ, რომ ეძებდნენ სტერილიზაციის საუკეთესო საშუალებას, რათა ოკუპირებული რაიონების მოსახლეობა თანდათან შეეცვალათ გერმანელებით...

...პროცესზე წარმოადგინეს აგრეთვე გერმანელი პოლიციის მიერ გამოცემული დოკუმენტები, სადაც ეწერა: ამას და ამას უფლება აქვს, იცხოვროს ამა და ამ ქალაქში, მხოლოდ იმ პირობით, თუკი მას დაასაჭურისებენ...

დამახასიათებელია, რომ ექიმები, რომელთაც სურდათ, საკუთარ კლინიკებში ჩაეტარებინათ ამგვარი ცდები, საკონცენტრაციო ბანაკებში ყიდულობდნენ „ცდების ჩასატარებელ მასალებს“ — ქალებსა და კაცებს...

თუ ამით ჰიმლერს, ერთი მხრივ, უნდოდა განეხორციელებინა ჰიტლერის მითითება „ნაციონალური ერთეულების ლიკვიდაციის“ შესახებ, მეორე მხრივ, იგი გერმანელი ხალხის ინტენსიურ გამრავლებაზეც ზრუნავდა. მისი მოთხოვნით, ოსვენციმშივე წარმოებდა ცდები „ხელოვნური განაყოფიერებით“ ფრიცებისა და ჰანსების, გრეტჰენებისა და ჰერტრუდების მოსამრავლებლად...

აქ მე ისევ შეგახსენებთ ჰაქსლის ლიტერატურულ პაროდიას მომავლის საინკუბაციო ცენტრის შესახებ, სადაც სურვილისამებრ ამზადებდნენ ადამიანებს, და ისიც, ერთი სპერმიდან — ათეულ ათასებს. წარმოგიდგენიათ, ერთი სპერმიდან — 90 ათასი და-ძმა! ნერწყვს ყლაპავდა, ალბათ, ჰიმლერი. მისი იდეალი იყო: სტანდარტული ადამიანები სტანდარტული ხასიათით. დაამზადე, რამდენიც გინდა და... ჩვენს პლანეტას კი არა, მთელ კოსმოსს მოანაშენებ არიელი ფრიცებით.

ჰიმლერის მარჯვენა ხელმა — კალტენბრუნერმა იცოდა, რომ მისი შეფი ფანტაზიებს იყო აყოლილი და თვითონ უფრო რეალურ გეგმებს სახავდა. ეს მან გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც გერმანელ ქალებს, 35 წლის ასაკამდე თუ ოთხი შვილი არ ჰყავდათ, უნდა შეევსოთ ეს დანაკლისი, იმის მიუხედავად, ქმრიანები იყვნენ თუ უქმროები. გარდა ამისა, იმ ქალებს, რომელთაც ოთხი შვილი ჰყავდათ, თავიანთი ქმრები „უნდა გამოეთავისუფლებინათ“ სხვა ქალებთან „ბავშვების საწარმოებლად“.

ასე აპირებდნენ ისინი არიელი ფრიცების მოშენებას. დანარჩენებს კი, ჰიტლერის რეცეპტების მიხედვით, თანდათან მოსპობდა ჰიმლერი, რომლის ოცნება იყო: სტერილიზებული ქალები, რომელნიც ახალგაზრდობაშივე მოხუცებს ჰგვანან, საჭურისი ვაჟკაცები, რომელთაც წვერ-ულვაში არა აქვთ; არავითარი მემკვიდრეობა... შვილები... შვილიშვილები.

ამრიგად, ერთი თაობა, მეორე... ჰა... თუნდაც მესამე და, ჩვენს პლანეტაზე აღარ იქნებიან სხვა ერები, გარდა გერმანელებისა... ან, თუ იქნებიან, მხოლოდ იპსილონები, ანუ მონები მძიმე ფიზიკური შრომისათვის, რომლებიც ისევე გულგრილად მიაჩერდებიან ამა ქვეყნის სიამეთ, როგორც საჭურისები — ვნებით გახელებულ ოდალისკებს ჰარამხანებში...

## ჰიპოკრატეს ცრემლები...

ექიმი იმის ექიმია,რომ ავადმყოფს კურნავს ან ტანჯვას მაინც უმსუბუქებს. გერმანელმა ნაცისტმა ექიმებმა, პროფესორებმა და დოცენტებმა კი პირიქით, ავადმყოფთა მოსპობა აქციეს თავიანთ პროფესიად. ჯერ ხომ „სულით ავადმყოფებს“ დაერივნენ და გაჟლიტეს, მერე იმათაც, ვინც „არასასურველად“ მიაჩნდათ. შეშლილიაო! — გამოაცხადებდნენ და სპობდნენ, როგორც „მუქთამჭამლებს“. ამისთვის ბორმანმა სპეციალური კატეხიზმი — „შენ უნდა მოჰკლა“ — შეთხზა, ქრისტიანული „არა კაც ჰკლას“ მაგივრად.

**— შენ უნდა მოჰკლა სუსტები, ავადმყოფები, მოხუცები, დავრდომილები, შრომის უნარმოკლებულები და არასასურველი პირები. შენ უნდა მოჰკლა მუქთამჭამლები, — ეწერა ბორმანის „ათ მცნებაში“.**

ეს საკითხი ნიურნბერგის პროცესზეც ამოტივტივდა. დარბაზში მოწმედ შემოიყვანეს იმპერიის კანცელარიის უფროსი ლამერსი. კაიტელის დამცველმა ნელტემ ჰკითხა მას:

— იცით თუ არა თქვენ რამე ჰიტლერის განკარგულებაზე სულით ავადმყოფების უმტკივნეულოდ დახოცვის შესახებ?

— დიახ, — უპასუხა ლამერსმა, — მოსამზადებელი სამუშაოები 1939 წლის შემოდგომაზე ჩატარდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატსმდივანმა, იმპერიის ექიმთა ფიურერმა (Reichsarztführer) დოქტორმა კონტიმ მიიღო დავალება — შეესწავლა ეს საკითხი. შემდეგ ჰიტლერმა დაგვავალა, შეგვექმნა სათანადო კანონი. პროექტი მე დავწერე, კონტმა კი ის რაიხსლაიტერ ბულეს წარუდგინა ჰიტლერისათვის გადასაცემად. ჰიტლერმა კანონს ხელი არ მოაწერა, მაგრამ ბულესა და ექიმ ბრანდტს დაავალა მისი შესრულება.

პროცესზე ბრალდების მხარემ წარმოადგინა ჰიტლერის სამსახურებრივ ბლანკზე დაწერილი განკარგულება ამის შესახებ. ბორმანმა ეს დოკუმენტი გააცნო გაულაიტერებს და დაავალა, თუ საჭირო იქნა, კრაისლაიტერებსაც გააცანითო. ჯერ ლაპარაკი იყო „ასპროცენტიანი“ ავადმყოფებისათვის „სამოწყალო ტყვიის ბოძების“ შესახებ. სპეციალურად დგებოდა „ცხოვრებისათვის გამოუსადეგარი“ (Lebensufähige) პირების სიები. ამას ე.წ. „არასასურველი ელემენტებიც“ ემატებოდა და, რაკი საიდუმლო მითითება იყო, ისინი „გიჟებად გამოაცხადეთ და მოსპეთო“, ევთანაზიის პრობლემამ სულ სხვა ხასიათი მიიღო. ბორმანის დოკუმენტების მიხედვით, ეს ეხებოდა დაახლოებით 30 ათას კაცს. შემდეგ „საქმე“ გაფართოვდა და 100-120 ათასამდე ავიდა, ბოლოს კი, მგონი, ნახევარ მილიონსაც მიაღწია...

ოპერაციის შესრულება დაიწყო 1940 წელს. საავადმყოფოებში დააგზავნეს სამედიცინო კომისიები, რომლებშიც სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. ეს კომისიები ადგენდნენ იმ ავადმყოფების სიებს, ვინც „სხვაგან უნდა გადაეყვანათ.“ ნაწილი გზაში იხოცებოდა, დანარჩენებს დანიშნულების ადგილას სპობდნენ. თან ავალებდნენ, ტანისამოსი უკანვე გამოეგზავნათ ნათესავებისათვის დასაბრუნებლად. ყოველივე ამის ზუსტი აღრიცხვა წარმოებდა. პროცესზე წაიკითხეს დოკუმენტი, რაც ადასტურებდა 370 ათასი კაცის „სხვაგან გაგზავნას“, რაც მხოლოდ ნაწილი იყო ამ „დიდი ოპერაციისა.“ ეს ჭირისუფლებმა გაიგეს, მოსახლეობის ფართო ფენებმაც. აქა-იქ პროტესტიც განაცხადეს, — ქრისტიანიზმის საწინააღმდეგო მოქმედებააო. საქმეში ეკლესიაც ჩაერია. ლიმბურგის ეპისკოპოსმა მთავრობას მისწერა:

— აქ, ლიმბურგიდან 8 კილომეტრის დაშორებით, ჰადამარში ავტობუსებით მოჰყავთ ავადმყოფები. ამ ავტობუსებს მოწაფეები „სასიკვდილო ყუთებს“ (Todkisten) უწოდებენ. ჰადამარის კრემატორიუმის საკვამლე მილი განუწყვეტლივ ბოლავს. ყველამ იცის, რაც იქ ხდება. ბავშვებიც კი აშინებენ ერთმანეთს, შენ უჭკუო ხარ, ამიტომ ჰადამარში გაგზავნიან და ღუმელში დაგწვავენო. მოხუცები ღელავენ. შეშინებული ქალიშვილები ამბობენ, ბავშვებს არ გავაჩენთო...

აქ შეძრწუნებული ლოურენსი ჩაერია დაკითხვაში:

— გასცა ვინმემ პასუხი ამ წერილს?

ამაზე ბრალდების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა კემპერმა უპასუხა:

— პასუხის შესახებ არაფერი ვიცით, სამაგიეროდ, გვაქვს დოკუმენტი, რომელშიც წერია, „არ უპასუხოთო“.

— არ უპასუხოთო?! — აღელდა ლოურენსი.

— დიახ, — მიუგო კემპერმა, — შემდეგ ღრმად მოხუცებისა და ომის ინვალიდების დახოცვაც დაიწყეს. ამის შესახებ მრავალი წერილი შედიოდა რაიხსკანცელარიაში. ეპისკოპოსმა გალენმაც დაწერა პროტესტი, მაგრამ არაფერი... ბოლოს, კარდინალიც ჩაერია საქმეში, თუმცა, ესეც უშედეგო გამოდგა. პირიქით, ოპერაცია გაფართოვდა და გაზკამერებიც აამუშავეს.

როცა პროცესზე ესესის საკითხი ირჩეოდა, დარბაზში მოწმედ შემოიყვანეს „ევთანაზიის სპეციალისტი“ ექიმი ჰერმან ნიტშე, რომელმაც განაცხადა:

— ამისთვის მწვანეზოლიანი სპეციალური ავტობუსები გვყავდა. ავადმყოფები მოგვყავდა დანიშნულების ადგილას, გავატარებდით გრძელ დერეფანს; თვითონ თუ არ შეეძლო, ტანისამოსს სხვა ხდიდა, შემდეგ ჩაგვყავდა სარდაფში, ვითომ აბაზანის მისაღებად. იქ სანიტრები მათ ესესელებს გადასცემდნენ, ისინი კი გაზკამერებში შერეკავდნენ. ჩემი მონაწილეობით ასე 10-15 ათასი კაცი მოვსპეთ, — დაასრულა ჩვენება „პატივცემულმა ექიმმა“.

„საქმეს რომ მორჩებოდნენ“, თან ასეთ სტანდარტულ მოხსენებით ბარათებს უდგენდნენ უფროსებს:

**— ამით ვადასტურებ, რომ თანდართულ სიაში ჩამოთვლილი 368 სულით ავადმყოფი გარდაიცვალა 1942 წლის 29 იანვარს.**

**ესესის შტურმბანფიურერი კირსტე.**

ან კიდევ:

**— ამით ვადასტურებ, რომ თანდართულ სიაში ჩამოთვლილი 243 სულით ავადმყოფი გარდაიცვალა 1942 წლის 14 აპრილს.**

**ესესის შტურმბანფიურერი კირსტე.**

**— ამით ვადასტურებ, რომ თანდართულ სიაში ჩამოთვლილი 98 სულით ავადმყოფი გარდაიცვალა 1942 წლის 22 ოქტომბერს.**

**ესესის შტურმბანფიურერი კირსტე.**

თუ როგორ ხდებოდა ეს ერთდროული „გარდაცვალება“, ამის შესახებაც მრავალი დოკუმენტი წარმოადგინეს პროცესზე.

14 ოქტომბერს, 1941 წელს, ესესელები, გარნიზონის გერმანელი ექიმის მეთაურობით, შეცვივდნენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, გამოიყვანეს 300 ავადმყოფი და იქვე ხევში ჩახოცეს...

ვინ გაიგებს, გიჟები ის ავადმყოფები იყვნენ, თუ ეს „სრულიად ნორმალური“ ესესელები!..

პროცესზე წარადგინეს საბჭოთა ექიმების წერილობითი ჩვენება, რომელშიც ეწერა:

— საავადმყოფოში მოვიდნენ გესტაპოელები და ყველგან ყარაულები დააყენეს. შენობიდან გასვლა ან შემოსვლა სასტიკად აკრძალეს. გესტაპოელთა უფროსმა მოითხოვა, გადაერჩიათ „ქრონიკულად დაავადებული“





ავადმყოფები. შემდეგ მოიყვანეს მანქანები, შეყარეს 60-70 კაცი, გაიყვანეს იქვე ახლო ხევში, დახოცეს და ისევ მობრუნდნენ ახალი კონტინგენტის წასაყვანად.

ბევრი ავადმყოფი მიხვდა, რაც მოელოდა. ერთი ახალგაზრდა გოგონა გამოვარდა პალატიდან, მივიდა ექიმთან, ხელი მოხვია მხრებზე და ჩუმად ჰკითხა: ეს დასასრულია? მერე ხმა არ გაუღია, ისე მილასლასდა მანქანასთან, უარი თქვა ხელის შეშველებაზე და მშვიდად შევიდა ძარაში. 800 კაცი მოკლეს ასე და არცერთს ხმა არ ამოუღია. ეს იყო სწორედ ქრისტეს შობის დღეს, როცა გერმანელ ჯარისკაცებს ნაძვის ხეები დაურიგეს, ხოლო გესტაპოელებს, ავადმყოფების დახვრეტის წინ, სამკლავეები გაუკეთეს წარწერით: „ღმერთი ჩვენთანაა“.

**კითხვა:** რატომ ხოცავდით ავადმყოფებს?

**პასუხი:** რა ვიცი, ასეთი იყო ბრძანება...

**კითხვა:** ვინ გიბრძანათ?

**პასუხი:** ჩვენმა ოცეულის მეთაურმა.

**კითხვა:** იმას ვინ უბრძანა, თუ იცით?

**პასუხი:** არა, ეს მე არ ვიცი...

**კითხვა:** არ გებრალებოდათ ავადმყოფები?..

**პასუხი:** რატომ?! ისინი ხომ მაინც უნდა მომკვდარიყვნენ...

**კითხვა:** ერთ დროს ყველა მოვკვდებით, მაგრამ ამიტომ უნდა დაგვხვრიტონ?

**პასუხი:** ჩვენ ხომ ვმუშაობთ. ეს იმათ ხვრეტდნენ, ვისაც მუშაობა არ შეეძლო...

**კითხვა:** რატომ მაინცდამაინც შობის ღამეს ჩაიდინეთ ეს?

**პასუხი:** ჩვენმა უფროსმა თქვა: მათი სული ქრისტეღმერთს უნდა მივართვათ საჩუქრადო.

**კითხვა:** ეს სამკლავეები ვინ გაგიკეთათ?

**პასუხი:** უფროსმა.

**კითხვა:** რატომ?

**პასუხი:** ერთმა ჩვენმა ამხანაგმა თქვა, ნუ ვიზამთ ამას, თორემ ღმერთი გვიწყენსო. ის ლაჩარი დასაჯეს, ჩვენ კი გასამხნევებლად სამკლავეები გაგვიკეთეს წარწერით: „ღმერთი ჩვენთანაა!“

**კითხვა:** დარწმუნებული იყავით ამაში, რომ ეს მართლაც ასეა?

**პასუხი:** რა თქმა უნდა, რაკი უფროსმა ასე თქვა...

## დაბადებამდე დახვრეტილი...

ფრანგმა ბრალმდებელმა დიუბოსტმა მოახსენა ტრიბუნალს მძევლების დახვრეტის ამბავი. ჰააგის კონვენცია საერთოდ კრძალავს მძევლების აყვანასა და მათ რეპრესიას. გერმანელები კი ფართოდ იყენებდნენ ამ „აკრძალულ ილეთს“.

დიუბოსტი ამბობდა:

— მართალია, ომი ომია და მძევლებს მაშინ ხვრეტდნენ, როცა თვით გერმანელების მიმართ იყო რამე აქცია ჩადენილი, მაგრამ... — აქ დიუბოსტმა გაიხსენა **ჰიტლერის** მიერ ჯერ კიდევ 1927 წლის 16 მაისს წარმოთქმული სიტყვა:

**— გერმანიას აქვს მხოლოდ ერთი შესაძლებლობა, რათა თავიდან აიცდინოს ბლოკადა. ეს შესაძლებლობაა იმ სახელმწიფოს მოსპობა, რომელიც, თავისი ბუნებით, ყოველთვის გერმანიის მოსისხლე მტერი იქნება. ეს არის — საფრანგეთი!**

ამაზე დიუბოსტმა თქვა:

— როცა ხალხი ხედავს, რომ მის არსებობას ემუქრება ვინმე, მაშინ მას ერთი მიზანი უნდა ჰქონდეს: თვითონ მოსპოს თავისი მტერი.

ამის შემდეგ დიუბოსტმა ილაპარაკა დაპყრობილი ხალხების გაჟლეტის შესახებ, რათა მომავალში 250 მილიონი გერმანელისთვის უზრუნველეყოთ „სასიცოცხლო სივრცე“ ევროპაში.

— გაჟლეტის გეგმა წინასწარ მოფიქრებული და გაანგარიშებული იყო, — თქვა მან. იგი ეყრდნობოდა ტერორს. მძევლების დახვრეტის შესახებ წითელ და შავარშიაშემოვლებულ აფიშებს აკრავდნენ ქუჩებში. მთელი საფრანგეთი, პარიზიდან დაწყებული უმცირეს სოფლებამდე, მოფენილი იყო ამგვარი აფიშებით. ამას გერმანული არმიის უმაღლესი სარდლობა ხელმძღვანელობდა. კაიტელმა თვითნებურად გააუქმა ჰააგის კონვენცია და ბრძანა: მძევლების აყვანა გამართლებულიაო. იგი ინსტრუქციას ინსტრუქციაზე გზავნიდა არმიებში ამის შესახებ. ამას მოჰყვა მძევლების მასობრივი დახვრეტა დროებით ოკუპირებულ ყველა ქვეყანაში...

ამ შემზარავი ბოროტების კვალიც კაიტელისკენ მიდიოდა. მართალია, განკარგულებებს იგი ფიურერის სახელით აწერდა ხელს, მაგრამ თვითონაც დაჟინებით მოითხოვდა ამას. ადგილობრივი სარდლებიც იძლეოდნენ განკარგულებებს მძევლების დახვრეტის შესახებ, თუმცა, ზოგიერთი მათგანი არ იწონებდა ამგვარ ღონისძიებას. ასე, მაგალითად, გენერალი ფალკენჰაუზენი საიდუმლო წერილში აცხადებდა:

— მძევლების დახვრეტა არ აღწევს დასახულ მიზანს, პირიქით, აღაშფოთებს მოსახლეობას და ხელს უწყობს კომუნისტურ პროპაგანდას. ეს სახიფათოა სამხედრო თვალსაზრისით.

ეს გაფრთხილება არავინ არ მიიღო მხედველობაში, პირიქით, ტერორი უფრო გააძლიერეს.

რას არ მოიგონებს ბოროტებაში ჩაფლული ადამიანების გარყვნილი გონება! გერმანელებს ჰყავდათ ე.წ. **„ფიზიონისტების ბრიგადები“,** რომელნიც „ერთი შეხედვითაც ცნობდნენ,“ ვინ რას წარმოადგენდა. ამ ბრიგადის შეიარაღებული წევრები დაძრწოდნენ ქუჩებში, პარკებში, რკინიგზის სადგურებზე, უტიფრად აჩერდებოდნენ სახეში გამვლელ-გამომვლელთ და, ვინც „თვალში არ მოუვიდოდათ“, სტაცებდნენ ხელს, რათა გესტაპოს ჯურღმულებში მოეღოთ მათთვის ბოლო, დიუბოსტმა ჩამოთვალა, თუ ვის იყვანდნენ გერმანელები მძევლებად. გავლენიან და სახელოვან პირებსო, — თქვა მან. აქ ლოურენსმა ჰკითხა:

— ხომ არ გვეტყოდით რამდენიმე მათგანის გვარს?

— სიამოვნებით, მილორდ, — მიუგო დიუბოსტმა და რამდენიმე ჰოლანდიელი დაასახელა: რიო-ვილენი — გენერალური დირექტორი; გრაფი ლიმბურგშტირუმი, ვალდე რობერტი — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ბარონი ა. შიმელპენიკი და სხვ.



იბეჭდება შემოკლებით. ტ. III „ნემეზიდას მახვილი“

შემდეგ მან წარმოადგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მარტო საფრანგეთში მოკლეს 29 660 მძევალი... სხვაგან? საერთოდ? განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში?

ტრიბუნალი კი ამდენ დროს ხარჯავს, რათა ბრალდებულებს დაუმტკიცოს, უდანაშაულო ადამიანებს ხოცავდითო. აბა, იმ მძევლებს რა დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი! სადღაც, ვიღაცამ გერმანელი ჯარისკაცი მოკლაო, სტაცებდნენ ხელს და კედელთან დააყენებდნენ... ვიდრე დახვრეტდნენ, ყოველგვარი უფლება აყრილი ჰქონდათ: ნათესავების ნახვა, წერილების მიწერა ან სხვა რამე. მათი საკნების კარებზე დამახასიათებელი წარწერა იყო: „ყველაფერი აკრძალულია“.

ზოგჯერ მთელი ოჯახი ჰყავდათ მძევლებად აყვანილი, — დიდ-პატარიანად. თუ ორსული ქალები შეხვდებოდათ — უხაროდათ, ეს „ორმაგი სიკვდილიაო“. ერთი გესტაპოელი ჯალათი მაინცადამაინც იმას ცდილობდა, ტყვია სხეულის სწორედ იმ ნაწილში მიერტყა, სადაც, მისი ანგარიშით, ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი იყო, მერე მუცელს უფატრავდა და ამოწმებდა, ნიშანში მოვარტყი თუ არაო. თან ანგარიშს უწერდა უფროსებს — ესა და ეს მძევლები დავხვრიტეთო. ამისთვის წინასწარ ანკეტას ავსებდა:

— თქვენი სახელი და გვარი? — შეეკითხა იგი ორსულ მძევალს, რომელიც სრულიად შიშველი იდგა მის წინაშე.

— ჟანეტა მარესიე, — მიუგო ქალმა.

— თქვენი შვილის სახელი?

ქალი გაოგნებული მიაჩერდა მას. მათრახის დარტყმა და კითხვის განმეორება:

— თქვენი შვილის სახელი? — ქალი ისევ დუმს, აბა, ჯერაც დაუბადებელ ბავშვს რა სახელი უნდა ჰქონდეს! ის ჯალათი კი არ ცხრება, მათრახს ურტყამს შიშველ ქალს და უყვირის, გინდა თუ არა, მითხარი შვილის სახელიო. ბოლოს, როგორც იქნა, „გამოტეხა“ და...

— შარლ, — ამოიგმინა ქალმა.

ის ორსული ქალი დახვრიტეს. გესტაპოელმა კი მოხსენებით ბარათში ჩაწერა:

— დახვრეტილია მძევალი ჟანეტა მარესიე და მისი ვაჟი შარლი...

## ესთეტიკური წამება...

დიუბოსტმა ნერვები დააწყვიტა ხალხს, როცა ყვებოდა, თუ წამების რა მეთოდებს მიმართავდნენ გესტაპოელები საფრანგეთში, განსაკუთრებით ე.წ. „ესთეტიკურ წამებაზე“ შეჩერდა: ძალიან ლამაზ ქალიშვილებს ერთად შეყრიდნენ, გააშიშვლებდნენ და სხეულის სწორედ იმ ნაწილს უსახიჩრებდნენ, რასაც ყველაზე მომხიბვლელად მიიჩნევდნენ. მერე ერთი „ნაწილიდან“ მეორეზე გადადიოდნენ და ასე გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე იმ სილამაზიდან მხოლოდ სიმახინჯე არ დარჩებოდა...

მე არ ვიცი, რა პათოლოგიური ჟინია ეს: სილამაზის დამახინჯების ჟინი. ერთხელ ლიზის რომ ვკითხე ამის შესახებ, ეს ჩვენი ეპოქის სულისკვეთებააო, — თქვა მან. მე რომ გაკვირვებული სახე მივიღე, ვითომ განმიმარტა:

— ამ ჯალათებს რას ერჩით, ვერა ხედავთ, მთელი თანამედროვე ხელოვნება სამყაროს როგორ დასახიჩრებულად წარმოგვიდგენს? ეს იმიტომ, რომ სიმახინჯე უფრო გამოხატავს დღევანდელ სულისკვეთებას, ვიდრე სილამაზე. ეს ბუნებრივიცაა. როცა ასეთ საშინელებებს ხედავთ და ისმენთ, განა არ გეუხერხულებათ სილამაზეზე ფიქრი?

გუნებაში კი გავიფიქრე, იქნებ ლიზიც ამიტომ იღებს ასე ხშირად უსირცხვილო პოზებსმეთქი, მაგრამ ამის თქმას როგორ გავბედავდი...

...ის დიუბოსტი კი ისევ „ნერვებს გვიხერხავდა“, თან ეს გოლიათური აღნაგობის კაცი ისე წვრილი ხმით წრიპინებდა, რომ ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა. ბევრი არც უსმენდა. დარბაზი სანახევროდ დაცარიელდა. ის კი მაინც არ მოეშვა ამ ბავშვებისა და ქალების სიკვდილით დასჯას, არამარტო საფრანგეთში, არამედ ბელგიაში, ჰოლანდიაში, ნორვეგიაში და სხვაგან. დახვრეტას რომ მორჩა, ჩამოხრჩობაზე გადავიდა, მერე გილიოტინით ან, უბრალოდ, ნაჯახით თავის მოკვეთაზე. ბოლოს ამასაც დაანება თავი და იმაზე ილაპარაკა, თუ როგორ გადაჰყავდათ პატიმრები სხვა ქვეყნებიდან პოლონეთის სიკვდილის ბანაკებში. დიდი ნაწილი გზაში იხოცებოდა, ზოგი ჭკუაზე იშლებოდა. ასე წაიყვანეს ასეულათასობით ხალხი, მათ შორის ცნობილი პიროვნებანი. დიუბოსტმა ჩამოთვალა: პრეფექტები, გენერლები, მეცნიერები, პროფესორები, გამოჩენილი ინჟინრები, მარკიზები, ბარონები, ვინ იცის, ვინ სად მოკლეს, ვინ სად მოკვდა, მამა — დახაუში, ცოლი — რავენსბრუკში, შვილი — ოსვენციმში.

— ასე გარეკეს საფრანგეთიდან 250 ათასი კაცი, ჰოლანდიიდან — 110 ათასი, ბელგიიდან — 250 ათასი, ლუქსემბურგიდან — 7 ათასი... მათი მხოლოდ მცირე ნაწილი დაბრუნდა უკან. დიუბოსტი ყველაფერს დოკუმენტებით ამტკიცებს, აჩვენებს, თუ როგორ ერეკებიან ხალხს ბანაკებში. ახასიათებს ამ ბანაკებს. განმარტავს, რას ნიშნავს „სიკვდილის ბანაკი“. აქ ყველას ხოცავდნენო, ამბობს იგი. არსებობდა ისეთი ბანაკები, სადაც „იაფ მუშახელს“ ათავსებდნენ. დასჭირდებოდა ზაუკელს მონები და, იგზავნებოდა დეპეშები: ამა და ამ საკონცენტრაციო ბანაკს, გამოგზავნეთ ამდენი და ამდენი მუშახელიო. გზავნიდნენ. გარდა ამისა, პირდაპირ ქუჩებში სტაცებდნენ ხალხს ხელს და გერმანიისაკენ მიერეკებოდნენ. რატომ? რისთვის? რა დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი? არავითარი! არც რამე იურიდიული საფუძველი არსებობდა ამისი. სამაგიეროდ, იაფი ან სრულიად უფასო მუშახელი მიუდიოდა ზაუკელს. ის კი უმთავრესად სამხედრო ქარხნებს უნაწილებდა მათ. განა მარტო ზაუკელი სჩადიოდა ამას, გერინგი სწერდა ჰიმლერს:

— ძვირფასო ჰიმლერ! გთხოვ, საავიაციო მრეწველობისათვის ჩემს განკარგულებაში გამომიგზავნო პატიმრების საჭირო რაოდენობა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მათი გამოყენება მიწისქვეშა სამუშაოებზე მეტად სასარგებლოა...

— ასეულათასობით ხალხი დაიხოცა ამგვარ კატორღებში, — ამბობს დიუბოსტი და ხელს იშვერს ბრალდებულთა სკამებისაკენ, — აი, ესენი, გერინგი და ზაუკელი არიან ამაზე პასუხისმგებელნი. ეს მათ მოიგონეს ტერმინი „შრომითი მისიკვდილება“ (bis zum Tod arbeiten).

ზაუკელი ისე ტანმორჩილია, რომ იმალება საბრალდებო სკამზე. გერინგი კი უხერხულად იშმუშნება ერთ ადგილზე...

ამის შემდეგ დიუბოსტი „მასობრივი მოსპობის სისტემის“ დახასიათებაზე გადავიდა. იგი ამტკიცებდა, რომ შიმშილით სიკვდილი, „შრომით მისიკვდილება“ თუ პირდაპირი მკვლელობა ერთ მიზანს ემსახურებოდა: მთელი ეროვნული ერთეულების მოსპობას. ჰიტლერიც ამას უმეორებდა რაუშნინგს:

— არამარტო სიკვდილით დასჯით, დახვრეტებითა და ჩამოხრჩობით მოვსპობთ არასასურველ ხალხებს, არამედ უმტკივნეულოდ, უსისხლოდ — შიმშილის საშუალებით.



# დღე

## რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# ★ სახიფათო პარალელები

**ჰიტლერს გულწრფელად უყვარდა გერმანია და მზად იყო, მისთვის მომკვდარიყო, ხოლო ვოლოდიმირ სულელი და მისი ხროვა უკრაინისთვის სიკვდილს არ აპირებენ, რადგან ომით მილიარდები იშოვეს და ახლა უკვე საგულაოდ ემზადებიან!**





# უკრაინის ფაშისტური რესპუბლიკა

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

უკრაინის არმია დღეს 880 ათას კაცს ითვლის, მაგრამ ამის მიუხედავად, ფრონტის მთელ ხაზზე აშკარად შეიმჩნევა ჯარისკაცებისა და ტექნიკის ნაკლებობა. ცრუქაქუნა ევროპელი და ამერიკელი სამხედრო ექსპერტების შეფასებითაც, უკვე საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ სამხედრო დაპირისპირების ყველა უბანზე რუსის ჯარი როგორც ცოცხალი ძალის, ისე ტექნიკის მხრივ, უკრაინის შეიარაღებულ ძალებთან შედარებით, მნიშვნელოვან უპირატესობას ფლობს. **ამ უპირატესობის თუნდაც ნაწილობრივი აღმოფხვრა, როგორც ჩანს, მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდა უკრაინელი მებრძოლების ტოტალური მობილიზაციით არის შესაძლებელი.** იმ პირობებში, როცა ევროპა და ამერიკა რუსეთის შიშით უკრაინას ულტრათანამედროვე იარაღს ვერ აწვდის და **ვოლოდიმირ სულელს** არც იმის ნებას რთავს, ეს იარაღი რუსეთის ტერიტორიაზე გამოიყენოს, ეტყობა, ვიღაცამ საბოლოოდ გადაწყვიტა, საქმე გაამარტივოს და „ტოტალური მობილიზაციის“ გამოცხადებით უკრაინის გენოფონდი პირწმინდად გაჟუჟოს!

საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ 1944 წლის ოქტომბერში **ადოლფ ჰიტლერმა** გადაწყვიტა, მესამე რაიხში **„ზეტოტალური მობილიზაცია“** გამოეცხადებინა, რათა სტალინგრადთან და კურსკთან განცდილი საშინელი მარცხი და ზეწარმატებული სამხედრო ოპერაცია „ბაგრატიონის“ დამანგრეველი შედეგები ნაწილობრივ მაინც გაენეიტრალებინა. სწორედ ამ მიზნით, ფიურერის ბრძანებით და სამხედრო მრეწველობისა და შეიარაღების მინისტრის **ალბერტ შპეერის** ხელმოწერით, ფრონტზე გაიწვიეს **16-დან 65 წლამდე ასაკის ჯანმრთელი აბსოლუტურად ყველა გერმანელი.** 1944 წლის ბოლოს **ჰიტლერმა** კიდევ ერთი დრამატული გადაწყვეტილება მიიღო და ტოტალურ მობილიზაციას 18 წლის გოგონებიც დაუქვემდებარა.

საბოლოო ჯამში, სამ ეშელონად გამოცხადებული ტოტალური მობილიზაცია ფაშისტურ მესამე რაიხში დაახლოებით 4 მილიონ 600 ათასზე მეტ ქალსა და კაცს, მოხუცსა და ახალგაზრდას შეეხო. დეზერტირებს ან ადგილზე ხვრეტდნენ, ან წინა ხაზზე აგზავნიდნენ, ანდა საკონცენტრაციო ბანაკებში ამწყსებდნენ. ხშირი იყო შემთხვევები, როცა აღმოსავლეთის ფრონტზე, ანუ საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში, გაგიჟებული და წონასწორობადაკარგული ჰიტლერი 13 წლის ბავშვებსაც კი მიერეკებოდა.

ფიურერი შთაგონებული იყო იმ სულელური და განწირული იდეით, რომელმაც 1212 წელს გერმანელი **ნიკოლას კიოლნელისა** და ფრანგი **სტეფანე კლუელის** მეთაურობით, დაახლოებით 30 ათასი ევროპელი ბავშვი წმინდა მიწის გამოსახსნელად დარაზმა. ცნობილია, რომ მაშინდელი რომის პაპი **ინოკენტი მესამე** და საფრანგეთის მეფე **ფილიპ მეორე ოგიუსტი** ამ ლაშქრობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ ბავშვებმა მაინც არ დაიშალეს, რადგან იმედოვნებდნენ, რომ, რაც დიდებმა ვერ შეძლეს, იმას თავად იზამდნენ და მუსლიმ მეფეებს თავიანთი ქადაგებით მოაქცევდნენ, რაც ქრისტეს საფლავის გათავისუფლებით დასრულდებოდა. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ საცოდავი ბავშვები მაროკოში გემებით წაასხეს და მონათმოვაჭრეებს მიჰყიდეს!

ეშმაკზე სამი დღით ადრე დაბადებულ **ოტო ფონ ბისმარკს** ოდესღაც ნათქვამი აქვს — **რუსები ომს უხეიროდ იწყებენ, მაგრამ ბრწყინვალედ ამთავრებენო! ბისმარკმა** კარგად იცოდა არათუ რუსული ენა, არამედ რუსის ბუნება და ხასიათი, რადგან სანკტ-პეტერბურგში პრუსიის ელჩად წლების განმავლობაში მუშაობდა...

**პუტინმა ვოლოდიმირ სულელის** წინააღმდეგ ომი მართლაც უხეიროდ დაიწყო, მაგრამ უკვე აშკარაა, რომ რუსის ჯარს უკრაინაში ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს. ეს კარგად იციან პოლონეთშიც და ბალტიისპირეთშიც და მიუხედავად იმისა, რომ ნატოს ქოლგა იცავთ, მაინც კონვულსიები ტანჯავთ. პოლონელები და ბალტიელები გამძვინვარებულ პუტინსა და შეტევაზე გადასულ რუსის ჯარს რომ უყურებენ, შიშისაგან ძრწიან და დიდი **ვასო გოძიაშვილის** ცნობილი გმირის, სომეხი ტიგრანას ტაქტიკით მოქმედებენ — **აქაოდა, ჭირსაც წაუღია უკრაინა, მაგრამ მერე ჩვენ არაფერი „მაგვივაო?!“** სწორედ ამიტომ ურქენენ ეს ფარისევლები საქართველოს. უნდათ, როგორმე უკრაინის ჯოჯოხეთში შეგვჩურთონ, ამ გზით რუსეთის აგრესია აირიდონ, ხოლო თავად ფეხი ფეხზე გადაიდონ და ჩვენ მხარდასაჭერად სამძიმრის რეზოლუციები და მემორანდუმები წერონ!

ბებია უცხონდათ!

**ეჟო საქართველოს ევროპის მეციხოვნეობა და სხვის ომებში ტორების დალეწვა...**

## ჩვენ რომ არა, ვარშავაში, ვენაში, პარიზში, რომსა და ბერლინში ან მონღოლების, ან თემურლენგის, ანდა თურქეთის დროშები იფრიალებდა.

ამას დიდი ევროპელი მეცნიერებიც აღიარებენ... მაგალითად, სახელოვანი ავსტრიელი პოეტი, ცნობილი ქართველოლოგი **ჰუგო ჰუპერტი** ჯერ კიდევ გაგანია კომუნისტების ეპოქაში წერდა: *„თბილისი რომ არა, შესაძლოა, ვენაში კათოლიკურის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალედინები, ჩინგის-ხანები და აღმოსავლეთის სხვა სულთნები თუ შაჰები. თბილისი იდგა, როგორც ევროპის ციხე-სიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები, სისხლისაგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე!“*

იმთავითვე ცხადია, რომ, როგორც **ჰიტლერსა** და ფაშისტურ მესამე რაიხს ვერ უშველა ე.წ. ტოტალურმა მობილიზაციამ, ისე ვერც **ვოლოდიმირ სულელის** უკრაინას გადაარჩენს ნატოს გენერალური მდივნის **მარკ რუტეს** მიერ ნაკარნახევი ახალი საბრძოლო ტაქტიკა, რომელიც ევროპელმა და ამერიკელმა ფიურერებმა ასე ჩამოაყალიბეს — **„თუ გვინდა, ფრონტის ხაზზე სტაბილურობას მივაღწიოთ, უკრაინის ხელისუფლებამ ფრონტზე გასაწვევთა ასაკი 25 წლიდან 18 წლამდე უნდა დასწიოს!“**

სხვათაშორის, იმავე **რუტეს** ძალიან მძიმე პროგნოზი აქვს გაკეთებული ევროპისთვის... ამ დღეებში სწორედ მას ეკუთვნის ასეთი შეფასება: *„ჩვენი ხვალინდელი დღე მაწუხებს. ჩვენ მზად არ ვართ იმისათვის, რაც ოთხ-ხუთ წელიწადში გველოდება. საფრთხე მთელი სისწრაფით მოიწევს ჩვენკენ. ის, რაც უკრაინაში ხდება, შესაძლოა, აქაც მოხდეს და ამ ომის შედეგის მიუხედავად, ჩვენ არ ვიქნებით უსაფრთხო მომავალში, თუ მზად არ ვიქნებით, გავუმკლავდეთ საფრთხეს!“*

აქვე ბარემ იმასაც მოგახსენებთ, რომ ნატოს გენერალურმა მდივანმა, გერმანელმა **მარკ რუტემ** ამ დღეებში მთელ ევროპას დააღებინა პირი, როცა ყველა გააფრთხილა — **თუ ასე გაგრძელდა და რუსეთი უკრაინაში ვერ შევაკავეთ, მაშინ რუსულის შესასწავლად კურსების გავლა ყველას მოგვიწევსო!**

მოკლედ, **ვოლოდიმირ სულელი** ისევე, როგორც თავის დროზე **ადოლფ ჰიტლერი,** ტოტალური მობილიზაციისთვის ემზადება და ამ მხრივ მათ შორის საერთო ბევრია. თუმცა, ზელენსკისა და ადოლფს ერთმანეთისგან ბევრი რამ განასხვავებთ... მაგალითად, **ჰიტლერს გულწრფელად უყვარდა გერმანია და მზად იყო, მისთვის მომკვდარიყო.** პირველ მსოფლიო ომში მან ეფრეიტორის ჩინით იომა კიდეც, იფრიტით მოიწამლა და სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა, ხოლო **ვოლოდიმირ სულელი და მისი ხროვა** უკრაინისთვის სიკვდილს არ აპირებენ, რადგან ომით მილიარდები იშოვეს და ახლა უკვე საგულაოდ ემზადებიან! ამის ნათელი დასტურია ის კორუფცია და აღებმიცემობა, რომელიც უკრაინის ხელისუფლებაშია გამეფებული. აღარაფერს ვამბობთ უკრაინის თავდაცვის ყოფილი მინისტრის **დმიტრო კულებას** განცხადებაზე იმის შესახებ, რომ საკუთარ ვაჟს უკრაინის ომში მოხალისედ წასვლა ძლივს გადააფიქრებინა!

**30-იანი წლების მიწურულს ლავრენტი ბერია ამაყობდა, რომ უკრაინის ეკონომიკამ იტალიის ეკონომიკას გაუსწრო!**

**საუბედუროდ, დიდი სტალინის მიერ შექმნილი უკრაინა, რომელიც ვოლოდიმირ სულელმა ფაშისტურ სახელმწიფოდ აქცია, ფაშისტურ გერმანიასავით იშლება!**

საქართველო გაერთიანების შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებს, მაგრამ უკრაინისთვის ასეთი შანსი აღარ არსებობს!

***დიტო ჩუბინიძე***

## ეჟო საქართველოს ევროპის მეციხოვნეობა და სხვის ომებში ტორების დალეწვა!

გენერალისიმუსი
2025 წლის 20 იანვარი, №3 (299)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.



ტრამპის პირველი საპრეზიდენტო ინაუგურაცია. 2016 წელი



# მაყვალა ბერიანიძე:

# დონალდ ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკაში დიდ შემობრუნებას უნდა ველოდოთ!

***ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება და აცხადებს, რომ დღეს ქართველი ხალხი ცხოვრობს სტრატეგიული მოთმინების რეჟიმში და ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ ყველაფერი დაწყნარდება:***

— ყველაზე მეტად უფლის და მერე ამერიკის მომავალი სახელმწიფო მდივნის, ახალგაზრდა **მარკო რუბიოს** სიტყვების მჯერა, რომელმაც 2025 წლის 16 იანვარს „სახიფათო ბოდვა“ უწოდა იმას, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ ვიღაცებმა წარმოიდგინეს, თითქოს მსოფლიოს ყველა ერი დასავლური დემოკრატიის ნაწილი გახდებოდა და საგარეო პოლიტიკა ეროვნული ინტერესების დაცვის ნაცვლად ლიბერალურ დღის წესრიგს მოემსახურებოდა; უფრო მეტიც, ყველა უარს იტყოდა ეროვნულ სუვერენიტეტსა და იდენტობაზე და გახდებოდა მსოფლიოს მოქალაქე! **აი, სწორედ ეს ბნელი ძალები ასანქცირებენ ბიძინა ივანიშვილს...** სიხარულით უნდა გაუწყოთ, რომ ამ ძალების ხროტინი უკვე ისმის, რადგან ხელისუფლებაში **ტრამპი** მოდის!

**სწორედ ამ ბნელი ძალების უბინძურეს გეგმებს შეეწინააღმდეგა ზვიად გამსახურდია, რომელიც შვიდ თვეში დაამხეს, ხოლო „დიფ სთეითის“, იგივე „ფარული დასის“ აგენტი სააკაშვილი, ათი წელი ხელისუფლებაში ამყოფეს და „დემოკრატიის შუქურა“ უწოდეს!**

1993 წლის 19 ივნისს ზვიად გამსახურდიამ დაწერა ცნობილი პუბლიცისტური წერილი — **„კიდევ რას უმზადებენ საქართველოს?“**

**— ეს წერილი მან დევნილობაში დაწერა!**

— დიახ, ზვიადი ჩეჩნეთში იყო და აფხაზეთში ომი მიდიოდა... ამ წერილის გამოქვეყნებიდან სამ კვირაში **ჟიული შარტავა** აფხაზეთში გაამწესეს და სამ თვეში დაახვრეტინეს საქართველოს მტრებს. **ზვიად გამსახურდიამ** 32 წლის წინათ დაწერა ის, რაზეც დღეს ამერიკის მომავალი სახელმწიფო მდივანი **მარკო რუბიო** ალაპარაკდა! საქართველოს დევნილი პრეზიდენტი მაშინ წერდა და დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ **მსოფლიოს მმართველ ბნელ ძალებს სურდათ ეროვნული სახელმწიფოების განადგურება და ერთიანი მსოფლიოს მოქალაქის გამოყვანა.** გამსახურდია იქვე მიუთითებდა, რომ ეს არ გამოვიდოდა... სხვათაშორის, იმავე **მარკო რუბიომ** ამ დღეებში კიდევ ერთი ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა — **საგარეო პოლიტიკაში წინდახედულობა არ ნიშნავს ეროვნული ღირებულებების დათმობასო!** გამოდის, რომ, რისთვისაც ბიძინა ივანიშვილს ასანქცირებენ, თურმე, ის ყოფილა ამ ახალგაზრდა კაცისა და **დონალდ ტრამპის** პოლიტიკის ქვაკუთხედი... ვფიქრობ, **ბიძინა ივანიშვილმა,** რომელსაც ჩემი დაცვა არ სჭირდება, ეს ყველაფერი ზუსტად გათვალა. აქედან გამომდინარე, **დონალდ ტრამპის** ინაუგურაციის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკაში დიდ შემობრუნებას უნდა ველოდოთ!

**— ვინ არის საქართველოს მოქალაქე ოლესია ვართანიანი, რომელმაც ამერიკაში საქართველოსკენ თითი გამოიშვირა და ჩვენს ქვეყანას რუსეთთან კავშირი დააბრალა?**

— **ოლესია ვართანიანმა** ეს განცხადება გააკეთა „ჰელსინკის კომისიის“ სხდომაზე, რომლის თავმჯდომარეც არის საქართველოს დაუძინებელი მტერი, კონგრესმენი **ჯო უილსონი.** როგორც რუსთაველზე ჩამხდელებს სჩვევიათ, **ვართანიანს** კითხვა სომხეთზე დაუსვეს და საქართველოზე დაიწყო ლაპარაკი. მაინტერესებს, **საიამ** 26 ოქტომბრის არჩევნებზე დამკვირვებლად რაღა მაინცდამაინც ეს **ვართანიანი** მოიწვია? გვარგადაკეთებულ სომხებს მივმართავ — **არ გრცხვენიათ, გვარები რომ გადაიკეთეთ და ეროვნებას მალავთ? რა, სომხობა სირცხვილია, ცუდი ერი ხართ, ნიჭიერები არ ხართ თუ რაშია საქმე? თუ საქართველოს მტრობა არ გაქვთ გულში ჩადებული, გვარებს რატომ იკეთებთ და ეროვნებას რატომ მალავთ? ხაზარაძე რატომ მალავს თავის ნამდვილ გვარს? აკოფიანს რატომ უნდა სჯობდეს ჭყონია?**

**— ამას რატომ ამბობთ?**

— საბუთი ხელში არ მიჭირავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ **ოლესია ვართანიანს,** რომელიც **საიამ** საქართველოში მოიწვია, აუცილებლად „უმასპინძლებდნენ“ მამუკა **ხაზარაძეც და თემურ ჭყონიაც,** რომელსაც რუსთაველზე აგერ უკვე რახანია „1+1“ აქცია აქვს... კონგრესმენი **ჯო უილსონი** „ამერიკა-სომხეთის ასამბლეის“ წევრია, რომელშიც კიდევ თხუთმეტი კონგრესმენი შედის. ესენი იყვნენ, აზერბაიჯანის დასანქცირებას რომ ითხოვდნენ! ლობი, რომელსაც **ჯო უილსონი და ოლესია ვართანიანი** წარმოადგენენ, სასტიკი წინააღმდეგი იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტისა და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობისა.

**— ანუ უილსონი და ვართანიანი „სომხურ ლობს“ წარმოადგენენ?**

— ცხადია! ესენი ჩვენ არც ხალხად გვთვლიან და არც სახელმწიფოდ... საქართველოს მოსახლეობას შევახსენებ ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტს — 1918 წელს საქართველოს, სულ რაღაც, ექვსი თვის გამოცხადებული ჰქონდა დამოუკიდებლობა, როცა ამერიკის შეერთებული შტატების სენატში სენატორმა **ჰენრი კებოტ ლოჯმა** პროექტი შეიტანა, რომლის თანახმადაც სომხეთს უნდა მიერთებოდა „რუსეთის სომხეთი“, ირანის აზერბაიჯანის ჩრდილოეთი, „ირანის სომხეთი“, „თურქეთის სომხეთი“, კერძოდ, ექვსი ვილაიეთი და კილიკია. დიახ, **პრეზიდენტი უილსონის** დროს, სენატორი **ჰენრი კებოტ ლოჯი** ცდილობდა, აღედგინა ე.წ. **„დიდი სომხეთი“,** რომლის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მტკვარს მიუყვებოდა. მოკლედ, „დიდ სომხეთს“ სამ ზღვაზე უნდა ჰქონოდა გასასვლელი — კასპიის ზღვაზე, შავ ზღვაზე და ხმელთაშუა ზღვაზე. 1918 წლის დეკემბერში სომხები საქართველოში რომ შემოიჭრნენ, ეს იყო წაქეზების შედეგი და წამქეზებლის როლი ითამაშა სწორედ სენატორ **ჰენრი კებოტ ლოჯის** მიერ შემუშავებულმა რეზოლუციამ „დიდი სომხეთის“ აღდგენის შესახებ... როგორც ჩანს, პრეზიდენტი **ვუდრო უილსონის** მსგავსი გეგმები **ჯო უილსონსაც** „აწუხებს“ და საქართველოს დამცირებისა და უსამართლოდ დაკნინების ხარჯზე მიზნად ისახავენ სომხეთის დახმარებას! სწორედ ამის გამოძახილია ამერიკა-სომხეთს შორის გაფორმებული სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულება. სომხეთს ეპატიჟებიან ევროკავშირშიც... რას აპირებენ, საქართველოს თავზე უნდა გადაახტნენ?

სომხეთს უწონებენ იმას, რომ **ფაშინიანი** ირანის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე ჩავიდა, მაგრამ ამის გამო საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძეს** და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას მწვავედ აკრიტიკებენ და ტყავს აძრობენ. გვაბრალებენ, თითქოს ბიძინა ივანიშვილი ირანის ისლამურ რესპუბლიკას შეეკრა. სინდის-ნამუსი სულ მთლად დაკარგეს? საუკუნის წინათ პრეზიდენტ **ვუდრო უილსონს** საქართველოს ნახვა რუკაზეც კი არ უნდოდა და 1918 წელს სომხეთი სწორედ მისი პოლიტიკის წყალობით დაგვესხა თავს. რა ხდება, კონგრესმენი **ჯო უილსონი ვუდრო უილსონის** მემკვიდრეა, **ოლესია ვართანიანი** და მთელი „სომხური ლობი“ რომ მოგვიქსია? საქართველოს დასჯა უნდათ და ომს ამზადებენ?

**— ამის შესახებ იციან რუსთაველზე მდგომმა საყურიანმა ბიჭებმა და იმ გოგონებმა, რომლებიც ქუჩაში შარდავენ და მერე ამ ყველაფერს სოციალურ ქსელებში ავრცელებენ?**

— ცხადია, ესენი არაფრის აზრზე არ არიან! გაგახსენებთ ჩიკაგოს უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის — **ჯექსონის** განცხადებას საქართველოსა და ქართველებზე — თქვენ, ქართველები, გვჭირდებით... ჩვენ უნდა შეგამოწმოთ და გავიგოთ, რაში შეგიძლიათ, დაგვეხმაროთ! **თქვენ უნდა შეასრულოთ სადგისის ფუნქცია რუსული დათვის სხეულში!** გერმანიის ელჩის — ფიშერისაც გამკვირვებია... მთელი გერმანია რუსეთს თვალებში შესციცინებდით და კიდევ ჩვენ ვართ რუსეთუმეები? გერმანელები მთელი ცხოვრება რუსეთის შიშით რომ ძრწოდით, დაგავიწყდათ? 1918 წლის დამოუკიდებლობა რომ გამოვაცხადეთ, გერმანია პირობას გვიყენებდა — რუსეთმა გცნოთ და მერე ჩვენც გცნობთო! ასე რომ, **როცა ასეთი ისტორია გაქვთ, საქართველოს რუსეთუმეობაზე ნაკლებად უნდა ილაპარაკოთ!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***







ვუდრო უილსონი, ჯო უილსონი, ოლესია ვართანიანი

**„საუკუნის წინათ პრეზიდენტ ვუდრო უილსონს საქართველოს ნახვა რუკაზეც კი არ უნდოდა და 1918 წელს სომხეთი სწორედ მისი პოლიტიკის წყალობით დაგვესხა თავს. რა ხდება, კონგრესმენი ჯო უილსონი ვუდრო უილსონის მემკვიდრეა, ოლესია ვართანიანი და მთელი „სომხური ლობი“ რომ მოგვიქსია?“**







# სოლიდარობა გიგინდებლარიენ? პაქალუსტა!

**გიგი უგულავას დასაცავი რომ გახდები, უნდა ადგე, შარვლის ტოტები ჩამოიფერთხო, ცხვირზე „პლატოკი“ მიიფარო, ჩალურჯებულ თვალზე „ჩაის კომპრესი“ დაიდო და პოლიტიკიდან საერთოდ წახვიდე!**

არ არი შენი საქმე პოლიტიკა და... მით უფრო აგენტობა — საამისოდ არც ფიზიკური მონაცემები გაქვს, არც — გონებრივი, ყველგან და ყველაფერში იოლად იშიფრები. **შენ ისიც კი ვერ დამალე, „გააგენტების“ პირველ დღეებში მიხა სააკაშვილს რომ შეხვდი საზღვარგარეთის რომელიღაც სასტუმროში და რაღაც სირობებზე მოილაპარაკეთ.** ისიც კი გაგიბაზრდა, ერთად რომ გეძინათ. რავი, თვითონ თქვა მიხამ — **მთელი ღამე ერთ ლოგინში**





“სოლიდარობა და მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ ბატონ გიორგი გახარიას” - გიგი უგულავა

**გვეძინაო.** ეტყობა, მაშინ გადაგიღეს და ახლა ამიტომაც დაგარბენინებენ თავიანთ ჭკუაზე. არ ვიცი, ეგებ მაშინ ჩაგაკარტოჩკეს, პანდემიის პერიოდში ფულები რომ გაგქონდათ პარიზში სახლის საყიდლად ან ბავშვების საკეთებელი „ცეხი“ რომ გახსენი მიხა სააკაშვილივით?

**გახჩო, აწი კაკლის საბერტყ ჯოხადღა თუ გამოდგები**, ამიტომ წადი, კოჭი ნახე, ტოლი გააგორე. პირველკაცობა ეგრე არ მოდის ჰაერიდან, ამას გაკეთებული საქმეები და ნაყოფიერი წარსული განაპირობებს. მთელი ცხოვრება მოსკოვებში იყავ, აქ სხვები იბრძოდნენ, შენი ხმა არავის გაუგია, მერე **ხუხამ** რაღაცა გაგიშანსა და წარმოიდგინე, რომ ქვეყნის ხელში ჩაგდებაც შეგიძლია. ეგრე სად არი?

**მაიცადე, აქ სხვებმა იბრძოლონ, სისხლი დაღვარონ, სააკაშვილის ხროვას ემსხვერპლონ და შენ ქვეყანა გადაიბარო?!**

☺

ახლა ისღა დაგრჩენია, **ქუდი დაიხურო და პოლიტიკის კარი გაიხურო,** გასაღები ტილოს ქვეშ დატოვე, შუქსა და წყალს ჩვენ გამოვრთავთ!

# «ტრიკოს» გაიფიცა!

**„ტრიკო“, „ნიფხავი“, „მუთაქა“, „კივი“, „ზღმარტლი“, „ნამგალი“, „ასკილი“, „ჩაქუჩი“, „ტრუსიკი“, „ლეღვის ჩირი“, „პერანგი“, „ხინკლის კუჭი“, „ატრაწუნე“, „აიზეთე“, „აიკუე“, „ცუცურაკი“ და „ჭიმჭიმელი“ გაიფიცნენ.**

20 იანვრამდე წამმზომი ჩაგვირთეს კომპანიებმა: **„უწუნ-უწუნმა“, „პრუწუნ-პრუწუნმა“, „აბუეტმა“, „დუპლეტმა“, „დუნდუკმა“, „ჭუჭულიკმა“, „ტარტაროზმა“, „ვირიშვილებმა“, „დედამოუამ“, „ლაწანმა“, „ტრაწანმა“, „ჭაჭანაჭამმა ჭუკებმა“, „ჩუტრუკმა“, „ღუტუნმა“, „ნახიშტრებმა“** და სხვებმა.

☺

არადა, ამდენი წარმატებული კომპანია თუ იყო საქართველოში, არც ვიცოდი. ან საიდან უნდა მცოდნოდა? ტელევიზორ ჩაირთამ და სუ იმას ლაპარაკობენ, სამუშაო ადგილები არ არი, ხალხ კუჭი უხმებაო. **ეს არი კუჭი გახმობა, როცა 1 ადამიანზე 3 წარმატებული კომპანია მოდის? ან ეს არი, საქართველოში 100 ბიზნესიც კი არ შაიქმნაო?**

100 კი არა, ათასიც არი და მეტიც, მარტო 1500-ზე მეტმა ამასწინებზე მააწერა ხელი ხელისუფლების საწინააღმდეგო პეტიცია-მეტიციას. **მართალია, ვერავინ გაიგო, რა ჩვენი ფეხები უნდოდათ, მაგრამ ხო მააწერეს და ხო დააფიქსირეს, რო ბევრნი არიან? ერთი ეგაა, ვისგანაც არ მოველოდით, ისიც კი გაფიცულა. არა, კომპანია „ტრიკოს“ ეს საქციელი ნამდვილად არ ეკადრებოდა!**

# ნათელა აბობოქრდა!




ეგე, ამანაც ჩართო წამმზომი... ოღონდ 20 იანვრამდე კი არა, მხოლოდ 24 საათით — **ვინც ჩემ გახჩოს ხელით შეეხო, თუ ამ დროში არ დააპატიმრებთ, ყველას მოგაკითხავთო — „ქართულ ოცნებასაც“, შსს-საც, პროკურატურასაც, იუსტიციასაც, სოფლის მეურნეობის სამინისტროსაც, პარლამენტსაც და „ვოზშემც“, მთელ მთავრობასაცო. ვერავინ დამემალებით, ყველას ჩაგყრით ციხეში, საკუთარი ხელით დავადებ კარზე ბოქლომს და გასაღებ კიდე ტილოს ქვეშ არ ამოვდებ, ჯიბეში ჩავიდებო.**

მეტიც! — **ივანიშვილს საბრალდებო „სკამეიკაზე“ დავსვამ პირადად და მერე სამარტოო საკანშიც პირადად გადავიყვანო.**

ეგრეც არ შეიძლება, გოგო, ჯერ გაგერკვია, ვინ ამოჰკრა პანჩური შენ ბოსს, ეგებ ისევ თქვენიანები იყვნენ? რავი, ავი ენები იძახიან, **ბატონ გახჩოს ვალები აქვს, ჯერ წინა არჩევნებზე რომ ამუშავა ხალხი, ჯამაგირები არ დაურიგაო, გადაყარაო და მერე კიდე ისაო, ოფისები რომ იქირავა, არც იქ გადაიხადა ქირებიო.**

არა, ვიღაცები კი იძახიან, **დიტო სამხარაძემ** და ვიღაცებმა ამოჰკრეს პანჩურიო, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, თავი უნდა შეგეკავებინა. ბოლო-ბოლო, ეგ წამმზომი **დოიაშვილივით** შენც 20-მდე ჩაგერთო, 24 საათში რა უნდა მოვასწროთ?

☺

ისე კი, ნათელა, არ გინდა ახლა ეგეთი რაღაცები, **მთავრობა, პროკურატურა, „ქართული ოცნება“, შსს და სოფლის მეურნეობის სამინისტროც თავისი ფეხით მოვა და დაიჩოქებს შენს წინაშე. ბიძინა ივანიშვილი კიდე საკუთარი ხელით დაიდებს ბორკილებსა და საკუთარი ფეხით ჩაჯდება ციხეში.** მაგან კი მადლობა უნდა თქვას, რომ ცხვირი უფასოდ გაუსწორეს!

იმ დღეს, **„ტრიკოს“ მსგავსად, სალომე ზაზოც გაიფიცა,** ფეხებზე ბუგების ნაცვლად შავი მოკასინები ამაიცვა და 3 საათი აეგრე იკრიჭებოდა! **წარმოგიდგენიათ? 3 საათის განმავლობაში აღარც პრეზიდენტი იყო, აღარც სარდალი და აღარც არაფერი.**

რათა, **ზაზო,** რათა?

**იმ 3 საათში რუსეთი ან ჩრდილოეთი კორეა რომ დაგვსხმოდა თავსა, რა უნდა გვექნა?** ეგეთი უპასუხისმგებლობა დასაშვებია? შეიძლება ხელისუფლება არ მოგწონდეს, შეიძლება **ბიძინა ივანიშვილი** არ გეპიტნავებოდეს, მაგრამ **მოსახლეობას რას ერჩი?**



# რათა, ზაზო, რათა?







# გახსოვს-არგახსოვს – საკითხავი აი, ეს არის!

**საერთოდ არ ვიცოდი, ვინ იყო მურუსიძე, ეს გვარი გაგონილი არ მქონდა, ცხოვრების ცენტრი სხვა რაღაცაზე იყო ორიენტირებული, ქვეყნის განვითარებასა და მომავალზე** მიხეილ სააკაშვილი

არა, მიხო, **მურუსიძე** საიდან უნდა გცოდნოდა, მაგისთვის სად გეცალა, შენ ხო დღე და ღამე ქვეყნის განვითარებასა და მომავალზე ფიქრობდი?!

ერთხელ თქვი — **არც ახალაიებს ვიცნობდიო, არც მეგისა ქარდავასო...** დარწმუნებული ვარ, არც **სანდრო გირგვლიანი** გაგიგონია, ადრე წამოიძახე კიდევაც — ეგ ვინ არი, უკვე ამომიყვანეთ ყელშიო.

**ვანო მერაბიშვილი** ბუნდოვნად მაინც გახსოვს? ბიძაშენი **თემურა?** ისე, იცოდე, ეგ ბიძაშენი მაგარი ჩათლახი ვინმეა!

მამაშენ **ნიკოლოზას** იცნობ? არ იცნობ, არც ადრე იცნობდი. 2009-ში არჩევნები რომ გააყალბე და ისევ პრეზიდენტი გახდი, მთავრობის კანცელარიიდან დარეკეს რედაქციაში, ინაუგურაციისთვის რამდენიმე მოსაწვევია თქვენზე, წაიღეთო. მივედი, ცოტა ხანს ლოდინი დამჭირდა. გავიხედე, ვიღაც კაცი ჩხუბობს — როგორ, კაცო, ჩემზე მოსაწვევი რატომ არ არიო? რა ვქნათ, ბატონო ნიკოლოზ, არ არიო, — პასუხობდნენ მეორე მხრიდან. **ვიცანი, მამაშენი იყო. ვააახ, გამიკვირდა. კაცო, პრეზიდენტის მამა ხართ, მოსაწვევი სახლში არ მოგიტანეს-მეთქი? არაო. გაცოფებული იყო, აქედან არ წავალ, სანამ არ მომიტანთო. გადარეკეს, გადმორეკეს, ვიღაცებს შეატყობინეს და ჩეკივით ამოურტყეს.**




ლევან მურუსიძე

☺

**ფეთხულა გიულენი** გახსოვს? არა? დედაშენი იცნობდა კარგად, ამასწინებზე მოკვდა. შენ იგეთი გიჭირამ, აღარც **ლიზა იასკო** გეცოდინება... რა იყო, სად გადაქაჯე ეგ უკრაინელი „ვარსკვლავი“, საერთოდ რომ აღარ გკითხულობს? არადა, ადრე სუ აქ იჯდა და რომანტიკულ რაღაცებსა ჰყვებოდა.

ბათუმში ქალს ძუძუზე რომ უკბინე, **გახსოვს?** აააა... ქალი არა, მაგრამ ძუძუ გახსოვს? არაუშავს, ძუძუ თუ გახსოვს, კიდე კარგია!

ერთი ქალი რომ ახიე ლაჯზე შენ კაბინეტში და მერე დაგაშანტაჟა, თუ ბინას არ მაჩუქებ, ამ ამბავს გაგიბაზრებო, **გახსოვს?** ქალი არა, მაგრამ ახეული ლაჯი გახსოვს, ხო? ეგეც კარგია!

**სანდრა გახსოვს?**

ჰო, ისა, ჰოლანდიელი, ქართული რომ ისწავლა **სალომე ზაზოზე** უკეთესად და მეგრულადაც რომ იმღერა. ააა... სანდრა არა, სალომე ზაზო გახსოვს, ხო? თუ **სალომე ზაზო გახსოვს,** შეიძლება სანდრაც გაგახსენდეს, მაგათი სახელები ჰგავს ერთმანეთს, ხო იცი.

**ერთი რა მაგის პასუხია და ამასწინებზე სადღაც წავიკითხე, სანდრა ყურებამდეა შეყვარებული ვიღაცაზეო, თურმე, „პრიჩოსკაც“ შეუცვლია, თავი გადაუხოტრნია.**

**სალომე ზაზოც** ყურებამდეა შეყვარებული? გადიიიიი, არ მჯერა. ვისზეა შეყვარებული? ულვაშიან კაცზე? ულვაშიანი სტალინი ვიცი და ეგეც მოკვდა. სხვაზე? კაი, ჰო, სიყვარული დასაძრახი საქმე არ არი.

☺

**მიხო, შე უბედურო, გუშინ დედაშენმა რამდენი ცალი სალათის ფურცელი მოგიტანა, გახსოვს?**

არა? ჰოდა, შეეკითხე, აუცილებლად ექნება დათვლილი.

# ლაზარე ჯორბენაძე: თუ ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენა და ვინმეს დასჯა მართლა სურს, პროკურატურის თაროებიდან ჩამოიღოს 2012 წლის დეკემბრიდან 2013 წლის თებერვლამდე ჩემ მიერ მიცემული 32-გვერდიანი ჩვენება!

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-53, 2025 წლის №1-2, 3



***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე აცხადებს, რომ დღეს გადატრიალების მოსაწყობად სხვებთან ერთად ირჯება ვანო მერაბიშვილისა და კეზერაშვილის დუეტი, რომელიც ფარდის უკან დგას და ძალადობრივ ჯგუფებს აფინანსებს:***

— ე.წ. „მშვიდობიანი აქციები“, რომელიც რუსთაველზე გრძელდება, დაფინანსებულია უცხოური ლგბტ ორგანიზაციებისა და იმ ქართული ენჯეოების მიერ, რომლებიც თავის დროზე ნაცმოძრაობამ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დასაქცევად შექმნა. პრივატულ საუბარში მკითხეთ, თუ სად არიან **ვანო მერაბიშვილი, ახალაიები, კოდუები** და ის პირები, რომლებიც ყოველთვის წარმოადგენდნენ ნაცრეჟიმის ხერხემალს. გეტყვით, რომ ეს ხალხი არსად წასულა, მათი ბიზნესები საქართველოში გუგუნებს და პირადად აფინანსებენ ძალადობრივ აქციებს! ცნობისათვის, **დათა და ბაჩო ახალაიების** მესამე ძმა **მანუჩარ ახალაია,** რომლის შესახებაც საზოგადოებამ არაფერი იცის, დღეს „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დირექტორია! „მთავარ არხს“ ჰყავს სამი დირექტორი — **გიორგი გაბუნია, ზაზა ოქუაშვილის წარმომადგენელი, ვინმე ქურდაძე** და დათა და ბაჩო ახალაიების ძმა **მანუჩარ ახალაია!** ვანო მერაბიშვილი და დავით კეზერაშვილი პირადად აფინანსებენ ამ ძალადობრივ აქციებს. დღეს ნაცმოძრაობას სწორედ ვანო მერაბიშვილი და დავით კეზერაშვილი მართავენ და ამ დამნაშავე ხროვის ყველა ყოფილი თუ მოქმედი თავმჯდომარე — **თინა ბოკუჩავაც და ლევან ხაბეიშვილიც,** მათი მარიონეტები არიან. საერთოდ, საქართველო დაღუპა კოჰაბიტაციამ, როცა „ქართულმა ოცნებამ“ სამართალი არ აღადგინა...

**— ხელისუფლება აცხადებს, რომ კოჰაბიტაცია მას ე.წ. „დიფ სთეითმა“, ანუ იმავე „საიდუმლო დასმა“ მოახვია თავს, რომელსაც ამერიკაში ტრამპი ებრძვის!**

— გეთანხმებით, კოჰაბიტაცია ამ ხელისუფლებას თავს მოახვიეს, მაგრამ ახლა ვსაუბრობ იმ უბედურებასა და მავნებლობაზე, რაც კოჰაბიტაციამ მოიტანა! სწორედ კოჰაბიტაციის შედეგია ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო ნაცრეჟიმის არათუ პირველი პირებისა და უკანონო დავალებების შემსრულებლების დაპატიმრება, არამედ მათ მიერ მიტაცებული ქონებების სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება. **ვანო მერაბიშვილი, ბაჩანა ახალაია და მიხეილ სააკაშვილი** სამუდამო პატიმრობას იმსახურებენ, მაგრამ სასაცილო ბრალდებებით დააპატიმრეს, ხოლო **გიგა ბოკერია, გიორგი ბარამიძე, გიორგი ვაშაძე, ლიაკა ხოშტარია, ლევან ბეჟაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი** და სხვა ნაძირალები საერთოდ არ დაუჭერიათ! **გიგა ბოკერია** ციხის ბუნტის დროს ავტომატით ხელში ციხეში დარბოდა და პატიმრებს ესროდა...

**— ამაზე მტკიცებულებები არსებობს?**

— რა თქმა უნდა! ეს საქმე, ფაქტობრივად, გამოძიებულია და **გიგა ბოკერია** დიდი ხნით ციხეში უნდა იჯდეს, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ მას ხელი არ ახლო. **ბოკერიას** ეპატია იმ ათეულობით მილიონი დოლარის გაფლანგვაც, რომელსაც ის ამერიკასა და ევროპაში ნაცრეჟიმის ლობისტებს ურიცხავდა, რათა სააკაშვილის გარყვნილი და მოძალადე ხელისუფლება უცხოელ მფარველებს დაეცვათ.

სააკაშვილი, პირველ რიგში, 2008 წლის ომის დანაშაულისთვის უნდა გასამართლდეს! ცხონებული **სერგო თეთრაძე** ჯერ აწამეს და მერე გაგუდეს... **სერგო თეთრაძის** წამებაზე ბრძანებებს პირადად გასცემდა **ბაჩო ახალაია,** რომელიც იმ ოთახში იყო... **ბაჩო ახალაია** სწორედ კოჰაბიტაციის სახელით გადაურჩა სამუდამო პატიმრობას და სასაცილო დანაშაულისთვის გაასამართლეს, ხოლო **დათა ახალაია** უცხოეთშია წამოწოლილი და ამ ძალადობრივ აქციებს იქიდან „კამანდრობს“... აი, ეს ხალხი, რომელიც არ გასამართლდა ანდა სასაცილო სასჯელები მიესაჯათ და უკვე გარეთ არიან, დღეს ფარდის უკან დგანან და რუსთაველზე მიმდინარე აქციებს უფითილებენ, რათა როგორმე გადატრიალება მოახდინონ. ის, რომ გადატრიალება არ მოხდა და არც მოხდება, არა ამ ხელისუფლების, არამედ ქართველი ხალხის დამსახურებაა, რომელიც ყველაფერს კარგად ხვდება და იცის, თუ რა ნაგავთან და სატანისტებთან აქვს საქმე კოლექტიური ნაცმოძრაობის სახით.

**— მაინც როგორ მართავენ მერაბიშვილი და კეზერაშვილი ამ ძალადობრივ აქციებს?**

— პირველ რიგში, დავიწყოთ იმით, რომ ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სწორედ **მერაბიშვილთან და კეზერაშვილთან** თანხმდება! ხოლო ირიბად ამ ძალადობრივ აქციებს მართავენ ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვა და ევროპის სპეცსამსახურები, რომლებიც თავიანთ დირექტივებს **სალომე ზურაბიშვილის** პირით ახმოვანებენ, ანუ **სალომე ზურაბიშვილი** ამერიკულმა და ევროპულმა სპეცსამსახურებმა კოლექტიური ნაცმოძრაობის დირექტორად დანიშნეს და პრეზიდენტობის ვადის ამოწურვიდან ერთ კვირაში მაკკეინის ინსტიტუტის სტიპენდია დაუნიშნეს. ეს ძალიან სერიოზული დაფინანსებაა...

**— როგორ ფიქრობთ, ნაციონალი მკვლელები და სახელმწიფო დამნაშავეები სალომე ზურაბიშვილის უფროსობას აიტანენ?**

— როგორ არის, იცით? **მერაბიშვილისა და კეზერაშვილის** ფრთა ცალკე ახორციელებს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, ხოლო **ზურაბიშვილი** და მისი პატრონები — ცალკე. ესენი ერთად მხოლოდ იმიტომ არიან, რომ მათი ინტერესი ერთმანეთს ემთხვევა, თორემ ისე ერთმანეთი სასტიკად ეზიზღებათ.

**— მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და გიორგი გახარია ვის ემორჩილებიან — მერაბიშვილ-კეზერაშვილს თუ სალომე ზურაბიშვილს?**

— **მამუკა ხაზარაძე, ნიკა გვარამია, ნიკა მელია, ზურაბ-გირჩი შარვალჩახდილი, გიორგი გახარია** ამერიკის სპეცსამსახურების პირდაპირ აგენტურას წარმოადგენენ და მათ დირექტორად ამერიკის დაზვერვას დანიშნული ჰყავს **სალომე ზურაბიშვილი.** რაც შეეხებათ **ბოკუჩავას, ბარამიძეს, ვაშაძესა** და სხვებს, ესენი პირდაპირ **ვანო მერაბიშვილისა და დავით კეზერაშვილის** ხელით და ფულით იმართებიან. საბოლოო ჯამში, ორივე მიმდინარეობას მაინც ერთი პატრონი ჰყავს, მაგრამ მთელ ამ ორომტრიალში არსებობს კიდევ ერთი ფრთა, ყველაზე ძლიერი დაჯგუფება, რომელსაც ენჯეოები წარმოადგენენ. ეს პირდაპირ უცხოური აგენტურაა, რომელიც ამერიკისა და ევროპის ლგბტ ფონდებიდან ფინანსდება. ეს ყველაზე საშიში ფრთაა, რადგან აქ თავმოყრილი გადაგვარებული და უსამშობლო ადამიანები ასპარეზზე „ადამიანის უფლებების დაცვის“ ლოზუნგით გამოვიდნენ... სინამდვილეში ესენი არიან ფარისევლები და ლგბტ აგენტები, რომლებიც ქართულ იდენტობასა და კულტურას ებრძვიან.

ზემოთ კოჰაბიტაციის მავნე შედეგები ვახსენე... „ქართულ ოცნებას“ **მამუკა ხაზარაძისა** და „თიბისი ბანკისთვის“ ის ასეულობით ქონება რომ წაერთმია, რომელიც ნაცრეჟიმის დროს უკანონოდ მიიტაცეს, დღეს **ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე** სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობას ვერ გაბედავდნენ. იგივე ითქმის **„საქართველოს ბანკსა“ და ნიკა გილაურზე...**

**— ჯემალ ლეონიძეს კეზერაშვილმა რაც უქნა, ყველასთვის არის ცნობილი, მაგრამ თითქოს არაფერი — სამართლიანობა არც აქ აღდგა!**

— ბატონ ჯემალს, ღირსეულ ქართველს და ეროვნულ კაცს, გათახსირებულმა კეზერაშვილმა **„მაგნატი“** წაართვა, ხოლო სხვებს **„სენტა“** წაჰგლიჯა და ასე შექმნა **„გალფი“.** ეს ქონება **ჯემალ ლეონიძემ** ამ ხელისუფლების პირობებში ვერ დაიბრუნა... არადა, **კეზერაშვილის** ბიზნესი ყვავის და ძალადობრივ აქციებს აფინანსებს. არ შეიძლებოდა ამ სატანისტებთან კოჰაბიტაცია. ერთ ამბავს გავიხსენებ და დარწმუნდებით, რომ ნაცები და მათი რეჟიმის უმაღლესი პირები მართლაც სატანისტები არიან... ნავთლუღის სპეცოპერაციის დროს, როცა საცოდავი აჭარელი ბიჭები, სრულიად უდანაშაულო ადამიანები ჩახოცეს, ერთ-ერთი მოკლული, გვარად ართმელაძე, ჩემი ნათესავი იყო. მისი ბაბუა **ვახტანგ ართმელაძე** აჭარიდან ჩემთან, თბილისში ჩამოვიდა და თვალცრემლიანმა მთხოვა — შვილო, ცნობილი ადვოკატი ხარ და ჩემი შვილიშვილი რატომ მომიკლეს, იქნებ გამიგოო! წავედი და ჯერ **დათა ახალაიასთან** მივედი კუდ-ის შენობაში. **ახალაია** გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ გადამდგარი იყო, მაგრამ კუდ-ს, ფაქტობრივად, მაინც ეგ მართავდა და დღედაღამ იქ იჯდა. კაბინეტში რომ შევედი, დათა ისეთ „კაიფში“ იყო, თვალებს ვერ ახელდა. სხვათაშორის, ჰეროინზე სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ შეჯდა, ხოლო **სააკაშვილი** 2008 წლის აგვისტოს ომის შემ-



**„დიმიტრი უზნაძის ქუჩაზე, თავდაცვის სამინისტროს ეზოში, არის „ოტოს“ სამმართველო, სადაც ნაცმოძრაობის უბინძურესი და დამნაშავე რეჟიმის მამხილებელი მილიონობით ფაილი ინახება!“**



**„იმედის“ წართმევის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო პროკურორმა ნიკა გვარამიამ, მაგრამ ამის გამო ის ციხეში არ მჯდარა, რადგან ცოტნე გამსახურდიას დააბრალა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა და ციხეში გაუშვა!“**



# „ქართულმა ოცნებამ“ მხოლოდ დისკები გაანადგურა, თორემ კომპიუტერული ცენტრი და დიდი მეგატვინი არსად წასულა!“

დეგ განარკომანდა! — თქვე არაადამიანებო, ეს უდანაშაულო ბავშვები რისთვის დახოცეთ, რას ერჩოდით-მეთქი? — ვკითხე **დათა ახალაიას.** — ჩემთან რა გინდა, ეს ოპერაცია **ლევან ქარდავამ** ჩაატარაო!

**— ლევან ქარდავა მაშინ რას წარმოადგენდა?**

— **ლევან ქარდავა** არის **მეგის ქარდავას** ძმა და იმაზე ბევრად უფრო სადისტია, ვიდრე მეგისი. მეგისი ფსიქიკურად არ არის კარგად, ავადმყოფია, მაგრამ **ლევან ქარდავა,** რომელიც დათა ახალაიას ერთ-ერთი მოადგილე იყო, სადისტია. შევედი **ლევან ქარდავასთან** და ვკითხე — ეს რა ქენით, ეს რამ გაგაკეთებინათ, იმ უდანაშაულო და საცოდავ ბავშვებს რას ერჩოდით-მეთქი? **ლევან ქარდავას** მაგიდაზე „სტეჩკინის“ სისტემის პისტოლეტი ედო და წმენდდა. მომიტრიალდა და მეუბნება — შენ ხომ არ გინდა, იმ ბიჭებს მიგაყოლო?! ძალიან მძიმე საუბარი გვქონდა, რადგან **ლევან ქარდავა** ბილწი ენის კაცია და ყოველ მეორე სიტყვაში იგინებოდა... ამ ხმაურსა და უბედურებაში კაბინეტთან გარკვეული ხალხი მოგროვდა. ყველაფრის მიუხედავად, **ლევან ქარდავას** არ ვეშვებოდი — ბავშვები ნავთლუღში რატომ ჩახოცეთ-მეთქი? — ეგ ჩვენი ბრალი არ არის, **ბათუ ქუთელიას** ძმამ **გიგა ქუთელიამ** მოიტანა ამბავი, მაგის ინფორმაციას ვენდეთ... სპეცოპერაცია რომ ჩავატარეთ და აჭარელი ბიჭები დავხოცეთ, აღმოჩნდა, რომ **გიგა ქუთელიას,** თურმე, არასწორი ინფორმაცია მოუტანია. მოკლულები არც ციხეზე გეგმავდნენ თავდასხმას და არც იარაღი ჰქონდათ. რაკი დახოცილები იყვნენ, რაღა უნდა გვექნა, ავდექით და ჩავუდეთ იარაღები!

— ბიჭო, არც სინდისი გაქვთ და აღარც ღმერთის გეშინიათ-მეთქი? **ლევან ქარდავამ** „სტეჩკინი“ ხელში აიღო, ვითომ ხუმრობით დამიმიზნა და მითხრა — იმ **ართმელაძეს** უთხარი, თუ არ გაჩერდება, სახლში ვინც ჰყავს, ყველას დავუხოცავთო! **ლევან ქარდავას** იმ აჭარელი ბიჭების ჩახოცვის გამო თერთმეტი წელი აქვს მისჯილი, არადა, სამუდამო პატიმრობას იმსახურებს, ხოლო ბათუ ქუთელიას ძმა **გიგა ქუთელია** საერთოდ არავის მოუკითხავს და პასუხისგებაში არავის მიუცია. მაშინ **გიგა ქუთელია** კუდ-ის მესამე განყოფილების უფროსის მოადგილე იყო, ხოლო შემდეგ უფროსი გახდა. სხვათაშორის, ბათუ ქუთელიას ძმა **გიგა ქუთელია** „ქართულმა ოცნებამ“ გადმოიბარა და კარგა ხანი სუს-ში მუშაობდა. დღეს სად არის და რას აკეთებს, არ ვიცი.

**— საქართველოს ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ 2003-2012 წლებში ნაცმოძრაობის მიერ ჩადენილ დანაშაულთა შემსწავლელი საპარლამენტო კომისია შეიქმნება, რომელიც 2025 წლის სექტემბერში დასკვნას დაადებს და მასალებს შემდგომი რეაგირებისთვის გენერალურ პროკურატურას გადასცემს. რას იტყვით, რა მოლოდინი გაქვთ?**

**– გახსოვთ, ალბათ, ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებების შემსწავლელი საპარლამენტო კომისია რომ შექმნა სააკაშვილმა. ისიც გეხსომებათ, არავითარი შედეგი იმ კომისიის მუშაობას არ მოჰყოლია. აი, ასე არ მოჰყვება შედეგი ამ კომისიის მუშაობასაც!**

**— ე.ი. იმედი არ გაქვთ, რომ რამე შეიცვლება?**

— დიახ, არ მაქვს იმედი და თუ რატომ, ფაქტებს მოგიტანთ! აი, მაგალითად, ავიღოთ მოსამართლე **გიორგი ჩემია,** რომელიც სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეს განიხილავდა. მაშინ ცნობილი ადვოკატი ვიყავი და ყველა პროცესს ვესწრებოდი... **გიორგი ჩემიას** მიუტანეს დაწერილი განაჩენი და გირგვლიანის მკვლელებისთვის სასაცილო სასჯელები გამოაცხადებინეს. ეს მკვლელები ავჭალის ციხეში ევრორემონტიან საკანში ჰყავდათ, სადაც შეუქმნეს იდეალური კომფორტი, მათთან დაჰყავდათ ქალები და პატიმრებს დაატარებდნენ გოგირდის აბანოებში. მკვლელებთან ხშირად დადიოდნენ **ვანო მერაბიშვილი** და სხვა მაღალჩინოსნები, რომლებიც ერთად ქეიფობდნენ. ამის შემდეგ მოსამართლე **ლევან მურუსიძეს** დაავალეს **სანდრო გირგვლიანის** მკვლელებისთვის სასჯელის შემცირება. **ლევან მურუსიძეს** საჯაროდ აქვს ნათქვამი — ვინაიდან პროკურატურა სასჯელის შემცირებას ითხოვდა, სხვა შანსი არ მქონდა, სასჯელი უნდა შემემცირებინაო! ანუ **ლევან მურუსიძემ** აღიარა, რომ მან შეასრულა ნაცმოძრაობის დავალება და მკვლელები გამოუშვა... დღეს ვინც არის **ლევან მურუსიძე,** ვიცით... რაც შეეხება მოსამართლე **გიორგი ჩემიას,** დღეს იგი უზენაეს სასამართლოში მრჩევლად მუშაობს. აქამდე 3500 ლარი ჰქონდა ხელფასი, ახლა კიდევ გაეზრდებოდა... **გიორგი ჩემიას** ცოლი მოსამართლეა! ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩნდება კითხვა —

**რატომ აპატია „ქართულმა ოცნებამ“ დამნაშავეებს დანაშაული? თუ ამ შეკითხვას პასუხი არ გაეცა, ვერცერთი კომისია შედეგს ვერ დადებს!**

**— მაშ, რა არის გამოსავალი, როგორ უნდა აღდგეს სამართლიანობა?**

— ნაცმოძრაობის რეჟიმის დროს დანაშაულებრივი ბრძანების გამცემი ოცამდე პირი რომც დააპატიმრონ, სამართლიანობა მაინც ვერ აღდგება! ნაცმოძრაობის დროს ადამიანის უფლებებს არღვევდა დავალების შემსრულებელი გამომძიებელი, დავალების შემსრულებელი პროკურორი და დავალების შემსრულებელი მოსამართლე. აი, მაგალითად, „იმედის“ წართმევის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო პროკურორმა **ნიკა გვარამიამ,** მაგრამ ამის გამო ის ციხეში არ მჯდარა, რადგან **ცოტნე გამსახურდიას** დააბრალა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა და ციხეში გაუშვა. არც ამ საქმის გამო ჩაუსვამს ვინმეს **გვარამია** ციხეში! თუ ასე გავყვებით, 2012 წლის 21 დეკემბრიდან, როცა „ქართული ოცნების“ ხელისუფლება შეიკრიბა და გამოაცხადა, რომ სამართლიანობის აღდგენას იწყებდა, 2014 წლამდე სხვადასხვა უწყებაში 52 ათასი საჩივარი იქნა შეტანილი გამოძიების საწარმოებლად იმ დანაშაულების გამო, რაც ნაცებმა ჩაიდინეს. ამ 52 ათასი საჩივრის უმრავლესობა ფიზიკურად ნანახი მაქვს. ხალხი ითხოვდა მოძალადე პროკურორებისა და მოსამართლეების დასჯას. პასუხი უნდა გაეცეს მთავარ შეკითხვას — ვინ და რატომ დააფარა ხელი დამნაშავე მოსამართლეებსა და პროკურორებს? ასე რომ, **თუ „ქართული ოცნება“ სამართლიანობის აღდგენას ნამდვილად აპირებს, პირველ რიგში, მოსამართლეებისა და პროკურორების დასჯა უნდა დაიწყოს!**

**— ხელისუფლება იმ 26 ათას ბინძურ ფაილს, რომელიც გილიოტინაში გაატარეს, ნაცების გასასამართლებლად ვერ გამოიყენებს?**

— მაშინ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან ძალიან ახლოს ვიყავი და ყველას ვეუბნებოდი — არ გაანადგუროთ ჩანაწერები! ეს ჩანაწერები იყო მტკიცებულება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებზე, ანუ ხელისუფლებამ მტკიცებულებები გაანადგურა, თუმცა, რაღაც დაავიწყდათ...

**— რას გულისხმობთ?**

— ეს მტკიცებულებები მხოლოდ ერთი ეგზემპლარი არ ყოფილა, არსებობს ამ მტკიცებულებების სხვა ეგზემპლარებიც. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას სამართლებრივ რჩევას მივცემ... **თუ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენა და ვინმეს დასჯა მართლა უნდა, ადგეს და პროკურატურის თაროებიდან ჩამოიღოს 2012 წლის დეკემბრიდან 2013 წლის თებერვლამდე მიცემული ჩემი 32-გვერდიანი ჩვენება, რომელიც პროკურატურას არჩილ კბილაშვილის თხოვნით მივეცი!** ეს ჩემი ჩვენების მოკლე ვარიანტია, რადგან მაშინ ყველაფრის თქმის სურვილი არ მქონდა, მაგრამ, თუ ახლა დამიბარებენ, გენერალურ პროკურატურას უფრო ვრცელ ჩვენებას მივცემ და მტკიცებულებების მოპოვებაშიც დავეხმარები!

ჩემი მეორე რჩევა დღევანდელი ხელისუფლებისადმი ასეთია — დიმიტრი უზნაძის ქუჩაზე, თავდაცვის სამინისტროს ეზოში, არის „ოტოს“ სამმართველო, სადაც ნაცმოძრაობის უბინძურესი და დამნაშავე რეჟიმის მამხილებელი მილიონობით ფაილი ინახება.

**„ქართულმა ოცნებამ“ მხოლოდ დისკები გაანადგურა, თორემ კომპიუტერული ცენტრი და დიდი მეგატვინი, სადაც ყველა ინფორმაცია ინახებოდა და ინახება, არსად წასულა!**

ასევე, სუს-ში, ანუ ყოფილი კუდ-ის შენობაში არსებობს მეორე „ოტოს“ სამმართველო უფრო დიდი შესაძლებლობებით. იქაც არის მილიონობით ინფორმაცია დაფაილებული. თუ სამართლიანობის აღდგენა და ნაცმწამებლების დასჯა მართლა უნდათ, ეს ფაილები გადმოიღონ, შეისწავლონ და დასაჯონ!

**— თქვენ დაკითხვისთვის უპირობოდ მზად ხართ?**

— ცხადია, მზად ვარ, მაგრამ ერთი პირობით — იმ ფაილებში მოხსენიებული დამნაშავეები უნდა დასაჯონ! არ გაინტერესებთ, ვისი სახელები და გვარები ფიგურირებს იმ ფაილებში? **დღევანდელი მოსამართლეების და პროკურორების!** აი, ამიტომ არ მაქვს იმედი, რომ ხელისუფლება პირობას თორმეტი წლის შემდეგ მაინც შეასრულებს და დამნაშავეებს დასჯის!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



**პირადი ცხოვრების ამსახველი უკანონო ფარული ჩანაწერების განადგურება „მოდულის“ შენობაში. 2013 წლის 5 სექტემბერი**



**„დათა ახალაია ჰეროინზე სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ შეჯდა, ხოლო სააკაშვილი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ განარკომანდა!“**





*ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი* ***კახა საბახტარიშვილი*** *ყველაზე სასარგებლო შვიდ პროდუქტს ასახელებს და აცხადებს, რომ ნებისმიერი საკვები, რომელიც ინსულინს მაღლა სწევს, მავნეა:*

**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან ააცილა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.




**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

# კახა საბახტარიშვილი:

# განსაკუთრებით სასარგებლო საკვებ პროდუქტებს შორის პირველ ადგილზე დავაყენებ კომბოსტოს მწნილს!





— სხვადასხვა ფაქტორთან ერთად ადამიანის ჯანმრთელობას დიდად განსაზღვრავს საკვების სახეობა და ხარისხი. საკვების ძირითადი დანიშნულება სიცოცხლის შენარჩუნება, ორგანიზმისთვის ენერგიის მიცემა, მისი აუცილებელი მიკრო თუ მაკროელემენტებით უზრუნველყოფა და ქსოვილების აღდგენის ხელშეწყობაა. თუ საკვები ამ ოთხ პირობას არ აკმაყოფილებს, ის საკვებად არ ითვლება! **გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი საკვები, რომელიც ინსულინს მაღლა სწევს, მავნეა!**

**— ბატონო კახა, მაინც რომელია ის პროდუქტები, რომლებიც ინსულინს ყველაზე მაღლა სწევს?**

— ყველა ის პროდუქტი, რომელიც ადვილად ასათვისებელ ნახშირწყლებს შეიცავს, მავნეა და ინსულინის მატებას იწვევს. ეს პროდუქტებია: **ფუნთუშეულობა, ნამცხვრები, ტორტები, კარტოფილი, შოკოლადი, „კოკა-კოლა“, ლიმონათები...** ამ მავნე პროდუქტებზე ჩვენ საგანგებოდ გვექნება საუბარი! რაც შეეხება ჯანმრთელობისთვის სასარგებლო საკვებ პროდუქტებს, წინამდებარე ინტერვიუში საგანგებოდ გამოვყოფ ასეთი პროდუქტების ტოპ-შვიდეულს. ეს პროდუქტები არამარტო საკვებად არის კარგი, არამედ უამრავი დაავადების განსაკურნებლად ვარგა...

**— დაასახელეთ ეს პროდუქტები!**

— რაც გინდა უცნაურად მოგეჩვენოთ, სიის სათავეში, განსაკუთრებით სასარგებლო საკვებ პროდუქტებს შორის პირველ ადგილზე დავაყენებ **კომბოსტოს მწნილს.** თავად განსაჯეთ, 1 ჭიქა კომბოსტოს მწნილში სულ 1,1 გრამი ადვილად ასათვისებელი ნახშირწყალი და 4 გრამი უჯრედისია, ანუ კომბოსტოს მწნილში ძალიან ცოტაა ნახშირწყალი და ბევრია უჯრედისი. აქედან გამომდინარე, **კომბოსტოს მწნილი ინსულინს, ფაქტობრივად, არ სწევს და ყველა დიაბეტიანმა უნდა მიიღოს!** გარდა ამისა, 100 გრამ კომბოსტოს მწნილში 700 მილიგრამი C ვიტამინია. არადა, ადამიანს დღეღამეში მხოლოდ 75 მილიგრამი C ვიტამინი სჭირდება. მოგეხსენებათ, C ვიტამინი აუცილებელია ძვლებისთვის, გულის გამართული მუშაობისთვის და გააჩნია ანთების საწინააღმდეგო და ანტივირუსული უძლიერესი მოქმედება. კომბოსტოს მწნილი ფერმენტირებულია და ორგანიზმისთვის სასარგებლო უამრავ ბაქტერიას შეიცავს. სხვათაშორის, **სასარგებლო ბაქტერიებს დიდი ოდენობით შეიცავს მაწონი და იოგურტი, მაგრამ კუჭის წვენი ამ ბაქტერიებს ანადგურებს, რასაც ვერ ვიტყვით კომბოსტოს მწნილში არსებულ სასარგებლო ბაქტერიებზე.** გარდა ამისა, კომბოსტოს მწნილი ადვილად მოსანელებელი პროდუქტია. ის შეიცავს აცეტილქოლინს, რომელიც კუჭის მოქმედებას ააქტიურებს, კუჭის წვენის მჟავიანობას მაღლა სწევს და ტვინის გამართულ ფუნქციონირებას უწყობს ხელს.

კომბოსტოს მწნილში შედის რძემჟავაც, რომელიც მავნე, პათოგენურ ბაქტერიებს ანადგურებს, ხოლო მსხვილ ნაწლავში არსებული სასარგებლო ბაქტერიების გამრავლებას უზრუნველყოფს. კომბოსტოს მწნილი შეიცავს U ვიტამინს, რომელიც კოლიტის, გასტრიტის, წყლულის და რეფლუქს ეზოფაგიტის პირველი წამალია.

**— კომბოსტოს მწნილის შემდეგ სასარგებლო პროდუქტებს შორის მეორე ადგილს რომელს მიაკუთვნებთ?**

— ჩვენს მაღაზიებში უკვე დამკვიდრდა **რუკოლა.** ეს უცხოური ბოსტნეულია, მაგრამ ბევრი ჩვენი დიასახლისი სალათების მომზადებისას აქტიურად იყენებს. **რუკოლა ყველა იმ ადამიანმა უნდა მიირთვას, ვისაც ღვიძლი აწუხებს!** მას ანთების საწინააღმდეგო უძლიერესი მოქმედება გააჩნია. რუკოლა შეიცავს აზოტის ოქსიდს, რაც სისხლძარღვების გაფართოებას უზრუნველყოფს. ასე რომ, რუკოლა უნდა მიირთვას ყველამ, ვისაც მაღალი წნევა აქვს! **რუკოლა ნამდვილი აფროდიზიაკია და ხელს უწყობს მამაკაცური პოტენციის ამაღლებას. ის შეიცავს კალციუმს, კალიუმს, ფოლის მჟავას, C ვიტამინს. რაც მთავარია, აღმოაჩინეს და დაამტკიცეს, რომ რუკოლას კიბოს საწინააღმდეგო თვისებები გააჩნია!**

# „რუკოლა ყველა იმ ადამიანმა უნდა მიირთვას, ვისაც ღვიძლი აწუხებს!“




# „იქ, სადაც ადამიანები ზეითუნის ზეთს ხშირად მოიხმარენ, დიდხანს ცოცხლობენ!“

**— მესამე ადგილს რომელ პროდუქტს მიაკუთვნებთ?**

— ჩემი კლასიფიკაციით, მესამე ადგილზე აუცილებლად უნდა იყოს **ორაგული!** იგი ყველაზე მეტ „ომეგა-3“-ს შეიცავს და სწორედ ამაშია ამ თევზის განსაკუთრებულობა. „ომეგა-3“-ზე ჩვენ ბევრი დაგვიწერია და ახლა ამ უნიკალურ პროდუქტზე არ შევჩერდები. ვიტყვი მოკლედ — **„ომეგა-3“ აუცილებელია გულისთვის, სახსრებისთვის და თავის ტვინისთვის. გარდა ამისა, „ომეგა-3“-ს გააჩნია კიბოს საწინააღმდეგო მოქმედება.** ორაგული იმით არის გამორჩეული, რომ მის ხორცში ცხიმებისა და ცილების შეფარდება ორი ერთზეა, ანუ ორაგულის ხორცში ცხიმი ორჯერ მეტია, ვიდრე ცილა.

აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ მითია შეხედულება, თითქოს მჭლე ხორცი ქონიან ხორცზე უკეთესია. საქმე ის გახლავთ, რომ ცხიმი ინსულინს მაღლა არ სწევს, ხოლო ცილას ინსულინის მაღლა აწევა შეუძლია. **ბევრი ორაგულს კანს აცლის და ისე მიირთმევს, რაც შეცდომაა, რადგან მის კანქვეშ ბევრი „ომეგა-3“-ია.**

# შიში იმისა, რომ ორაგულის კანი შესაძლოა, მდინარესა და ზღვაში გახსნილ ვერცხლისწყალს შეიცავდეს, უსაფუძვლოა, რადგან ორაგულში ბევრია სელენი, ხოლო ის თევზი, რომელიც ბევრ სელენს შეიცავს, ვერცხლისწყალს არ იკარებს!

შემწვარი ორაგული უგემრიელესია, მაგრამ უფრო სასარგებლო მოხარშული ორაგულია!

**— მეოთხე ადგილს რომელ პროდუქტს მიაკუთვნებთ?**

— თითქმის ყველა მაღაზიაში თავისუფლად იყიდება **ვირთევზას ღვიძლი,** რომელსაც საერთოდ არა აქვს თევზის გემო. თევზის ქონისგან განსხვავებით, ვირთევზას ღვიძლი შეიცავს A და D ვიტამინს. თავად განსაჯეთ, 4 გრამ ვირთევზას ღვიძლში D ვიტამინის დღიური ნორმაა. **ვირთევზას ღვიძლი** იმით არის გამორჩეული, რომ მასში ცხიმებისა და ცილების შეფარდება ხუთი ერთზეა. ის დიდი ოდენობით „ომეგა-3“-ს შეიცავს. მასში ბევრია K2 ვიტამინი, იოდი და B ჯგუფის ვიტამინები. **მიმაჩნია, რომ ყველა დიაბეტიანმა ვირთევზას ღვიძლი კვირაში ერთხელ მაინც უნდა ჭამოს!**

**— მეხუთე ადგილს რომელ პროდუქტს მიანიჭებთ?**

— მეხუთე ადგილზე ყველასთვის კარგად ცნობილ **საქონლის ბიფშტექსს** გავიყვანდი, ოღონდ აქ არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმება ჰამბურგერი, ჩისბურგერი და ა.შ. ბალახზე გაზრდილი საქონლის ხორცი შეიცავს დიდი რაოდენობით რკინას. ამასთან, ეს რკინა ე.წ. ბიორკინა, ანუ ორგანიზმისთვის ადვილად ასათვისებელი ქიმიური ელემენტია. საქონლის ხორცი დიდი ოდენობით B12 ვიტამინსაც შეიცავს და ამიტომ ყველამ, ვისაც სისხლნაკლებობა, ანუ ანემია აწუხებს, საქონლის ხორცი უნდა მიირთვას! გარდა ამისა, საქონლის ხორცი შეიცავს კარნაზინს, რომელიც გლიკირებას ამცირებს. ამიტომ საქონლის ხორცი დიაბეტიანებმაც აუცილებლად უნდა მიირთვან. მასში ბევრია კრეატინინი, რომელიც კუნთოვან მასას ზრდის. ამიტომ სპორტსმენებისთვის საქონლის ხორცი შეუცვლელი საკვებია. **ცხადია, შემწვარი საქონლის ხორცი განსაკუთრებული გემური თვისებებით გამოირჩევა, მაგრამ, თუ გვინდა, მისგან მეტი სარგებლობა მივიღოთ, უმჯობესია, მოვხარშოთ და ისე მივირთვათ!**

# ჩვენებური ხაშლამა ჯანმრთელობისთვის იდეალური პროდუქტია, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მას პურს არ მივატანთ!

**— თქვენი აზრით, მეექვსე ადგილი რომელ პროდუქტს ეკუთვნის?**

— ყველამ იცის, რომ **ნიგოზი** ძალიან სასარგებლოა. საქართველოში უკვე ფართოდ არის გავრცელებული ნიგვზის ერთ-ერთი სახეობა — **პეკანი.** პეკანის



# „ყველამ, ვისაც სისხლნაკლებობა, ანუ ანემია აწუხებს, საქონლის ხორცი უნდა მიირთვას!“




# „ყველა დიაბეტიანმა ვირთევზას ღვიძლი კვირაში ერთხელ მაინც უნდა ჭამოს!“

100 გრამში სულ 4 გრამი ნახშირწყალია, ხოლო ცხიმი — 71 გრამი. მასში ყველაზე მეტი ანტიოქსიდანტია. ამიტომაც პეკანი შეუცვლელია იმ ადამიანებისათვის, ვისაც გული და დიაბეტი აწუხებს. პეკანი ადვილად გადასამუშავებელი პროდუქტია და ორგანიზმს თუთიით, კალციუმითა და B1 ვიტამინით ამარაგებს!

**— თქვენეული კლასიფიკაციით, სასარგებლო პროდუქტების ტოპ-შვიდეულს რომელი პროდუქტით დაასრულებთ?**

— ეს სია წარმოუდგენელი იქნებოდა **ზეითუნის ზეთის** გარეშე! ჩვენ მის შესახებ ბევრი დაგვიწერია, მაგრამ ახლა ვიტყვი იმას, რაც არ გვითქვამს. ადამიანს რაც მეტი მიტოქონდრია უჩნდება, მით უფრო დიდხანს ცხოვრობს. მიტოქონდრიების სიმრავლე კიბოსგანაც გვიცავს. მკითხველს მოკლედ შევახსენებთ, თუ რას წარმოადგენს მიტოქონდრია. ეს არის უჯრედის სტრუქტურა, ე.წ. ელექტროსადგური, რომელიც უჯრედს და მთელ ორგანიზმს ენერგიას აწვდის. თუ ეს „ელექტროსადგურები“ ვერ ფუნქციონირებენ და მათი რიცხვი შემცირდა, ადამიანი დიდხანს ვერ იცოცხლებს და სხვადასხვა დაავადების მიმართაც მოწყვლადი იქნება. **ზეითუნის ზეთი** ადამიანის ორგანიზმში მიტოქონდრიებს აღადგენს და ამრავლებს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სადაც ადამიანები ზეითუნის ზეთს ხშირად მოიხმარენ, იქ დიდხანს ცოცხლობენ!

ზეითუნის ზეთს იმდენად ძლიერი ანთების საწინააღმდეგო მოქმედება გააჩნია, რომ იბუპროფენსაც კი სჯობია! ის ხელს უშლის თავის ტვინში ამილოიდების ჩალაგებას და ალცჰაიმერის დაავადების განვითარებას. ზეითუნის ზეთი აუმჯობესებს თვალის ბადურის მდგომარეობას და ხელს უშლის თრომბების წარმოქმნას. ყველამ უწყის, რამდენად სასარგებლოა მწვანე ჩაი, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ზეითუნის ზეთში ოცჯერ მეტი ფიტონუტრიენტია, ვიდრე მწვანე ჩაიში. ამიტომ ჩემი რჩევაა, დღეში ერთხელ მაინც მივირთვათ ერთი სუფრის კოვზი **ზეითუნის ზეთი.** უმჯობესია, თუ იგი ცივი გაწურვის შედეგად იქნება მიღებული. სწორედ ასეთი ზეითუნის ზეთია **„ექსტრა ვირჯენი“.** სხვათაშორის, საქართველოში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ხარისხის ზეითუნის ზეთი მზადდება!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## „პეკანი შეუცვლელია იმ ადამიანებისათვის, ვისაც გული და დიაბეტი აწუხებს!“



## „ორაგული ყველაზე მეტ „ომეგა-3“-ს შეიცავს და სწორედ ამაშია ამ თევზის განსაკუთრებულობა!“





# ფრთხილად, პირიმკიდეა!

***2019 წელს რეჟისორმა დავით დოიაშვილმა ვასო აბაშიძის სახელობის მუსკომედიის ახალ თეატრში ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“ მიხედვით მიუზიკლი „შეყრა“ დადგა, სადაც მსახიობები თან მღერიან, თან ცეკვავენ და თან სალაპარაკო ღრუს არადანიშნულებისამებრ იყენებენ... აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ მას, ვინც პირს არადანიშნულებისამებრ იყენებს, ძველქართულად პირიმკიდე ჰქვია.***


სცენა დავით დოიაშვილის სპექტაკლიდან „შეყრა“

როგორც **დოიაშვილმა,** ანუ ე.წ. **დოიმ** განაცხადა, ეს არის სპექტაკლ **„გაყრის“** გაგრძელება, ანუ, ფაქტობრივად, მეორე ნაწილი, რომლის ფაბულაც მე-19 საუკუნის თბილისური ცხოვრებიდან არის აღებული... პერსონაჟების მოქმედებას ასაზრდოებს ძველ თბილისში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბავი — მზის დაბნელება. ადამიანები ცდილობენ, გახდნენ უკეთესები, კეთილშობილები, რადგან გადარჩება მხოლოდ ის, ვინც უცოდველი და დაოჯახებული იქნება!

სპექტაკლში მონაწილეობენ: **სოფო ნიჟარაძე, გიორგი ვარდოსანიძე, აჩიკო სოლოღაშვილი, ბადრი ბეგალიშვილი, ლაშა რამიშვილი, ალექსანდრე ბეგალიშვილი** და ბევრი ცნობილი თუ უცნობი მსახიობი... სპექტაკლის ნახვა რეკომენდებულია მხოლოდ 14 წელს გადაცილებულთათვის...

ეს დღეებია, სოციალური ქსელები წალეკა ვიდეოამონარიდმა ამ სპექტაკლიდან, რომელმაც, სიმართლე გითხრათ, თავზარი დამცა... უბედურება ის არის, რომ **„შეყრა“** ქართულ სცენაზე წლებია, იდგმება, თუმცა, ფართო საზოგადოებამ დღემდე არაფერი იცის იმის შესახებ, თუ რა სენი, ჭირი და კიბო შეჰყარა ქართულ თეატრალურ და სასცენო ხელოვნებას ამ მიუზიკლით **ე.წ. დოიმ,** რომელიც „ქართულ ოცნებასთან“ ბრძოლის ეგიდით კოლექტივთან ერთად გაიფიცა და ხელისუფლებისთვის ულტიმატუმი აქვს წაყენებული — **თუ 20 იანვრამდე დაპატიმრებულ მსახიობებს გამოუშვებთ, ხომ კარგი, თუ არადა, მე ვიცი, რასაც ვიზამ!**

ვიდეოში, რომელიც სოციალურ ქსელში კიბოს მეტასტაზებივით ვრცელდება, ჩანს საწოლი, რომლის შუაგულშიც ახალგაზრდა ქალია წამომჯდარი... ქალს თეთრი, ბანტიანი და მაქმანიანი ნიფხავი აცვია, მე-19 საუკუნეში და უფრო ადრეც რომ ეცვათ ისეთი, მაგრამ ამ მოკრძალებული ნიფხვის მიღმა იმალება უკიდეგანო გარყვნილება.

**ქალს ერთი ფეხი ხაშურისკენ აქვს გაშვერილი, ხოლო მეორე — ლაგოდეხისკენ... ფეხებს შუა თავი ჩარგული აქვს ერთ ბუღას, რომელსაც თავზე ქალის კაბა აქვს გადაფარებული და ინტენსიურად მუშაობს.**

ქალი ნახევრად მკივანი თუ მკვნესარე ხმით ამოთქვამს ასეთ ფრაზებს: **„შევიდა სწრაფად! გამოვიდა უცბად! ერთი ამოლესილი, ერთი ამოგლესილი, ორი ამოთქვლეფილი, ერთი თათარიახნად... ვავავავა!“**

ქალის ყოველ შეძახილს თან სდევს ფეხებში თავჩარგული **პირიმკიდეს** შესაბამისი რეაქცია და ხვანცალი, რაც ორალური სექსის სრულ სურათს ქმნის! ეს ყველაფერი კი თამაშდება მაყურებლის ქირქილის, ფხუკუნისა და ღლიცინის ფონზე...


დავით დოიაშვილი

## აი, აქამდე დაეშვა ქართული თეატრის ფარდა!

**აი, აქამდე დაეშვა, ძვირფასო მკითხველო, ქართული თეატრის ფარდა და ასეთი სიბილწის პროპაგანდირებით არის დაკავებული ეს მართლაცდა დოყლაპია დოი, რომელსაც კიდევ რა აქვს გადაყლაპული, „ამოგლესილი“, „ამოთქვლეფილი“ თუ „ამოლესილი“, ეშმაკმა უწყის.**

მიგვაჩნია, რომ ზემოხსენებული სცენიდან გამომდინარე, **დოის** მიერ დადგმულ **„შეყრას“** სინამდვილეში **პირიმკიდე** უნდა ერქვას... ყოველ შემთხვევაში, რაც იმ საწოლზე ხდება და რასაც იმ ქალს ბუღა უშვრება, აშკარად **პირიმკიდეობა** ჰქვია. დიახ, ამ სპექტაკლს ეს სახელი უფრო დაამშვენებდა. **„შეყრა“** ის უფრო იქნება, რაც **ელტონ ჟყონია-აკოფოვსა** და **ხაზარ-ფაშა მამუკას** დაემართებათ ცოტა ხანში, როცა, დიდი ვაჟა-ფშაველასი არ იყოს, ამინი ჩამოუვლით და ერთს **შევარდნაძის** დროს გასუხარებულ თურქულ კრედიტს მოაცუნცულებინებენ პროცენტებით, ხოლო მეორეს იმაზე მოუწევს პასუხისგება, რაც ე.წ. **„სახელმწიფო საინვესტიციო კორპორაციით“** მეანაბრეებს დამართა, როცა ასეულობით მილიონი დოლარი მიითვისა და თავისი ნამამაძაღლარი **ვანო ჩხარტიშვილს** გადააბრალა — **აქაოდა, პირი არაფერზე მომიკიდია, ყველაფერი მრისხანე ვანომ შეჭამაო!**

**„პირიმკიდე“** ძველი ქართული სიტყვაა... მაგალითად, **სააკაშვილის** მიერ ამერიკიდან თუ ბრიტანეთიდან ჩამოთრეული ინგლისური ენის მასწავლებელი — **გვარად ფლეთჩერი,** რომელმაც **ხელოვნური ფალოსი** ჩაიდო პირში, ფოტოსურათები გადაიღო და მერე ეს ყველაფერი გამოაქვეყნა, სწორედ **პირიმკიდე** იყო... დიდი ალბათობით, **პირიმკიდე** უნდა იყოს ის რამდენიმე პერსონაც, რომლებიც ფულის საშოვნელად დაჭენაობდნენ და დღეს თავი გამოიდეს — **არ გავრუსდებითო!**

მახსოვს, როცა წლების წინათ, მარჯანიშვილის თეატრში ბრიტანელი მსახიობები ჩამოვიდნენ და სცენაზე ქალის ნიფხვებში გამოწკეპილი კაცები წარდგნენ, გაცეცხლებულმა **ოთარ მეღვინეთუხუცესმა** ევროპიდან ჩამოთრეულ გადაგვარებულებს სულ დედა აგინა და სცენიდან ჩამოყარა! დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო და უბადრუკი დოიაშვილის **„შეყრა“** ენახა, შესაძლოა, ოთარ მეღვინეთუხუცესს **დოისთვის** დათა თუთაშხიას „მაუზერი“ უკანალში შეეყარა და იქვე **„მოეკლა“** კიდეც... თუმცა, მოდით, ამაზე ისევე ნუ ვიმარჩიელებთ, როგორც **პირიმკიდე ლაშა ბუღაძის** გაურკვეველ ხვედრზე — **გეი-კლუბში კურტკიანმა კაცებმა მართლა მოიხმარეს თუ არა!**

ისღა დაგვრჩენია, საზოგადოება მოვარიდოთ ამ სპექტაკლს, რადგან ბინძური საცვლების სცენაზე გამოფენას **ქართული თეატრი და ლეგენდარული ვასო აბაშიძის სახელი** ნამდვილად არ იმსახურებს!

საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება, როცა **პოლიტიკური პირიმკიდე ლაშა აკაკის ძე ბაქრაძე** ლიტერატურის მუზეუმს **გაყარა.** გასაფიცად **შეყრილმა პირიმკიდეებმა** ზნეკეთილ საზოგადოებას თვალებში გარყვნილების ნაცარი ვერ უნდა **შეაყარონ!**

***დიტო ჩუბინიძე***


სცენა დავით დოიაშვილის სპექტაკლიდან „შეყრა“



# ლეგენდარული ალპინისტების

## ივანე ჯაფარიძე:

# სიმაღლეებისაკენ ლტოლვა ქართველი კაცის გენეტიკაშია, სწორედ ეს არის ქართველების ბედნიერებაც და ტრაგედიაც!

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2025 წლის №3*

*„სიმართლე სიმონ ჯაფარიძის დაღუპვის შესახებ ალიოშა ჯაფარიძის გამოუქვეყნებელ წიგნშია, რომელსაც ახლა ვამზადებ“,* ***— ამბობს ლეგენდარულ მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემკვიდრე ივანე ჯაფარიძე და ქართული ალპინიზმის ისტორიის შესახებ თხრობას განაგრძობს:***

— მამიდაჩემი **ალექსანდრა ჯაფარიძე** არასოდეს საუბრობდა 1929 წელს თეთნულდზე დატრიალებულ ტრაგედიაზე და ძმის — **სიმონ ჯაფარიძის** დაღუპვის შესახებ, არც მე ვეკითხებოდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამ უთქმელობით, ის ძალიან დიდ ტვირთს ატარებდა. სინამდვილე და საქმის დეტალები შევიტყვე მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, როცა საოჯახო არქივში მისი მეორე ძმის **ალიოშა ჯაფარიძის** გამოუქვეყნებელი წიგნის **„თეთნულდის“** ხელნაწერის მე-2 და მე-3 ნაწილი აღმოვაჩინე. მასში დეტალურადაა აღწერილი **სიმონის** დაღუპვის ამბავი, ამასთან გამაოგნებელ და დაუჯერებელ ფაქტებს შეხვდებით. ვერის ბაღში სიმონის გადმოსვენების დროს მისი ჩონჩხის ზედმიწევნით დათვალიერებამ მეც მრავალი კითხვა გამიჩინა.

**— ერთ ეპიზოდსაც ვერ გაგვიმხელთ მომავალი წიგნიდან?**

— გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ნაპრალი, სადაც თანამგზავრ **პიმენ დვალის** გადასარჩენად ხელგაწვდილი **სიმონი** ჩავარდა, გაცილებით შორს იყო, ვიდრე ნამდვილი დაღუპვის ადგილი, სადაც ნეშტის საძებრად წასულ ჯგუფს მიუთითებდნენ. **სიმონის** დაღუპვასთან დაკავშირებულ მომენტებსა და შეცდომების მთელ კასკადს დეტალურად, უკომპრომისოდ განიხილავს და აღწერს **ალიოშა ჯაფარიძე,** რასაც ჩემს მომავალ წიგნში გაეცნობა მკითხველი. დაახლოებით 60 წლის წინათ ძველი თაობის არაერთი პიროვნება და **სიმონის** მეგობარი გამოვკითხე. ყველანი ერთსულოვნად და აღტაცებით აღნიშნავდნენ მის პიროვნულ ხიბლსა და ვაჟკაცურ თვისებებს, ხოლო ცნობილმა მსახიობმა **მერი დავითაშვილმა** ეს შეხედულება დაადასტურა და ისიც მითხრა — შეუძლებელი იყო, სიმონი ერთხელ გენახა, დალაპარაკებოდი და არ შეგყვარებოდაო. არ ავიწყდებოდა, როცა ქუთაისში კოტე მარჯანიშვილის დასს გაჰყვა და ნათესავ გოგონასთან ერთად ცხოვრობდა, შეშის გარეშე დარჩენილებს, **სიმონმა** როგორ მიუტანა შეშა და ზამთრის ყინვას გადაარჩინა. გულისტკივილით ამბობდა, **სიმონი** უკვე ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ მის მიერ დატოვებული სითბო კიდევ დიდხანს გვასულდგმულებდაო.

**— ცნობილია, რომ სიმონის ძმის — ალიოშა ჯაფარიძის გამოჩენა მთამსვლელობაში სიმონის ტრაგედიამ განაპირობა.**

— **ალიოშა** ამბობდა: თუ არა **სიმონის** სიკვდილი, მე იქნებ არასოდეს მეფიქრა მთებზეო... იმ დროს ის ლენინგრადში სტაჟირებაზე იმყოფებოდა, დეპეშის მიღებისთანავე გამოემგზავრა საქართველოში, თუმცა, ზუსტად არ იცოდა, რა მოხდა. როცა ბაქოში გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ წაიკითხა — „სიმონ ჯაფარიძის გვამი ნაპოვნიაო“, ყველაფერი ნათელი გახდა.

**— ალიოშა ჯაფარიძის პირველი ასვლა მწვერვალზე?**

— ეს იყო **სიმონის** გარდაცვალების წლისთავზე. და-ძმას — **ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეებს** შურისძიება სწყუროდათ, უნდოდათ ძმის დაღუპვის ადგილის ნახვა და ტრაგედიის მიზეზების გარკვევა. თუმცა, ძალიან უმძიმდათ მშობლებისთვის ამის გამხელა, მაგრამ, როცა მათ შვილების განზრახვის შესახებ გაიგეს, უყოყმანოდ დათანხმდნენ, ხოლო მოხუცმა მამამ მათთან ერთად წასვლის სურვილიც კი გამოთქვა. დედამ თბილი ტანსაცმელი და ხელთათმანები მოუმზადა, კარავიც კი საკუთარი ხელით შეუკერა.

კავკასიონის მწვერვალებისაკენ **ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები** 1930 წლის 1 ივლისს გაემართნენ, მათთან ერთად იყვნენ მოხევე **იაგორ კაზალიკაშვილი** და სვანი **ადსილ ავალიანი.** 11 ივლისს დაიწყეს სვლა თეთნულდისაკენ, მაგრამ სქელი ნისლის გამო იმ დღეს მწვერვალზე ვერ ავიდნენ. მეორე დღეს კი **ალიოშა** ჯერ მარტო ავიდა მწვერვალზე, შემდეგ კი თანამგზავრებთან ერთად. თავის პირველ შთაბეჭდილებას ასე გადმოსცემდა: მწვერვალზე მრავალჯერ ნამყოფი მთამსვლელიც კი ხარბად და სიამოვნებით დაუწყებს ცქერას იმ სილამაზეს, რაც კი მის თვალწინ იშლებაო. საერთოდ, სიმაღლეებისაკენ ლტოლვა ქართველი კაცის გენეტიკაშია, სწორედ ეს არის ქართველების ბედნიერებაც და ტრაგედიაც.

შემდეგ იყო **ალიოშას** ასვლა მყინვარწვერზე სრულიად ახალი გზით — დევდორაკისა და აბანოს მყინვარის გამყოფი ქედით. ეს გზა დანარჩენ მარშრუტებზე ბევრად მოკლე იყო, თუმცა, 1932 წლის აგვისტოში ამ გზით ასვლა არ მოისურვა მყინვარწვერის გამოსაკვლევად წასულმა სპეციალურმა ექსპედიციამ **შოთა მიქელაძის** ხელმძღვანელობით. მოხდა ტრაგედია. მუშაობის დასრულების შემდეგ მან ექსპედიციის წევრ **გეოლოგ მახარაძესთან** ერთად, სრულიად გამოუკვლევი გზით — ე. წ. „გველეშაპის კლდეებით“ გადაწყვიტა მყინვარწვერზე ასვლა. ამ ცდამ ახალი მარცხი გამოიწვია — 4 900 მეტრ სიმაღლეზე **შოთა მიქელაძე** მოწყდა და დაიღუპა.

**— ცნობილია, რომ 1930 წელს თეთნულდზე ასვლის შემდეგ და-ძმა ჯაფარიძეებმა უშბის მწვერვალსაც შეუტიეს...**

— დიახ, მაგრამ მაშინ უამინდობისა და საჭირო აღკაზმულობის უქონლობის გამო 4000 მეტრის სიმაღლიდან უკან დაბრუნდნენ. უშბაზე ასვლა განხორციელდა მხოლოდ 1934 წელს, მწვერვალზე ავიდნენ **ალექსანდრა, ალიოშა, იაგორ კაზალიკაშვილი და გიო ნიგურიანი.** ამ ასვლის გმირი გახდა **ალექსანდრა.** შუა გზაში, ერთ ადგილზე მათ წინაშე აღიმართა ვერტიკალური კედელი, გზა არ ჩანდა, ოთხი საათი უშედეგოდ იწვალეს, მაგრამ ვერ ავიდნენ, არადა, მწვერვალამდე 200 მეტრიღა რჩებოდა. ღამემ ისეთ ადგილზე მოუსწროთ, სადაც მხოლოდ ერთი ადამიანის გაჩერება თუ შეიძლებოდა. **ალექსანდრა** დარჩა, ხოლო სამს უკან დაბრუნება მოუწია.

**— ალექსანდრა სად დატოვეს?**

— **ალექსანდრა** დარჩა უშბასა და ღამეს შუა თოკით კლდეზე დაკიდებული. მეორე დღეს კი ყველა ერთად ავიდა მწვერვალზე. უშბის სამხრეთით მწვერვალზე, დიდი ქვებით აგებულ ნიშში, პირველად დარჩა ქართულ ენაზე დაწერილი პატარა ბარათი, ხოლო, როცა დაღამდა, ცეცხლი დაანთეს. ამ ცეცხლის საპასუხოდ სვანეთის სოფლებშიც კოცონების ალი ავარდა. ამ ამბის შესახებ **ალიოშა ჯაფარიძე** წერდა: *„ამ კოცონებზე იწვოდა უკანასკნელი ნაშთები სვანების ცრუმორწმუნოებისა უშბის წვერზე ადამიანის ასვლის შეუძლებლობის შესახებ“.*

ამ ასვლით ქართველმა მთამსვლელებმა საერთაშორისო კლასის დონეს მიაღწიეს და საფუძველი ჩაუყარეს ტექნიკურად რთული მწვერვალების ათვისებას. 1936 წელს თბილისში დაარსდა **ალპური კლუბი,** რომელიც პირველი იყო მთელ საბჭოთა კავშირში. ამავე წელს **ალიოშა ჯაფარიძემ, დავით წერეთელთან** ერთად, მონაწილეობა მიიღო პამირის ექსპედიციაში. კორჟენევსკაიას პიკზე ასასვლელი გზების ძიებისას, მას ტერფები მოეყინა და განგრენა რომ არ განვითარებულიყო, ორივე ფეხზე ყველა თითის ამპუტაცია გაუკეთეს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია **დავითისა და ალიოშას** თავგანწირვაც, როცა ზვავის ქვეშ მოყოლილი სამხედრო ბატალიონის ჯგუფის წევრების ამოყვანა შეძლეს. ისინი „პამირის გმირის“ საპატიო სიგელით დააჯილდოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ **ალიოშას** ფეხის თითები ამპუტირებული ჰქონდა, ერთი წუთითაც არ უფიქრია მთების მიტოვება. 1940 წელს განახორციელა კავკასიონის მწვერვალების ტრავერსი, რომელიც ალპინისტურ ლიტერატურაში „ცენტრალური კავკასიონის დიდი ტრავერსის“ სახელითაა ცნობილი და მსოფლიო მასშტაბის მიღწევად ითვლებოდა. ამ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: **ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, გაბრიელ და ბექნუ ხერგიანები, გოჯი ზურებიანი, ლევან სუჯაშვილი და ვახტანგ ქირიკაშვილი.**

1943 წელს **ალიოშამ** განახორციელა ზამთრის ასვლა უშბაზე, პირველმა შეისწავლა ხვამლის, ორხევის, ტვიშისა და ორპირის გამოქვაბულები, ასევე კაცხის სვეტი. იყო საქართველოს ალპური კლუბის თავმჯდომარე, ძალიან საინტერესო კაცი, მეგობრობდა ნიჭიერ ადამიანებთან, მათ შორის, დიდ მწერალ **ლევან გოთუასთან.**

**— მიამბეთ მათი მეგობრობის შესახებ...**

— მათი დამეგობრება 1937 წლიდან იწყება, როცა **ლევან გოთუა** მყინვარწვერის თოვლიან კალთაზე იმ მთამსვლელთა ჯგუფს შეხვდა, რომელთაც **ალიოშა ჯაფარიძე** ხელმძღვანელობდა. ალიოშაზე ამბობდა, მან პირველმა და ყველაზე ფართოდ აიტანა ქართული პარნასი კავკასიონზე, მის ზურგჩანთაში ასზე მეტი მწვერვალია,



ალიოშა ჯაფარიძე, გივი გაბლიანი, ანდრო ხეთაგური

## კვირგვინოსნები

**გურამ მეგრელიშვილი**
*მწერალი*



სკოლაში **„შუშანიკის წამებას“** რომ ვსწავლობდით, ერთ დღეს საკლასო თემა იყო, ნაწარმოების შინაარსი უნდა დაგვეწერა. დავიწყე წერა და **ახალი პერსონაჟები შემოვიყვანე — შუშანიკის მამა, ბიძა და ა.შ.** ვიფიქრე, ქალს რომ აწამებდნენ, მისი ახლობლები მასთან ჩავიდოდნენ, შინაარსს ავცდი. კლასში სასწავლო ნაწილი შემოვიდა და შეურაცხმყოფელი სიტყვები არ დაიშურა... ბოლოს თქვა — **გურამ მეგრელიშვილი რომელი ხართ, ფეხზე ადექითო!** ვიფიქრე, შეიძლება სხვებზე უკეთესად დავწერე-მეთქი და წამოვდექი. **შენ ყველაზე უნიჭო ხარ, გარდა იმისა, რომ წერა არ იცი, ჩვენს წმინდანს შეურაცხყოფა მიაყენე, როგორ გაბედე და შინაარსი გადააკეთეო...** მაშინ ძალიან დავითრგუნე, ამ დღის შემდეგ იმ პატარა ჩანახატების გაკეთებაზეც კი უარი ვთქვი, რომელსაც მანამდე ვაკეთებდი. **ახლა, თურმე, ის პედაგოგი ჩემზე ამბობს, ფეხზე მე დავაყენე, ჩემი გაზრდილია, ახლა წიგნებს რომ წერს, აქედან დაფრთიანდაო.**

„კვირის პალიტრა“

**თემურ ხაჯალაძე**
*მწერალი*



დღეს **განათლების ხარისხის კუთხით საგანგაშო, შემაშფოთებელი ვითარებაა.** ეს თუ არ გამოსწორდა, ქვეყანას არაფერი ეშველება. **სკოლებშიც და უნივერსიტეტებშიც** ზრდიან მომავალ თაობას, საზოგადოების წევრებს ისე, რომ **ქვევრივით რასაც ჩასძახებ, უკან იგივე ამოგძახონ.**

„საერთო გაზეთი“

# მემკვიდრე მოგვითხრობს

ჩვენს დიდებულ მწერლებსა და მოღვაწეებს უმაღლესი და უმარადიულესი ძეგლი დაუდგაო. გულისხმობდა ალიოშას მიერ დაპყრობილ მიუვალ მწვერვალებს, რომელთაც ქართველ მწერალთა და პოეტთა სახელები უწოდა. **ალიოშა ჯაფარიძე** დაიღუპა ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წლის შემოდგომაზე. ეს იყო ძალიან დიდი ტრაგედია.

**— რა მოხდა?**

— ალიოშა ჯაფარიძემ **ქელეშბი ონიანთან და ნიკოლოზ მუხინთან** ერთად დაიწყო უშბა-შხელდის ტრავერსი. როგორც კი მწვერვალს მიაღწიეს, თავს დაატყდათ ძლიერი ქარბუქი. ერთი კვირა უშბის სამხრეთ მწვერვალზე ჩარჩნენ, გაუთავდათ საკვები, წყალი და საწვავი. გამოდარებისთანავე დაიწყეს დაშვება გულის მყინვარისაკენ, მაგრამ სამშვიდობო ადგილამდე ჩასვლა ვეღარ მოასწრეს. კარავი კი გაშალეს, მაგრამ ზვავი წამოვიდა და ღამის სათევად შეფარებული ჯგუფი უშბის ნაპრალებში დამარხა. მათმა დაღუპვამ სრულიად შეძრა მთამსვლელთა სამყარო. ქართველებთან ერთად, საძიებო სამუშაოებში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი მთამსვლელებიც, მაგრამ მათი პოვნა ვერ მოხერხდა. ასე დაასრულა სიცოცხლე მთებში ჯაფარიძეთა ოჯახის ორმა ვაჟკაცმა, **ლევან გოთუა** კი წერდა, კავკასიონის მწვერვალები **ალექსანდრა ჯაფარიძის** ძმები არიანო.

ალიოშას დაღუპვის მერე ალექსანდრას მშვიდი ძილით არ უძინია, მისი ცხოვრების აზრად იქცა **ალიოშას** პოვნა. ყოველ ზაფხულს სვანეთში ადიოდა და უშბის მიდამოებში ეძებდა ძმას. გულის მყინვარმა მხოლოდ 12 წლის შემდეგ გამოირიყა **ალიოშა ჯაფარიძის** ნეშტი, რომელსაც სრულიად შემთხვევით წააწყდა მთამსვლელთა ჯგუფი **ავთანდილ ძიძიგურის** ხელმძღვანელობით. მისი ამოცნობა არ გასჭირვებიათ, რადგან ყველამ იცოდა, რომ ალიოშას ფეხის ათივე თითი მოკვეთილი ჰქონდა და სამთო ფეხსაცმელს ჩვეულებრივზე პატარა ზომისას ატარებდა. ასევე ნახეს მისი ჯაყვა და ფოტოაპარატი „ფედი“. ეს ამბავი იმ დღესვე აცნობეს სოფელ უშხვანარში მცხოვრებ, უშბის დიასახლისად წოდებულ **მაკრინე ქურდიანს** (რომლის სახლიდანაც გადიოდნენ უშბაზე მიმავალი მთამსვლელები). 1945 წლის სექტემბერში სწორედ მაკრინემ გააცილა უშბაზე **ალიოშა ჯაფარიძე.** მისი ძვლები სწორედ მაკრინემ და მთამსვლელებმა აკრიფეს და მაკრინესვე სახლში დაასვენეს. ამ ამბავზე **ლევან გოთუამ** დაწერა: *უშბამ პირველად დააბრუნა თავისი მსხვერპლიო.* სხვათაშორის, ალიოშას ყბის ძვალი დღემდე ჩვენს სახლში ინახება. მოგეხსენებათ, **ალიოშა, სიმონი და ალექსანდრა** ვერის ბაღში არიან დაკრძალულნი. ახლანდელი სარემონტო სამუშაოების გამო, თუკი დადგა მათი ნეშტების გადასვენების საკითხი, ამ ძვალს ალიოშას ნეშტთან ერთად დავკრძალავ.

**— ალიოშა ჯაფარიძის ნეშტის პოვნა როგორ შეიტყო თქვენმა ოჯახმა?**

— ეს იყო 1957 წლის ზაფხული, მამაპაპისეულ სოფელში — ხრეითში ვისვენებდით, შუადღისას ჩვენს ეზოს თვითმფრინავმა (მაშინ „კუკურუზნიკები“ დაფრინავდა) ძალიან დაბლა გადაუფრინა, სოფლის ბოლოს წრე შემოხაზა და ისევ უკან, ჩვენი ეზოსკენ დაბრუნდა. ასეთი რამ იქამდე არ მომხდარა. ძალიან შევშფოთდით. მოგროვდნენ მეზობლებიც. ბოლოს სოფლის საბჭოს მუშაკი, ჩვენი მეზობელი მოვიდა და თბილისიდან გამოგზავნილი დეპეშა დედაჩემს გადასცა. **ალექსანდრა** გვაცნობებდა, ალიოშა ვიპოვეთ, ბავშვები წამოიყვანეთ და ჩამოდითო. ალიოშა დაიკრძალა ვერის ბაღში, სადაც მისივე სახელობის ალპური კლუბის შენობა იდგა. ეს იყო იმ დროს ამ კლუბის თავმჯდომარის **ნიკო კეცხოველის** ინიციატივა. 1963 წელს ქართული და საბჭოთა ალპინიზმის 40 წლისთავთან დაკავშირებით, მთავრობამ უფლება მოგვცა, აქვე გადმოგვესვენებინა **სიმონი** და ძმის — **ალიოშას** გვერდით დაგვეკრძალა. სიმონის საფლავის გახსნას მხოლოდ ოჯახის წევრები ვესწრებოდით, რატომღაც ამ ამბის გახმაურების უფლება არ მოგვცეს. **ალექსანდრა** ძმების დარდს გადაჰყვა, მათი საფლავების კეთილმოწყობას ვერ მიაღწია, სამჯერ გამოიყო სოლიდური თანხა, მაგრამ სად დაიკარგა, არავინ იცის. საფლავის ქვაზე წარწერა მხოლოდ 1996 წელს მოხერხდა: **„აქ განისვენებენ ქართული ალპინიზმის ფუძემდებლები, და-ძმა ალექსანდრა, სიმონ და ალიოშა ჯაფარიძეები“.**

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

***გაგრძელება იქნება***

## „ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეებს შურისძიება სწყუროდათ, უნდოდათ ძმის დაღუპვის ადგილის ნახვა...“


სიმონ ჯაფარიძე


და-ძმა ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები


ალექსანდრა ჯაფარიძე – პირველი ქართველი ალპინისტი ქალი

## კვირგვინოსნები

**ხვიჩა კვარაცხელია**
*ფეხბურთელი*



კლუბ **„ნაპოლში“** მოვედი, **როგორც პატარა ბიჭი,** რომელსაც ბევრი არ იცნობდა. ახლა კი აქაურობას ვტოვებ, **როგორც კაცი,** რომელსაც თან მიაქვს **უამრავი ადამიანის სიყვარული, ბევრი გამარჯვება** და, რაც ყველაზე მთავარია, **ის ნანატრი ჩემპიონობა,** რომლის სურვილითაც ეს ქალაქი ბევრი წლის განმავლობაში ცხოვრობდა.

„TV იმედი“

**ამირან შალიკაშვილი**
*პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი*



**არავინ არ შეგარჩენთ გინებას ოჯახის წევრისა თუ სხვა ძვირფასი ადამიანის!** ადამიანი ზის უცხო ქვეყანაში, სადილობს და ვიღაც გაუნათლებელი მიდის და აგინებს. **მაგას უნდა გაუერთიანო თავყბა და მერე დაჯდება წყნარად!** ეს ძალადობა არაა, რადგან არავინ მოითმენს ასეთ გინებას! **ნაცები, მკვლელები რომ დასეირნობთ და არავინ არაფერს გეუბნებათ, ეგ როგორ არის?!** მე ჩემი ოჯახით, ჩემი შვილებით საქართველოს ყველა კუთხეში გავივლი და **არავის აქვს უფლება, ჩემს ოჯახს შეეხოს** და თუ შეეხება, **ილია თოფურიას** მუშტი მონაგონი იქნება!

„ახალი თაობა“

**ვალერიან გორგილაძე**
*სოციოლოგი*



**მშობლებს უთხარით, რომ ისინი არიან მოღალატეები და ყიდიან თქვენს მომავალსო!** — ამას პირდაპირ ეუბნებიან პოლიტიკოსები ახალგაზრდებს. გვახსოვს **ვაშაძის** მოწოდება. **ეს არის პოლიტიკური ორგანიზაციებისა და დამკვეთების მიერ შექმნილი პროექტი,** რაც მიმართულია აღქმების შექმნაზე და, მათ შორის, იგულისხმება **აღქმის შექმნა, რომ ეს უმცირესობა არის უმრავლესობა.**

„თბილისელები“

**თამაზ ელიზბარაშვილი**
*ბიზნესმენი*



ადამიანებს ვენდობი, მაგრამ **თუ დავინახე, რომ ჩემს ნდობას ღალატობს, ჩემგან პატივებას ვერ მიიღებს,** ის უნდა მოვიშორო, როგორც კეთროვანი, რამდენად ახლობელიც არ უნდა იყოს.

„თბილისელები“

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

*დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2025 წლის №1–2, 3*

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი აცხადებს, რომ მეტალურგიის, ფარმაკოლოგიისა და მედიცინის სამშობლო, რა თქმა უნდა, საქართველო, კავკასია და მისი შემოგარენია, ხოლო სოფელ ნახიდურთან აღმოჩენილი არახლოს განძი მტკვარ-არაქსისა და შუმერული კულტურის საერთო წინაპარია! უფრო მეტიც, ბიბლია, კერძოდ, „დაბადება“ მოგვითხრობს, რომ მდინარე ფისონის, ანუ ფაზისის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა იყო ოქროს მეტალურგიის აკვანი. ბერძნული მითოლოგიითაც, ევროპულ სამყაროში ოქროს ერთადერთი და მთავარი ექსპორტიორები სწორედ კოლხები იყვნენ:***





## სვიმონ მასხარაშვილი:

**კომუნისტების პერიოდში თავს მოგვახვიეს სიცრუე, თითქოს არგონავტების ამბავი ძველი წელთაღრიცხვის მე–13 საუკუნის ამბებს მოგვითხრობდა, მაგრამ, რეალურად,**

# არგონავტების მითი ტროას ომის ამბებს 500 წლით მაინც უსწრებს!

— მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში ცეცხლის მართვის საიდუმლოს ამოხსნა ყველაზე მთავარი გზაგამყოფია. პირადად ჩემი აზრით, მსოფლიოს ისტორია და პრეისტორია ერთმანეთისგან სწორედ ადამიანის მიერ ცეცხლის მართვის საიდუმლოს ამოხსნით ემიჯნება. სიმბოლურია, რომ ხურიტული თუ ბერძნული მითოლოგია ცეცხლის მართვის საიდუმლოს ამომხსნელად მიიჩნევს კავკასიაზე მიჯაჭვულ **ამირანს,** იმავე არამ-ხუტუს, ანუ იმავე პრომეთეს. ასე რომ, დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში, გავრცელებული მამაკაცის სახელი **ხუტა** ამირან-პრომეთეს ხურიტული ვარიანტიდან მომდინარეობს. **ხუტა** იგივე **ამირანია!**

**— ბატონო სვიმონ, ერთია ცეცხლის გამოყენება და მეორე — მისი მართვა!**

— რა თქმა უნდა, ესენი ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ! არქეოლოგიური გათხრების თანახმად, ბუნებრივად გაჩენილ ცეცხლს ადამიანი უხსოვარი დროიდან იყენებდა და თბებოდა, მაგრამ მას არ შეეძლო მისი მართვა. კერძოდ, ადამიანი ვერ ახერხებდა ცეცხლის გამოყენებით ტემპერატურის ხელოვნურად ცვლილებას, რადგან მას არ ჰქონდა კერია და საღვერდელი, ანუ ქურა. ადამიანი ვერც ცეცხლის შენახვას და გაჩაღებას ახერხებდა, რადგან სათანადო აღჭურვილობა არ გააჩნდა. ეს ყველაფერი, რაც ცეცხლის მართვისთვის არის აუცილებელი, საბოლოოდ ადამიანმა გამყინვარების დასრულების შემდეგ, დაახლოებით 15-12 ათასი წლის წინათ, შექმნა. ვინმე მითიურმა **ამირანმა** თუ **ხუტუმ** გამოიგონა კვეს-აბედი, კერია და საღვერდელი (ქურა). ეს იყო უძველესი ღვთაებრივი სიბრძნის მატარებელი ადამიანი. ამის დასტურია აღმოსავლური ტერმინი **ქურუმი,** რომელიც სწორედ **ქურა**-დან მომდინარეობს და, რაც მთავარია, უძველესი ქართული სიტყვა **მღვდელი. მღვდელი** არის ის კაცი, რომელიც ცეცხლის გაღვივების საიდუმლოს ფლობს. სწორედ ფუძე-სიტყვა **ღვივ**-იდან მომდინარეობს **საღვერდელიც** და **მღვდელიც.** სწორედ ცეცხლის გამღვივებლობამ მისცა საშუალება კაცობრიობას, რომ გამოეცხო პური, შეეწვა და არა დაეწვა საჭმელი, აედუღებინა და არა აეორთქლებინა სითხე, დაემზადებინა წამლები, გადაედნო ლითონი და მიეცა მისთვის სასურველი ფორმები, ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ემართა ქიმიური პროცესი, რაც გადამწყვეტია ფარმაკოლოგიასა და მეტალურგიაში.

სიმბოლურია, რომ მედიცინის სახელი სწორედ უძველეს

**— მეტალურგიის, ფარმაკოლოგიისა და მედიცინის უძველესი არტეფაქტები სად გვხვდება?**

— მეტალურგიის, ფარმაკოლოგიისა და მედიცინის სამშობლო, რა თქმა უნდა, საქართველო, კავკასია და მისი შემოგარენია! მსოფლიოში ბრინჯაოს მეტალურგიის აკვანი მტკვარ-არაქსის კულტურაა, რომლის უახლოესი ნათესავიცაა უძველესი შუამდინარული კულტურა. მტკვარ-არაქსის ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურა სათავეს იღებს ძველი წელთაღრიცხვის მე-4 ათასწლეულიდან, რაც შუმერული ცივილიზაციის საწყის ეპოქას ემთხვევა. მოგეხსენებათ, ბრინჯაო ხელოვნური მეტალია და მისი უცვლელი კომპონენტია სპილენძი. სხვათაშორის, ენეოლითის, ანუ სპილენძ-ქვის ხანის კულტურათა შორის ყველაზე მაღალგანვითარებულად სწორედ კავკასიისა და ჩრდილოეთ შუამდინარეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამ პერიოდის, ანუ ძველი წელთაღრიცხვის მე-7 და მე-6 ათასწლეულების განძებია მიჩნეული. მათ შორის უძველესად აღიარებულია სოფელ ნახიდურთან აღმოჩენილი არახლოს განძი. როგორც სპეციალისტების ერთი ნაწილი ვარაუდობს, არახლოს განძი მტკვარ-არაქსისა და შუმერული კულტურის საერთო წინაპარია. მასთან ერთად აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, სპილენძის საბადოების ადგილსამყოფელი, როგორც წესი, ემთხვევა ოქროს საბადოების ადგილსამყოფელს. როგორც ბიბლია, კერძოდ, **დაბადება** მოგვითხრობს, მდინარე ფისონის, ანუ ფაზისის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა იყო ოქროს მეტალურგიის აკვანი. ბერძნული მითოლოგიითაც, ევროპულ სამყაროში ოქროს ერთადერთი და მთავარი ექსპორტიორები კოლხები იყვნენ.

ძველ ბერძნულ წყაროებში თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ასეთი ტექსტი — **„ოქრომრავალი კოლხეთი“.** ამას ყველაფერთან ერთად ლინგვისტიკა, ანუ ენათმეცნიერებაც ადასტურებს. თითქმის ყველა ევროპულ ენაში ტერმინი **ორო** და სხვა, სწორედ ამ უძვირფასესი მეტალის ქართული სახელწოდებიდან — **ოქროდან** მოდის! იგივე ითქმის ბრინჯაოზეც... კერძოდ, **ბრინჯაოდან** და **რვალიდან** მომდინარეობს ევროპული **ბრონზე** და **ბრონცა...** სპილენძი დედამიწაზე ძნელად მოსაპოვებელი, იშვიათი ლითონია. შესაბამისად, ბრინჯაოს კულტურა და მეტალურგიაც იშვიათობაა და ძალზე ნელა და რთულად ვრცელდებოდა. მაგალითად, ბრინჯაოს მეტალურგია, მტკვარ-არაქსის კულტურის სახით, საქართველოს ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის მე-4 ათასწლეულის მე-2 ნახევარში უკვე გვხვდება და აქედან თითქმის მეყსეულად ვრცელდება შუამდინარეთში.

წარმოშობიდან მხოლოდ და მხოლოდ 500 წლის შემდეგ ჩააღწევს ბრინჯაოს იარაღის დამზადების საიდუმლო ძველ ეგვიპტეში. სავარაუდოდ, ეს უნდა მომხდარიყო მითიური მენესის ეპოქაში. მტკვარ-არაქსის კულტურიდან მენესის ეპოქამდე ეგვიპტეში ბრინჯაოს კულტურის გამტარის ფუნქცია უნდა ეკისრა ე.წ. გერზეს კულტურის მატარებელ ხალხს. ანთროპოლოგიური კვლევით დასტურდება, რომ **გერზეს კულტურის** შემქმნელი ხალხი ყველაზე ახლოს კავკასიელებთან დგას.

**— მაშინ გამოდის, რომ ჰეროდოტეს ცნობა ეგვიპტელებისა და კოლხების საერთო წარმომავლობის შესახებ საფუძველს მოკლებული არ არის?**

— **ჰეროდოტეს** ცნობები მრავალ სიმართლეს შეიცავს, უბრალოდ, სწორი ანალიზია საჭირო. კერძოდ, ჰეროდოტე წერს, რომ მისთვის ცნობილ ერთა შორის უძველესნი ეგვიპტელები არიან, ანუ გაცილებით ძველნი, ვიდრე ასურელები, ფინიკიელები ან ბერძნები. ამასთან, ჰეროდოტე წერს, რომ **კოლხები ეგვიპტის ელიტური ნაწილის, კერძოდ, ფარაონ სესოსტრისის რჩეულ მებრძოლთა შთამომავალნი უნდა იყვნენო!** ჩვენ ვიცით, რომ ეგვიპტის საზოგადოება ყოველთვის გამიჯნული იყო ელიტურ და მდაბიო ნაწილებად და მათ შორის სხვაობა უდიდესი გახლდათ. **ჰეროდოტე** კოლხებს სწორედ ეგვიპტის ელიტას უკავშირებს... მას, როგორც მეცნიერს, ცალსახად თვალში ხვდება ძირძველ ქართველ კოლხთა და ეგვიპტის უძველეს ელიტას შორის ერთობის ნიშნები, მაგრამ ჰეროდოტე ცდება, როცა ფიქრობს, რომ ეგვიპტელების მიგრაცია თუ ლაშქრობა აფრიკიდან კავკასიაში განხორციელდა. დღეს ეგვიპტური წყაროები გაშიფრულია და დოკუმენტურად არის დადასტურებული, რომ ეგვიპტელები თანამედროვე სირიას არასოდეს გასცილებიან. პარალელურად ეგვიპტეში ყოველთვის ხდებოდა მიგრაციები ჩრდილო-აღმოსავლეთიდან — **„გერზეს კულტურის“** ხალხის მოსვლა, ჰიქსოსების შემოსევა

ქართველ ქალთან, კოლხ მედეასთან არის დაკავშირებული. დღემდე ბერძნები ფოლადს **ხალიფს** უწოდებენ, რაც უძველესი ქართველი მეტალურგების — **ხალიბების** სახელიდან მომდინარეობს! კიდევ ერთხელ ვიმეორებთ:

**პირველად პური ე.წ. მუცლიან გორაზე ჩვენი გენეტიკის მატარებელმა ადამიანებმა გამოაცხვეს და ეს პური სწორედ იმ ხორბლიდან იყო დამზადებული, რომლისგანაც დღეს მსოფლიოში არსებული ხორბლის ყველა ჯიში მომდინარეობს.**



ძველი წელთაღრიცხვის მე-18 საუკუნეში, **„ზღვის ხალხების“** შემოსევა ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნეში, ქალდეველების, ირანელებისა და ბერძნების მოსვლა... ანუ ჰეროდოტე ცდება, როცა ჰგონია, რომ ექსპანსია კავკასიაში ეგვიპტიდან განხორციელდა, მაგრამ მართალია, როცა ფიქრობს, რომ ძველი კოლხები და ეგვიპტის ელიტა ერთი და იგივე ხალხი იყო!

**— ბრინჯაოს კულტურის მარშრუტი ეგვიპტიდან საითკენ გაგრძელდა?**

— ეგვიპტეში ეს კულტურა დიდხანს გაჩერდა, მაგრამ ეგვიპტის პარალელურად კავკასიიდან და შუამდინარეთიდან ბრინჯაოს კულტურამ გადაინაცვლა აღმოსავლეთით და სადღაც ძველი წელთაღრიცხვის მე-3 ათასწლეულში ინდოეთის ნახევარკუნძულის გათხრების მონაცემებით, ტროას ომი **„ზღვის ხალხების“** შემოსევად წოდებული გლობალური პროცესის ერთ-ერთი ნაწილია, რომელიც ისევე, როგორც **მოსეს** მიერ ებრაელების ეგვიპტელთა ტყვეობიდან დახსნა, ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა, ხოლო **„არგონავტიკა“** მოგვითხრობს პირველი ინდოევროპელების — აქაელების, ფალაელებისა და სხვების მცირე აზიისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილის პირველი ექსპანსიის შესახებ, რომლის დროსაც ქვის ხანაში მყოფი, ველური ინდოევროპელები პირველად ეზიარნენ ბრინჯაოს კულტურას და ეს ამბავი მოხდა ძველი წელთაღრიცხვის მე-18 საუკუნეში.

„არგონავტიკის“ ერთ-ერთი



**„სამეგრელოში გავრცელებული მამაკაცის სახელი ხუტა ამირან-პრომეთეს ხურიტული ვარიანტიდან მომდინარეობს. ხუტა იგივე ამირანია!“**

ძულზე დამკვიდრდა. ამის შემდეგ ბრინჯაოს კულტურის ექსპანსიის ტემპი ცოტათი შეყოვნდა და ძველი წელთაღრიცხვის მე-19-მე-18 საუკუნეებში მცირე აზიასა და კავკასიაში აქაელებისა და ახალ ხეთებად წოდებული ინდოევროპული ტომების მიგრაციის შედეგად ევროპაში დაიწყო გავრცელება. როგორც ჩანს, სწორედ ეს ამბავია აღწერილი ბერძნულ მითში არგონავტების შესახებ.

მითი არგონავტების შესახებ უძველესი, წინარებერძნული მითია და მისი პერსონაჟები რამდენიმე საუკუნით უფრო ძველნი არიან **ჰომეროსის** „ილიადას“ გმირებთან შედარებით. კომუნისტების პერიოდში თავს მოგვახვიეს სიცრუე, თითქოს არგონავტების ამბავი ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნის ამბებს მოგვითხრობდა, მაგრამ, რეალურად, ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნის ამბავს **ჰომეროსის** „ილიადა“ მოგვითხრობს, რომლის გმირებიც არიან აქილევსი, ოდისევსი, ელენე, პრიამოსი, ენიასი, პარისი, აგამემნონი, ჰექტორი და სხვ. არგონავტების მითი ტროას ომის ამბებს 500 წლით მაინც უსწრებს და ძველი წელთაღრიცხვის მე-18 საუკუნით უნდა დათარიღდეს!

**— ამას რით ადასტურებთ?**

— იასონსა და მედეას რომ თავი გავანებოთ, **„არგონავტიკის“** პერსონაჟები — ორფეოსი, ჰერაკლე, აიეტი, აიეტის და — პასიფაე და მის ქმარი — კრეტის მეფე მინოსი, აგამემნონამდე, ანუ ტროას ომის ერთ-ერთი გმირის დაბადებამდე, მრავალი საუკუნით ადრე არიან გარდაცვლილნი. ეს კარგად ჩანს **ჰომეროსიდანაც, ჰესიოდედანაც** და ნებისმიერი სხვა ბერძნული მითიდანაც... როგორც **ჰეროდოტეს,** ისე **სტრაბონის** და სხვა ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა, გეოგრაფთა თუ მწერალთა აღწერით და არქეოლოგიური გვიანდელი ავტორი, ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში მოღვაწე **აპოლონიოს როდოსელი** კარგად ამბობს — **ოქროს საწმისი** ეს იყო უძველესი კოლხური კირბებით დაწერილი მოოქროვილი, ცხვრის ტყავით შემკული წიგნი მეტალურგიისა და მედიცინის საიდუმლო ცოდნის შესახებ, რომელსაც მედეასთან ქორწინების გზით დაეუფლნენ იასონი და მისი ინდოევროპელები! სხვათაშორის, **აპოლონიოს როდოსელი** იქვე ერთ საინტერესო რამესაც ამბობს — დღესაც კოლხეთში აიეტის შთამომავალნი მეფობენ! ამით ის ადასტურებს, რომ **ალექსანდრე მაკედონელის** შემდგომდროინდელი კოლხებიც იგივე ხალხი იყო, ვინც ამ მიწას თვით ზევსის დაბადებამდე ფლობდა. რაც შეეხება ბრინჯაოს კულტურის აღმოსავლეთით ექსპანსიას, ძველი წელთაღრიცხვის მე-2 ათასწლეულში მან გაიარა ჩინეთი და მხოლოდ და მხოლოდ **აპოლონიოს როდოსელის** პერიოდში, ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში, როდესაც თვით **ფარნავაზიც** კი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო, რკინის მეტალურგიასთან ერთად ძლივს შეაღწია ჯერ კიდევ ქვის ხანაში მყოფ იაპონიაში!

**— ჰეროდოტეს ეპოქაში, ანუ დაახლოებით 2500 წლის წინათ, დღევანდელი რუსეთის ტერიტორიაზე რა ხდებოდა?**

— **ჰეროდოტე** ამტკიცებს, რომ დღევანდელი რუსეთის ტერიტორიაზე, ანუ მდინარე დონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მხოლოდ და მხოლოდ ანდროფაგები, ანუ კაციჭამიები ცხოვრობდნენ!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



***2021 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ომის 900 წლისთავს საქართველო და მთელი მსოფლიო კოვიდპანდემიის მიერ ჩაკეტილი, იზოლირებული და შეშინებული შეხვდა... 2025 წლის 24 იანვარს, ანუ დავით აღმაშენებლის გარდაცვალების 900 წლისთავსაც ერთგვარი შიშითა და გაურკვევლობით ხვდება საქართველო, რადგან დიდ პოლიტიკაში თამაშის წესები იცვლება და ღმერთმა უწყის, ვის ბანაკში და ვისი დროშის მებაირახტრედ გაგვამწესებს ისტორიის ქარბორია!***

# მეფეთ მეფე დავით აღმაშენებლის გარდაცვალებიდან 900 წელი გავიდა!

რა მოხდა და მაინც რამ გამოიწვია 52 წლის სიცოცხლითა და ჯან-ღონით სავსე დიდი ხელმწიფის გარდაცვალება, წყაროები ამის შესახებ არაფერს გვეუბნებიან. მხოლოდ ვარაუდი არსებობს იმისა, რომ თავდაუზოგავმა ბრძოლამ და შრომამ მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი და გამორჩეული ხელმწიფის ორგანიზმი საბოლოოდ გამოფიტა და გადაღალა.

თუმცა, დავით აღმაშენებლის სიკვდილის გამომწვევი მიზეზების შესახებ არსებობს სხვა მოსაზრებებიც... მიიჩნევენ, რომ შესაძლოა, იგი იმ ტრავმას ემსხვერპლა, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ გელათის ტაძრის მშენებლობისას მიიღო, რომელიც 1106 წელს დაასრულა... 1452 წლით დათარიღებულ **ავშანდაძეების სასისხლო სიგელში** დავითი პირველად არის მოხსენიებული როგორც **აღმაშენებელი** და წერია — **„როდეს აღმაშენებელი გელათს აშენებდა“, მაშინ დაიმტვრა და ავშანდაძეებმა უმკურნალესო!**

ზოგიერთი ქართველი მეცნიერი მიიჩნევს, რომ წყაროში მოხსენიებული **ავშანდაძე** იმერეთში და, განსაკუთრებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტ **სოფელ ტაბაკინში** გავრცელებული გვარი **აბჟანდაძე** უნდა იყოს. მოკლედ, **ავშანდაძე-აბჟანდაძეებმა დავით აღმაშენებელს** უმკურნალეს და ფეხზე დააყენეს. მეფე ირმის რძით გაჟღენთილ საფენებში ჰყოლიათ გახვეული.

ვარაუდობენ იმასაც, თითქოს დავითის ანდერძი მაშინ დაიწერა, როცა მეფე უკვე ლოგინად იყო ჩავარდნილი, თუმცა, **აღმაშენებლის სახელობის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი,** რომელსაც მეფეთ მეფის შესახებ ყველაზე ფუნდამენტური გამოკვლევა ეკუთვნის, ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ მეფეების მიერ ანდერძის დაწერის წესი მაშინ გავრცელებული პრაქტიკა იყო და, დიდი ალბათობით, დავითის ორივე ანდერძი უდიდესი ხელმწიფის ავადმყოფობას, ანუ სიკვდილის მოახლოებას საერთოდ არ უკავშირდება!

**დავით აღმაშენებელი** ის პოლიტიკოსი იყო, რომელიც დღევანდელი უღირსი და მუცელზე მფორთხავი ქართველი პოლიტმეძავებისგან განსხვავებით, საერთაშორისო პოლიტიკაში არა პატრონსა და მფარველს, არამედ თანასწორ მოკავშირესა და მეგობარს ეძებდა!

**იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“** დაცულია უაღრესად საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ **დავით აღმაშენებელი** და იერუსალიმის მეფე **ედესის** ყოფილი გრაფი **ბალდუინ მეორე** (1118-1131 წ.წ.) საიდუმლო ვითარებაში ერთმანეთს არაერთხელ შეხვდნენ. დიდი ალბათობით, ერთ-ერთი ასეთი შეხვდრა 1119 წელს გეგუთის სასახლეში უნდა გამართულიყო, სადაც **დავით აღმაშენებელმა** ევროპელ მონარქს გაფუჭებული და ხელიდან წასული **სალომე ზურაბიშვილის** თუ სხვა **ჟოპოზიციონერების** მსგავსად, საქართველოსთვის ძირის გამოთხრაზე ღვთის სახლში ანაფორაში გადაცმული სოდომისტები დაძრწოდნენ და გარშემო ყველაფერს რყვნიდნენ. **თურქ-სელჩუკების ხელში იყო სამშვილდე, რუსთავი, ლორე, თბილისი, აგარანი...**

**მოღალატე ლიპარიტ მეხუთე ბაღვაში, რომელიც 1096 წელს დავითმა საბო-**



# ეს ყველაფერი ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს საქართველოს დღევანდელ მმართველთათვის!

კი არ დაუწყო ლაპარაკი, არამედ მომავალი დიდი ომის სვებედზე ესაუბრა, რომელსაც საქართველოსა და თურქ-სელჩუკებს შორის გამარჯვებული უნდა გამოევლინა.

**დავითმა ქართველი კაცი ისე აღზარდა, გაწვრთნა და სადიდგორო გამარჯვებისთვის მოამზადა, როგორც მამამ შვილი... მემატიანე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 1089 წელს დავითის ხელისუფლებაში მოსვლით, „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან...“**

მართლაც, დღევანდელი საქართველოს მსგავსად, დავითამდელი საქართველო ზნეობრივად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად მიწასთან გასწორებული და გაცამტვერებული ქვეყანა იყო. ცენტრალური ხელისუფლება კახეთს ჯერ კიდევ **გიორგი პირველის** დროიდან მოყოლებული ვერ აკონტროლებდა; უმძიმესი ვითარება იყო შექმნილი საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში, სადაც საეკლესიო თანამდებობები პირდაპირ იყიდებოდა. არცთუ იშვიათი იყო შემთხვევები, როცა

**ლოოდ გააძევა საქართველოდან, დღევანდელი კოლექტიური ნაცმოძრაობის მსგავსად, თურქთა სულთან მალიქ-შაჰის აგენტი იყო და საქართველოს მტრების მიერ ფინანსდებოდა!**

იგივე ითქმის **ძაგან და მოდესტოს აბულეთისძეთა** შესახებაც, რომლებიც დავით აღმაშენებელმა პირდაპირ ალაგმა და მათი მიწა-წყალი სამეფო დომენად გამოაცხადა!

**დავითმა გვიჩვენა** საქართველოს გაბრწყინებისა და გადარჩენის გზა — **სანამ ეკლესია მამათმავლებისა და უღირსი მღვდელმსახურებისგან არ გაიწმინდება, სანამ მოღალატეები არ აილაგმებიან და მათ მიერ კონტროლირებადი სივრცეები ცენტრალურ ხელისუფლებას არ დაექვემდებარება, საქართველოს საშველი არ იქნება!**

**დავითმა დაგვანახა,** რომ პირადი თავგანწირვის გარეშე ქვეყნის პირველი პირი სახელმწიფოს ვერ ააშენებს. **დემეტრე უფლისწული** მამას ბრძოლაში ყველგან თან ახლდა... ვიდრე ქართველ პოლიტიკოსთა შვილები ქართულ ჯარში არ წავლენ და ჯარისკაცის ყაზარმას მაკაოსა და სეიშელის პლაჟებზე კოტრიალზე წინ არ დააყენებენ, საქართველო ვერც ქმედით სამხედრო ძალას შექმნის და ვერც ტერიტორიებს დაიბრუნებს!**

დავითმა ქართველებს გულმოწყალებაც გვასწავლა და სისასტიკეც... მაგალითად, **ლიპარიტ მეხუთე ბაღვაში** მან პირველად შეიპყრო და ფიცით გაათავისუფლა, რადგან ეგონა, რომ გამოსწორდებოდა და ჭკუაზე მოვიდოდა, მაგრამ **ივანე მეორე ბაღვაშის ვაჟი** მაინც ღალატის გზას დაადგა და მეფეც იძულებული გახდა, მოღალატე მეორეჯერ შეეპყრო. სამაგიეროდ 1022 წლის თებერვალში **დავითმა** არნახული სისასტიკე გამოიჩინა თბილისის აღებისას, როცა ხუთასი თბილისელი დაიჭირა და წვეტიან სარებზე ჩამოაცვა!

**ეს „თბილისელები“ სინამდვილეში არაქართველები, ძირითადად სომხები და არაბები იყვნენ, რომლებმაც მეფეს სისხლი გაუშრეს და ქალაქი ცოცხალი თავით არ დაანებეს!**

ეს ყველაფერი ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს საქართველოს დღევანდელ მმართველთათვის! ცხადია, ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ **სალომე ზურაბიშვილი, თინა ბოკუჩავა, მამუკა ხაზარაძე, ჭუჭუ ვაშაძე, ლანა გალდავა, პაატა მანჯგალაძე, ელტონ ჟუონია-აკოფოვი, სოფო ჟუონია-აკოფოვი, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, გიორგი უშიკიშვილი** თუ სხვა პოლიტიკანები, სექტანტები ან გეი-აგენტები ხელისუფლებამ დაამწკრივოს და უკანალით სარებზე ჩამოაცვას, მაგრამ ღალატისა და ჯაშუშობისათვის პასუხი ყველამ უნდა აგოს!

**დავითის** თანამედროვენი კარგად ხვდებოდნენ, თუ რა მასშტაბის მოვლენასთან ჰქონდათ საქმე მისი სახით. ამიტომაც იყენებს **დავით აღმაშენებლის** ისტორიკოსი ხელმწიფის პიროვნების შესაფასებლად ასეთ ეპითეტს — **„დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა“...**

დაბოლოს, ამ ყველაფრის მისაღწევად და დიდი საქართველოს შესაქმნელად **დავით აღმაშენებელს** სჭირდებოდა პოლიტიკური იღბალიც, რომელმაც მას არ უმტყუნა!

პოლიტიკური იღბალი იყო ის, რომ პაპ **ურბან მეორის** მოწოდების შედეგად, 1095 წელს ევროპაში ჯვაროსნული ლაშქრობისთვის მზადება დაიწყო და 1099 წლის 15 ივლისს ჯვაროსნებმა თურქ-სელჩუკებს იერუსალიმი წაართვეს, რითაც **დავით აღმაშენებელმა** ბრწყინვალედ ისარგებლა და საქართველოდან და მისი სანახებიდან თურქების ალაგმვა დაიწყო!

იღბალმა **დავითს** მაშინაც არ უმტყუნა, როცა ჯაჭვ-მუზარადის გარეშე, პერანგისამარა მყოფ ახალგაზრდა ხელმწიფეს ქართლში ერთ-ერთი ციხის ალყის დროს ვიღაცამ შორიდან დიდი საბრძოლო ისარი — ქეიბური ესროლა. **რომ არა მთავარანგელოზის ხატი, რომელიც გულზე ეკიდა, დავითი უსათუოდ მოკვდებოდა. ისარი სწორედ ხატს დაეძგერა... ხატი შუაზე გაიპო, მაგრამ ჭაბუკი მეფე გადარჩა.**

მაშინ **დავით აღმაშენებელიც** და დიდი და ძლიერი საქართველოც სწორედ იღბალმა და შემთხვევითობამ გადაარჩინა!

მკრეხელობაში თუ არ ჩამოგვართმევენ, აქვე იმასაც გავიხსენებთ, რომ დიდი გერმანელი მწერალი **ლიონ ფოიხტვანგერი** ერთგან ასეთ რამეს ამბობს — **„ღმერთი არის ყველა შემთხვევითობათა ჯამი!“**

**იღბალი და შემთხვევითობა ხშირად სწორედ იმ ძლიერის მხარეზეა, რომელსაც ღმერთი მფარველობს!**

***დიტო ჩუბინიძე***



# მიხეილ ცაგარელი:

# რეტროგრადული პლანეტა მარსი და მისი ზემოქმედება

***— პლანეტა მარსის რეტროგრადული ფაზის დროს რისი დაწყება, გახსნა ან საკუთარ თავზე აღება არ არის რეკომენდებული? ამ პერიოდში რისი წამოწყება რჩება, უმეტესწილად, წაგებული? ზოგადად, რეტროგრადულ პლანეტათა იმპულსები საით არის მიმართული? ამ დროს რისგან უნდა განთავისუფლდეთ ანდა რისთვის არის იდეალური პერიოდი და რა არის აუცილებელი? იანვარში ცის კაბადონზე, რეტროგრადული მარსის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, წინა პლანზე რომელი საკითხები წამოიწევს? ვერძის ნიშნით დაბადებულს, ზოგადად, რეტროგრადული მარსის დროს რა მოეთხოვება, რა უნდა გააკონტროლოს, რათა შემდგომში სასიკეთო შესაძლებლობები არ დაკარგოს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— განვაგრძოთ საუბარი პლანეტა მარსის ზემოქმედების თავისებურებების შესახებ მისი რეტროგრადული მოძრაობის პერიოდში.**

— **არსებობს მთელი რიგი საქმიანობებისა, რომელსაც, სასურველია, რეტროგრადული მარსის დროს თავი ავარიდოთ. უპირველეს ყოვლისა, ამ დროს არ არის რეკომენდებული ახალი საქმის დაწყება, ხანგრძლივ პერიოდს გათვლილი საწარმოს გახსნა-ამუშავება და, აგრეთვე, ყველა იმ საქმიანობის დაწყება, რომელიც აქტიურ ქმედებებს ითხოვს. ასევე არ ვარგა ვალის, კრედიტის, დამატებითი ვალდებულება-მოვალეობების აღება და საკუთარ თავზე დაკისრება.** გარდა ამისა, ეს პერიოდი არ არის ხელსაყრელი სასამართლო პროცესების დასაწყებად. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ დროს დაწყებული ბრძოლის, კონფლიქტის, დაპირისპირების, ომის (მაგ., სახელმწიფოებს შორის) წამომწყები უმეტესწილად წაგებული დარჩება. ამავდროულად, კარგი იქნება, თუ გამოძებნით რაიმე ხერხსა და საშუალებას საკუთარი ნეგატივისგან გასათავისუფლებლად. შესაძლოა, ეს იყოს ლოცვით, მედიტაციით, ვარჯიშით (იოგა), ყოფიერი საქმიანობით, დალაგება-დასუფთავებით, წყლის პროცედურებით. ამასთან ერთად, **შეეცადეთ, დღეები ისე დაგეგმოთ, რომ ზედმეტად გადაღლა, ცაიტნოტში მოქმედება არ მოგიწიოთ.** ნიშანდობლივია ისიც, რომ, ზოგადად, რეტროგრადული პლანეტების იმპულსი მიმართულია ადამიანის შინაგანი სამყაროსკენ. ამიტომ ამ პერიოდის უფრო ეფექტური გამოყენებისთვის აუცილებელია ზოგიერთი საკითხის ახლებურად გააზრება. ეს პერიოდი იდეალურია **საკუთარი შინაგანი სამყაროს გაცნობისთვის და მისი ანალიზისთვის.** ასევე საკუთარი **სამომავლო გეგმების, ამბიციების, სურვილებისა და გლობალური მიზნების გადასახედად.** პლანეტის რეტროგრადული ფაზის დროს შესაძლებელი ხდება საკუთარი ცხოვრებისეული გზის ახლებურად, გვერდიდან, სხვა თვალით დანახვა, შეცდომების დაფიქსირება და გაანალიზება, არსებული პრობლემის გადაჭრის ახალი გზების აღმოჩენა. **ისიც უნდა ითქვას, რომ გააზრებულ-გაწონასწორებული მოქმედებით, შესაძლებელი იქნება ხიფათის, ტრავმის, კონფლიქტის აცილება. ამავდროულად, კარგი დროა წარსულის გასაანალიზებლად, ცვლილების აუცილებლობის დასანახად, გეგმების შესამუშავებლად და იმ ენერგიის დასაგროვებლად, რომელიც აუცილებელია მათი რეალიზებისთვის.** ამგვარად, თქვენი ცხოვრება უფრო მალე გაუმჯობესდება.

**— კიდევ რა მოგვეთხოვება იმისათვის, რომ რეტროგრადული მარსის პერიოდმა უფრო ნაყოფიერად ჩაიაროს?**

—იმისთვის, რომ ამ პერიოდმა უფრო ნაყოფიერად და შედეგიანად ჩაიაროს, ეცადეთ, ძველი საქმეები მოაწესრიგოთ, დაწყებული დაასრულოთ, ძველი ვალდებულებანი, დაპირებები მოიშოროთ, ვალისგან, კრედიტისგან და იმ პრობლემებისგან განთავისუფლდეთ, რომელიც მხოლოდ ფინალურ ძალისხმევას საჭიროებს. **კარგი იქნება აგრეთვე, თუ განთავისუფლდებით დესტრუქციული კავშირებისგან და იმ ურთიერთობებს საბოლოოდ დაასრულებთ, რომელთა შენარჩუნებაც აღარ გსურთ ანდა წინსვლასა და განვითარებაში ხელს გიშლით.**

**— პლანეტა მარსის რეტროგრადული ფაზის პერიოდში, ამა თუ იმ ზოდიაქოში მისი ყოფნა და უკუსვლით გადაადგილება მის ზემოქმედების რაობაზე როგორ აისახება?**

— **პლანეტა მარსის რეტროგრადულობა კონკრეტული ზოდიაქოს ნიშანში ყოფნისას ამ ზოდიაქოს ნიშნის თვისებებს განსაკუთრებით ასუსტებს.** ამჯერად იგი რეტროგრადულად (24 თებერვლამდე) ჯერ — ლომის, ხოლო შემდეგ კირჩხიბის ზოდიაქოში იმოძრავებს. ამიტომაც, **თუ დეკემბრის თვეში აქტუალური იყო პირველობის, ძალაუფლების, ზედმეტად თავდაჯერებულობისა და იმიჯის თემა, იანვრიდან წინა პლანზე წამოიწევს სამშობლოს, ტრადიციების, ოჯახის, ახლობელთა მფარველობის, უსაფრთხოების, ჰარმონიის საკითხები.** ეს დრო საუკეთესო იქნება ცხოვრების შინაგანი და გარეგანი ასპექტების დაბალანსებისთვის, შეფასებისთვის და იმის გასარკვევად, თუ რა არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი და რა უნდა დავტოვოთ წარსულში. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ **პლანეტა მარსი** ადამიანთა ცხოვრებაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს, ამიტომ მისი რეტროგრადულობა თითქმის ყველაზე აისახება. ისიც ცხადია, რომ ბევრი რამ დამოკიდებულია თითოეული ჩვენგანის პირად ასტროლოგიურ მონაცემზე, მათ შორის, იმაზეც, თუ რომელ ზოდიაქოს ნიშანს ვეკუთვნით. გამომდინარე აქედან, წარმოგიდგენთ ზოგიერთ მონახაზს ამ მიმართებით, ზოდიაქოს თითოეული ნიშნის წარმომადგენლისთვის. დავიწყოთ ტრადიციულად პირველი ნიშნით.

**1. ვერძს რეტროგრადული მარსი აიძულებს, გადახედოს საკუთარ მიზნებსა და მეთოდებს.** დასაწყისში ჯერ გაუძლიერდება შემოქმედებით პროექტებსა და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის, მრავალფეროვნების სურვილი. კარგი იქნება, თუ ამ ნიშნით დაბადებული გააკონტროლებს და არ დაუშვებს წუთიერი პირველობისა და წარმატების მიღწევისკენ მიდრეკილებას, რათა შემდგომში არსებული შესაძლებლობანი არ დაკარგოს. ხანგრძლივი პერსპექტივით კი რეალური წარმატებისა და დაკმაყოფილების მიღწევა შესაძლებელი იქნება გააზრებული მიდგომითა და ზომიერების დაცვით.

*რუბრიკას უძღვება*

***მარინა მერკვილაძე***

## 20-26 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
აქტიური ცხოვრება დაგეხმარებათ მნიშვნელოვან ადამიანებთან დაახლოებაში. კარგი დროა ადრე დასახული მიზნების მისაღწევად. ეცადეთ, ჩაუღრმავდეთ სამუშაოს, რათა აიმაღლოთ ავტორიტეტი და პროფესიული ჩვევები. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძიეთ დამატებითი სამუშაო. მოერიდეთ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმეებს. უცხოეთიდან მიღებული ნივთი ან ინფორმაცია გაგიხალისებთ ცხოვრებას. პირად ცხოვრებაში კი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

**კურო** (21.04-20.05)
ოპტიმისტური განწყობა შემოქმედებითად მუშაობისკენ გიბიძგებთ. წინასწარ დაალაგეთ გეგმები და ფრთხილად იმოქმედეთ, რათა თავი აარიდოთ უსიამოვნებებს. უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმეებში სიფრთხილეა საჭირო. თქვენს ცხოვრებაში დიდ როლს შეასრულებენ ახლობლები და ნათესავები. მოგზაურობები, კონტაქტები და ახალი ინფორმაცია წარმატებასა და პერსპექტივებს გიქადით. კარგი განწყობა კი სასიამოვნო სასიყვარულო ურთიერთობის საწინდარი გახდება.

**ტყუპი** (21.05-22.06)
უამრავი წვრილმანი პრობლემის მიუხედავად, გაადვილდება საქმეებში მიზნის მიღწევა. გაუმჯობესდება ურთიერთობა ხელმძღვანელებთან და გავლენიან ადამიანებთან. ამიტომ მოიფიქრეთ და მოამზადეთ ახალი პროექტები, რომლებიც წარმატებას მოგიტანთ. საყვარელი ადამიანის დახმარებით პირად ცხოვრებაში მოიმატებს ხალისი და გართობა. კარგი დროა ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად და იმიჯის შესაცვლელად. მოგზაურობისას კი მეტი სიფრთხილეა საჭირო.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
იდეების განხორციელებაში ახლობლები და ნათესავები დაგეხმარებიან, მაგრამ მეტ ყურადღებას მოგთხოვთ სახლი და ოჯახი. საქმეში და ფინანსებში წარმატებისთვის ყურადღება მიაქციეთ პარტნიორების პოზიციებსა და რჩევებს. საიდუმლოებების გაგებისა და მისტიკური ცოდნის მიღების სურვილმა ეცადეთ, არ დაჩრდილოს რეალობის შეგრძნება. შორეული მოგზაურობისას გამოიჩინეთ სიფრთხილე. ჯანმრთელობის გასაკაჟებლად კარგია ვარჯიში.

**ლომი** (23.07-23.08)
გაიზრდება თქვენი მგრძნობელობა და მიმდინარე პროცესებისადმი ინტერესი. შესაძლოა აუცილებელი გახდეს ადრე შეჩერებული პროექტების გაგრძელება და დასრულება. აკეთეთ მხოლოდ ის, რაც მარტივად გამოგივათ. ნუ იმოქმედებთ ძალისმიერად და ნურავის შეეწინააღმდეგებით, მეტად უსმინეთ ინტუიციას. სასიყვარულო ურთიერთობა სწრაფად განვითარდება. მოგზაურობისას მოერიდეთ გამაბრუებელ საშუალებებს, მაღალ სიჩქარესა და აზარტს, რათა არ დაშავდეთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
ფინანსებთან დაკავშირებული ოპერაციები წარმატებას მოგიტანთ მომავალში. კარგია კვლევითი და სამეცნიერო სამუშაოების ჩატარება და კორპორატიული ბიზნესის წარმოება. იმოქმედეთ გამოცდილი მეთოდებით და მოერიდეთ ფარულ საქმეებს და ექსპერიმენტებს. გაზრდილი ინტუიცია კრიზისულ სიტუაციებს აგარიდებთ. ეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ საკუთარ ჯანმრთელობას და უყურადღებოდ არ დატოვოთ საყვარელი ადამიანი და ოჯახის წევრები, რათა თავი უსაფრთხოდ და მშვიდად იგრძნოთ.

## 20-26 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
გაუმჯობესდება თქვენი ფსიქოსომატური მდგომარეობა და შრომისუნარიანობა. დადებითად განვითარება ფინანსური საქმეები და ბიზნესი. მშობლებს შესაძლოა, თქვენი თანადგომა და დახმარება დასჭირდეთ. ოჯახური პრობლემების გამო ნუ ინერვიულებთ, რათა არ გაგიუარესდეთ ჯანმრთელობის მდგომარეობა. ძვირფასი ნივთების შეძენა და მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ. შესაძლოა, რომანტიკული ურთიერთობა ჩამოგიყალიბდეთ სხვა ქალაქში ან ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანთან.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
მოიმატებს სამუშაო და კონტაქტების რიცხვი. ორგანიზატორული თვისებების გამოვლენა და რეფორმატორული იდეები სათანადოდ დაფასდება ხელმძღვანელი პირების მიერ, მაგრამ მატერიალური მდგომარეობა ჯერ კიდევ უცვლელი დარჩება. ნაკლებად უსმინეთ რჩევებს, რათა სხვისი ზეგავლენის ქვეშ არ მოექცეთ. პატივი ეცით სხვის აზრს, რათა თავი აარიდოთ უსიამოვნებებს ოჯახსა და საქმიან პარტნიორულ ურთიერთობებში.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ზრდას დაიწყებს თქვენი ენერგია, გაუმჯობესდება ქმედითუნარიანობა და კონტაქტურობა. სითამამე დაგეხმარებათ არადამაკმაყოფილებელი ურთიერთობების ხელის ერთი მოსმით დასრულებაში. მოგებას მოგიტანთ დამატებითი სამუშაო, ოჯახთან, მეუღლესთან და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა მეტად დამოუკიდებელსა და ძლიერს გაგხდით. კარგი დროა სულიერი ზრდისთვის და ლოცვისთვის. ხანმოკლე მოგზაურობები დადებით შედეგს გამოიღებს.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ფინანსურ მდგომარეობაზე ზრუნვა დაგეხმარებათ კარიერულ წინსვლასა და სამომავლო მიზნების ჩამოყალიბებაში. შესაძლოა, წარმატების მისაღწევად გამოიყენოთ ფარული მიმოწერა ან შეხვედრები. დროის სიმცირის გამო მოიკლებს რომანტიკული და მეგობრული ურთიერთობები. საოჯახო და სასიყვარულო ურთიერთობებში კი აუცილებელია დაფიქრება, რათა გააკეთოთ სწორი არჩევანი და თავი აარიდოთ კონფლიქტებს. კარგი დროა მოგზაურობებისთვის.

**მერწყული** (20.01-18.02)
დაიწყება აქტიური კონტაქტების, ვიზიტებისა და გართობის პერიოდი. საქმეების სიმცირე დასვენების საშუალებას მოგცემთ. ყურადღებას გაამახვილებთ კომფორტსა და მატერიალურ კეთილდღეობაზე და შესაძლოა, შეიცვალოთ იმიჯიც. კარგი დროა პოპულარობის გასაზრდელად და სოციალური სტატუსის ასამაღლებლად. მივლინებები სასიკეთოდ ჩაივლის, ხოლო სხვა ერისა და კულტურის წარმომადგენელთან რომანტიკული კავშირი შეიძლება სწრაფად დასრულდეს.

**თევზები** (19.02-20.03)
მიუხედავად დაღლილობის შეგრძნებისა, კარგი დროა არსებული პრობლემების მოსაგვარებლად და ურთიერთობების დასარეგულირებლად. შესაძლოა, მიიღოთ საკმაოდ საინტერესო და სარფიანი შემოთავაზებები, მაგრამ საქმის დაწყებამდე ყველაფერი კარგად უნდა გაიაზროთ და დაგეგმოთ. სასიყვარულო ურთიერთობაში კი მეტი ტაქტი და მოთმინება გმართებთ. კარგი დროა მკურნალობისა და ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის. მოგზაურობა დადებითად ჩაივლის და სასიამოვნო მოგონებებს დაგიტოვებთ.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

## 21,22, 23 და 26 იანვარი

**29 იანვარი — ახალმთვარეობა**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 20 იანვარი, ორშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს (00.01) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.23 საათზე, ჩადის 17.01 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 23.47 საათზე, ჩადის 21 იანვარს 10.26 საათზე (მთვარის 21-ე დღე გრძელდება. მე-3 ფაზა). **ტენდენციები: მზის** გადანაცვლებით **მერწყულის ზოდიაქოს** ნიშანში, უახლოესი ერთი თვის მანძილზე, ადამიანებში გამახვილდება თავისუფლებისკენ მიდრეკილება, ცნობისმოყვარეობა, ინტუიცია, დიპლომატიურობა, სიახლისა და რეფორმებისკენ მიდრეკილება, მეგობრული კონტაქტების, ახალი ტექნოლოგიების ათვისების შესაძლებლობა, ორიგინალურობა, სპონტანური იმპროვიზაცია და ასევე სიჯიუტე, სიზარმაცე, სულსწრაფობაც. დღეს კარგია ქორწინება, სასიყვარულო კონტაქტები, მეგობრული შეხვედრები, ექიმთან კონსულტაცია, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, მუსიკალური აპარატურის შეძენა, კულტურულ-გასართობი ღონისძიებები. არ არის სასურველი ბევრი სითხისა და ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება, მანქანის ყიდვა-გაყიდვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის.

## 21 იანვარი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.22 საათზე, ჩადის 17.03 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (20.25) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 22 იანვარს 10.45 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 01.48 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 23.32 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.35 საათიდან 20.21 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მოერიდეთ პროვოკაციებს. პარტნიორთან ურთიერთობისას ყველა საკითხი მშვიდობიანად, დიპლომატიურ და კომპრომისის დაშვების გზებით გადაწყვიტეთ. შედეგიანია სისხლძარღვების, გრძნობათა ორგანოების მკურნალობა. კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ქორწინებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, თანამშრომლობისთვის, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის, ხელოვნების ნიმუშების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისთვის, ინტერიერის განახლებისთვის. არ არის სასურველი ბევრი სითხისა და მარილიანი საკვების მიღება, მანქანის ყიდვა-გაყიდვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული და შარდსასქესო სისტემა, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ჟადეიტი, ლაზურიტი. **საღამოს** ოპალი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის

## 22 იანვარი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.22 საათზე, ჩადის 17.04 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 00.49 საათზე, ჩადის 11.07 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 03.06 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ყურადღებით იყავით, რადგან დღეს არაერთი პროვოკაციული კითხვა თუ წინადადება გელოდებათ. დღეს და ხვალ შთაბეჭდილებების მიღებისგან თავს ნუ შეიზღუდავთ, ემოციები აკონტროლეთ. კარგი დღეა ვარჯიშისთვის, არომათერაპიისა და მასაჟისთვის, თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის. არ არის სასურველი მგზავრობა, ბინის შეცვლა, სესხის აღება, ინტიმური კონტაქტები, სოცუზრუნველყოფისა და სადაზღვევო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ახალი საქმის დაწყება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, აბსიდიანი, იასპი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 23 იანვარი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.21 საათზე, ჩადის 17.05 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 01.53 საათზე, ჩადის 11.32 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 04.27 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს რთული საკითხის გადაწყვეტისას საბოლოო დასკვნის გაკეთებას მოერიდეთ. კარგი დღეა გამოძიებისთვის, რეცხვისა და რემონტისთვის, თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსვლენად, სამეცნიერო კვლევისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისა და მასაჟისთვის, დაკარგული ნივთის მოძიებისთვის, ანტიკვარიატისა და ცხოველების, მანქანის შესაძენად, გეგმების დასახვისთვის. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, მოგზაურობა, ბინის შეცვლა, სესხის აღება, სოცუზრუნველყოფისა და სადაზღვევო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ინტიმური კონტაქტები, ნოტარიუსთან საბუთის გაფორმება, თანამშრომლობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ზურმუხტი, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის.

## 24 იანვარი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.20 საათზე, ჩადის 17.06 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (08.41) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 02.58 საათზე, ჩადის 12.03 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 05.51 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 04.04 საათიდან 08.30 საათამდე. **ტენდენციები:** მაღალია სიცრუის (მათ შორის, თავის მოტყუების) ალბათობა. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, ავანტიურა, სარკაზმი, სულსწრაფობა, სისხლის გადასხმა, მშენებლობა. ბავშვებს ქუჩაში ყოფნისას ყურადღება მიაქციეთ, ინტუიცია იმატებს. შედეგიანია ფილტვების, მხრების, ხელების მკურნალობა. კარგი დღეა იურიდიული საქმეებისთვის, მგზავრობისთვის, უცხოელებთან კონტაქტებისთვის, სპორტული შეჯიბრებისთვის, ექსკურსიებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, თანამშრომლობისთვის, ხელშეკრულების დასადებად, გარიგებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, სარდიონი, ლაზურიტი, საფირონი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

## 25 იანვარი, შაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.19 საათზე, ჩადის 17.08 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 04.04 საათზე, ჩადის 12.43 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 07.14 საათზე, მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს რთულ საკითხებთან დაკავშირებით იხელმძღვანელეთ ინტუიციით, გამოცდილებით და არა გონებით. კარგი დღეა სულიერ-ინტელექტუალური განვითარებისთვის, მგზავრობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, უცხოელებთან ურთიერთობისთვის, ხელშეკრულების დასადებად, გარიგებისთვის, სპორტული შეჯიბრებებისთვის, ექსკურსიებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, თანამშრომლობისთვის. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა, უყაირათობა, სულსწრაფობა, სარკაზმი, ეგოიზმი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლალი, ამეთვისტო, ბრილიანტი, ლაზურიტი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

## 26 იანვარი , კვირა

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.19 საათზე, ჩადის 17.09 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (18.01) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 05.06 საათზე, ჩადის 13.33 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 08.28 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 13.41 საათიდან 17.44 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიკეთოა ინტუიციაზე დაყრდნობით მოქმედება, სულიერ-ინტელექტუალური განვითარება. შედეგიანია ბრონქების, ფილტვების მკურნალობა. კარგი დღეა მგზავრობისთვის, მოლაპარაკებებისთვის, პრეზენტაციებისთვის, უცხოელებთან კონტაქტებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის. არ არის სასურველი სიმძიმეების აწევა, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება, სარკაზმი, მშენებლობა, საღამოს ახალი კავშირების დამყარება, გაცვლითი ოპერაციები. კარგია მავნე ჩვევისგან გათავისუფლება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ძვლოვანი სისტემა. **ქვები:** ფირუზი, წითელი იასპი, ქარვა, ნეფრიტი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

✝ **20 იანვარი. ორშაბათი. კრება წმიდისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი და მისთა წმიდათა ნაწილთა ანტიოქიიდან კონსტანტინოპოლს გადმობრძანება.**

✝ **21 იანვარი. სამშაბათი. დიდმოწამისა აბო ტფილელისა;** ღირსისა გიორგი ქოზიბელისა; ღირსისა დომნიკა კონსტანტინოპოლელი იღუმენიასი; წინასწარმეტყველისა სამესი, ელამელისა.

✝ **22 იანვარი. ოთხშაბათი.** მოწამისა პოლიევქტე მხედრისა, მელიტინელისა; პეტრე სებასტიელი ეპისკოპოსისა; ღირსისა ევსტრატი სასწაულმოქმედისა; ფილიპე მოსკოველი მიტროპოლიტისა; ღირსთა ბასილი სასწაულმოქმედისა და გრიგოლისა; წმიდისა ადრიანესი ინგლისიდან, კენტერბერას წინამძღვრისა.

✝ **23 იანვარი. ხუთშაბათი. გრიგოლ ნოსელი ეპისკოპოსისა, ბასილი დიდის ძმისა;** ღირსისა დომენტიანესი, მელიტინელი ეპისკოპოსისა; ღირსისა მარკიანე ხუცისა და იკონომისისა; ნეტარისა თეოსებია დედათდიაკონისა, ბასილი დიდის დისაის.

✝ **24 იანვარი. პარასკევი. ღირსისა თეოდოსი დიდისა, ზოგადცხოვრებულთა თავისა;** ღირსისა ვიტალისა; წმიდისა მაირისა; ღირსისა თეოდოსისა, ტრაპეზუნდის მიტროპოლიტისა; ჰიგინოს რომის ეპისკოპოსისა; კრება წმიდათა ანგელოზთა დომნინოვში; მოწამისა ნიკიფორე კრეტელისა.

✝ **25 იანვარი. შაბათი.** მოწამისა ტატიანასი და მისთანა რომში წამებულთა; მოწამისა მერტი მხედრისა; მოწამისა პეტრესი, პალესტინის სამარიის ავლონაში; ღირსისა ევპრაქსია ტაბენისელისა, უფროსისა, ეგვიპტეში მოღვაწისა; ღირსისა ელია მეუდაბნოისა, მეგვიპტელისა, სასწაულთმოქმედისა.

✝ **26 იანვარი. კვირა. წარგზავნა ნათლისღების დღესასწაულისა.** მოწამეთა ერმილესი და სტრატონიკესი; ღირსისა იაკობისა, ნისიბინელი ეპისკოპოსისა; მოწამისა ათანასესი; მოწამეთა პახომისა და პაპირინესი; ღირსისა მაქსიმე კავსოკალიბელისა, ათონელისა.




მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

მადლობა მკურნალ ლამარა თოდუას!

თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის 100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, გულძმარვას, კუჭის წყლულს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას), თმის ჩაბრუნებას. მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით), სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც).

ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52

ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 58-ე წელია,

მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!





### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ვესტელი; 9. საბა; 11. სუროგატი; 12. მედეა; 13. კანტატა; 14. ნული; 15. სინეკურა; 16. მონრო; 17. რიტმიკა; 18. ვონა; 19. პარალიზი; 23. ტუმბა; 24. ვალიზი; 27. გვის; 29. პარასკევი; 30. ვაკე; 32. სიმონია; 35. შანდალი; 36. ალიგატორი; 41. არწივი; 43. აბლაბუდა; 45. მილანი; 48. ტვისტი; 51. ტრადიცია; 52. მისტრალი; 53. სინემა; 54. კარამბოლი; 57. რეალობა; 59. ნადიმი; 61. ალიზარინი; 62. სიმინდი.

შვეულად: 1. ტუნიკა; 2. ბოჰემა; 3. ქაბული; 4. ვიკარი; 5. სინატრა; 6. ელატივი; 7. იმამატი; 8. ადინამია; 9. სანოვაგე; 10. ბალანსი; 19. პეპელა; 20. რერიხი; 21. ლუსაკა; 22. ზნე; 24. ვისკი; 25. ლომბარდი; 26. ზინათი; 28. სოლისტი; 30. ვაშლი; 31. კენედი; 33. ვანგა; 34. პო; 37. ლიბერია; 38. გვარდია; 39. ტაუ; 40. რეა; 42. ვაიმარი; 44. დემონი; 45. მასკანი; 46. ლარგო; 47. ნალია; 49. ვაი; 50. სველია; 53. სინი; 54. კია; 55. რეი; 56. მთა; 58. ბან; 60. პი.

**კვარტალიდიალოგიკალიანოსირიმესამედალიდაირა**
**პრუსიავარამისისინიესტაკადაფისკიბობინატურა**

| წელიწადის მეოთხედი, სამი თვე | საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის | ნათესების მავნებელი მწერი | სოფელი სამეგრელოში | სამის რიგობითი სახელი | ფრანგი მომღერალი ქალი | ირლანდიის არმია |
|---|---|---|---|---|---|---|
| ე.წ. „მეოთხე დაცვა“ ფარიკაობაში | მცირე აზიის ძველი სახელი | შინაგანი კანონზომიერება | სავანის ტიპი სამხრეთ ამერიკაში | ფულის მისაღები თამასუქი | ორდენი | საკრავი |



თარაზულად: 4. თურქული ტექნიკური ნაწარმის ფირმა; 9. ქართული ლიტერატურული პრემია; 11. რისამე შემცვლელი; 12. მეფე აიეტის ქალიშვილი; 13. დიდი, საზეიმო ხასიათის ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები; 14. ციფრობრივი ნიშანი „არავითარი“ (ლათ.); 15. შემოსავლიანი თანამდებობა, თბილი ადგილი; 16. ამერიკელი მსახიობი მერილინ ...; 17. რიტმის სისტემა და ხასიათი; 18. კორეის ფულის ერთეული; 19. დამბლა; 23. დაბალი კარადა; 24. დიპლომატიური კურიერის საფოსტო ტომარა; 27. ახალი ცოცხი კარგად ... (ანდაზა); 29. კვირის ერთ-ერთი დღე; 30. თბილისის უბანი; 32. საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა; 35. დიდი სასანთლე; 36. ნიანგის სახეობა; 41. ვაჟა-ფშაველას ლექსი; 43. ობობას ქსელი; 45. იტალიის ქალაქი; 48. ერთგვარი ცეკვა; 51. ისტორიულად ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებები; 52. ჩრდილოეთის ცივი ქარი სამხრეთ საფრანგეთში; 53. კინოს მოძველებული სახელი; 54. ბილიარდის წითელი ბურთი; 57. სინამდვილე; 59. დიდი წვეულება; 61. საღებავი ნივთიერება, მიიღება ენდროს ფესვებისგან; 62. პურეული მცენარე.

შვეულად: 1. ძველი რომაელების სამოსი; 2. ხელოვანი ხალხი, რომლებიც უთავბოლო ცხოვრებას ეწევიან მუდმივი შემოსავლის არქონის გამო; 3. ავღანეთის დედაქალაქი; 4. არქიელის თანაშემწე მართლმადიდებელ ეკლესიაში; 5. ამერიკელი მომღერალი და მსახიობი ფრენკ ...; 6. გამოსვლითი ბრუნვა ზოგ ენაში; 7. იმამის ხელისუფლება; 8. ძალ-ღონის დაკარგვა; 9. სურსათი, ხორაგი; 10. შემოსავალ-გასავლის ფარდობითი ჯამი; 19. ფრთაფარფატა არსება; 20. რუსი მხატვარი; 21. ზამბიის დედაქალაქი; 22. ხასიათი, ბუნება; 24. ერთგვარი არაყი; 25. საკრედიტო დაწესებულება; 26. სიმდიდრე, განძეულობა (ძვ.); 28. სოლოს შემსრულებელი (მუს.); 30. „განხეთქილების“ ხილი; 31. აშშ-ის ექსპრეზიდენტი; 33. ბულგარელი ნათელმხილველი ქალი; 34. მწერალი ედგარ ...; 37. აფრიკის სახელმწიფო; 38. ჯარის საუკეთესო, რჩეული ნაწილი; 39. ბერძნული ასო „ტ“-ს სახელი; 40. კრონოსის ცოლი ბერძნულ მითოლოგიაში; 42. ქალაქი გერმანიაში; 44. ამერიკელი მსახიობი მეტ ...; 45. იტალიელი კომპოზიტორი; 46. ტერმინი, აღნიშნავს ნელ ტემპს (მუს.); 47. სასიმინდე; 49. ა. გრიბოედოვი „... ჭკუისაგან“; 50. ლ. თაბუკაშვილი „მერე რა რომ ... სველი იასამანი“; 53. ლანგარი; 54. სამხრეთკორეული ავტომობილი; 55. ამერიკელი მომღერალი ... ჩარლზი; 56. გორა; 58. ქართული ასო ბ-ს სახელი; 60. მათემატიკური მუდმივა (წრეხაზის სიგრძის შეფარდება დიამეტრის სიგრძესთან).

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ძვ. გერმ. სახელმწიფო სამხრ. აღმ. ევროპაში | დარდი, წუხილი | გველის ხმიანობა | ხიდისებრი ნაგებობა | სახელმწიფო ხაზინა | მაგნიტოფონის გორგოლაჭი | გარეული ნადირი |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონელი მწერალი | ფილმი რაჯ კაპურის მონაწილეობით | ქალბატონო (აშშ-ში) | ესპანელი ფეხბურთელი | ლიბიის სახელმწიფო მოღვაწე | მთიდან მარხილით, თხილამურებით დაშვების ფორმა | ბუნება |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
**ასავალ დასავალი**
2025 წლის 20-26 იანვარი №4 (1575)
გამოდის ორშაბათობით

მეცნიერებჰოსაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol